საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№41 (323)
11 – 17 ნოემბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**2 ოდესაში გუბერნატორის გადადგომის მოთხოვნით აქცია გაიმართა**

## «განათლების სამინისტრო სასკოლო სავარჯიშოების ნუსხაში მამათმავლობისა და ლესბოსელობის სიმულაციის შეტანას გეგმავს» 6

„გენდერის თავში მოცემულია ასეთი განსახილველი თემა — სავარჯიშო (გვ.105): „წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდით. რისი შეცვლა მოგიწევდათ? პირველ რიგში, ალბათ, თქვენს გარეგნობას შეცვლიდით — ტანისამოსს, ვარცხნილობას და, შესაძლოა, სამკაულს. შესაძლოა, აგრეთვე, ადამიანებთან ქცევის მანერის შეცვლაც მოგიწიოთ...“



„მოსწავლეებისთვის მიცემული დავალება შემდგომში მდგომარეობს: „დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში არსებული ჰომოსექსუალების ან ლესბოსელების საზოგადოებას. მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება მოქმედებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზაა. მოიწვიეთ მათი წარმომადგენელი ჯგუფთან სასაუბროდ, რათა გაარკვიოთ, რომელი საკითხები და უფლებებია ყველაზე მწვავე თქვენს ქვეყანაში“

„პირველ რიგში, ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც, თქვენი აზრით, დაგჭირდებოდათ იმისათვის, რათა შეგეცვალათ თქვენი საქციელი, თუკი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი გახდებოდით... ექსპერიმენტის დასრულებისთანავე მოამზადეთ წერილობითი ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იქნება, თუ რა გასწავლათ თქვენმა ხანმოკლე ექსპერიმენტმა საპირისპირო სქესის ამპლუაში ყოფნის თაობაზე და როგორ ხდება (ან არ ხდება) გენდერული იდენტობის მხარდაჭერა სოციალური ურთიერთქმედებისას“



## «შევარდნაძე-სააკაშვილის პოლიტიკური გზის გამგრძელებელი ხელისუფლება წარმატებული ვერ იქნება» 24

**5 «რაც ვნახე და წავიკითხე, არის ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული»**

**რატომ გამახსენდა 7 ნოემბარს 7 ნოემბერი 9**

**გეორგიევსკის ტრაქტატი 12 — რა ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმა უბიძგა საქართველოს, ეძებნა მოკავშირე რუსეთის სახით**

**14 საქართველო დასავლეთის დაკარგულზე ცეკვავს, როგორც ცხოველები ცირკში**



## სამი ქართველი ბელადი და სამი 7 ნოემბერი 8



## თინას სიზმრები და «შინაგანი რწმენა» 11

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამბები

### «ისლამური სახელმწიფოს» რიგებში პოსტსაბჭოთა ქვეყნების 7 ათასამდე მოქალაქე იბრძვის



**რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილე ევგენი სისოევმა სოჭში, რეგიონალურ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან 7 ათასამდე მოქალაქე იბრძვის.** „2015 წლის ზაფხულში „ისლამურ სახელმწიფოში“ 80 ათასამდე ადამიანი იყო გაწევრებული. მათგან 50 000 — სირიის, 30 000 კი ერაყის ტერიტორიაზე. დაახლოებით 30 000 ტერორისტი უცხოელია. მათი უმრავლესობა იქ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩავიდა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან კი ორგანიზაციის რიგებში დაახლოებით 7 000 ადამიანია,“ — განაცხადა სისოევმა. წელს რუსმა ძალოვნებმა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი 7 ბანდფორმირება გაანადგურეს, რომლებსაც “ისლამურ სახელმწიფოსთან” ჰქონდათ კავშირი.



**ირმა ინაშვილი:**

## სამოქალაქო საზოგადოება და თვითონ ბიძინა ივანიშვილი ჩვენთან ერთად უნდა ითხოვდეს ხელისუფლებისგან საარჩევნო სისტემისა და გარემოს ძირეულ შეცვლას

**„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა, რომელიც მომხრეებთან ერთად მთავრობის კანცელარიის წინ შიმშილობს საგარეჯოს შუალედური არჩევნების გაყალბებაში თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების მონაწილეობის გამო, სოციალურ ქსელში მიმართვა გამოაქვეყნა:**

„არჩევნები გაყალბდა!

მუხროვანის სამხედრო ნაწილში, რომელშიც 25 საგარეჯოელი სამხედრო იმყოფებოდა, საარჩევნო ბალანსის დასარღვევად და ხელისუფლებისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად 500-ზე მეტი არასაგარეჯოელი სამხედრო შეიყვანეს. მუხროვანის სპეცუბანზე რეალურად არჩევნები არ ჩაატარეს და ე.წ. კარუსელი დაატრიალეს. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კამერების წინ აღიარა, რომ ერთ კონვერტში ორი ბიულეტენი იდო. შემაჯამებელი ოქმი არც სწორადაა შევსებული და არც ბალანსდება. მეტიც, არ ბალანსდება ოქმები იორმუღანლოს საარჩევნო უბნების უმეტესობაში. არჩევნების გაყალბების ორგანიზატორები იყვნენ თავდაცვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრები. ბატონ ბიძინას, ასევე, ვატყობინებ, რომ საგარეჯოს პოლიციის უფროსი, გამგებლები და სხვა სახელმწიფო მოხელეები წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს უბრალო აგიტაციას კი არ ეწეოდნენ, არამედ ამომრჩეველს აიძულებდნენ, ხმა მიეცათ „ქართული ოცნების“ კანდიდატისთვის, რაც სცილდება დემოკრატიის ყოველგვარ ნორმებს. ვწუხვარ, რომ ბიძინა ივანიშვილი მუდმივად შეჰყავთ შეცდომაში, თითქოს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ დაბალი რეიტინგის მქონე პოლიტიკური ძალაა და თითქოს ჩვენთვის მეორე ადგილი დიდად საბედნიერო უნდა იყოს. ჩვენ გავიმარჯვეთ საგარეჯოში და საგარეჯოში არჩევნები გაყალბდა!

ვერ ვიტყვი, გავიმარჯვეთ თუ არა მარტვილში, მაგრამ არჩევნები მარტვილშიც გაყალბდა. ჩვენ მარტვილში 27.5% დაგვიწერეს. მაშინ, როდესაც რეალურად გაცილებით მეტი ხმა მივიღეთ. გვიჭირს ჩვენი სიმართლის დამტკიცება მარტვილში, მაგრამ საგარეჯოში ყველაფერი სრულიად ნათელია. საგარეჯოში არჩევნები რომ გაყალბდა და ჩვენ რომ გავიმარჯვეთ, ეს მშვენივრად იციან თავად საგარეჯოელებმაც, ხელისუფლებამაც და მთელმა საქართველომაც.

საპროტესტო აქციას ლოზუნგით “არა — არჩევნების გაყალბებას” 16 ათასზე მეტი ადამიანი დაესწრო, მაგრამ ხელისუფლებამ ეს ყურად არ იღო. შიმშილობა დავიწყეთ ხუთმა ადამიანმა. დღეიდან 25-ნი ვშიმშილობთ. 2-2 ადამიანი შიმშილობს გორსა და საგარეჯოში. უახლოეს დღეებში შემოგვიერთდება ქუთაისი, თელავი, ბათუმი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ 5 დღეში, პარლამენტის წინ, 200 ადამიანი დაიწყებს შიმშილობას. მერიაში განაცხადი შეტანილია და ჩვენი 200 თანამებრძოლი მზადაა. ვპირდები ხელისუფლებას, რომ გარკვეულ პერიოდში მოშიმშილეთა რაოდენობა 500-ზე ავა.

ჩვენი მოთხოვნები ორ ნაწილად იყოფა. ერთი მხრივ, ჩვენ ვითხოვთ არჩევნების გაყალბების გამო გამოძიების დაწყებას და გაყალბებაში მონაწილე მინისტრების, გამგებლების, პოლიციელების და სხვათა დასჯას. მეორე მხრივ, ჩვენ მოვითხოვთ საარჩევნო სისტემისა და გარემოს შეცვლას 2016 წლის არჩევნებამდე და არა 2020 წლისთვის. უპირველეს ყოვლისა, ვითხოვთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდეს ნებისმიერი რანგის სახელმწიფო მოხელისადმი, თუ ისინი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით შეეცდებიან, გავლენა მოახდინონ ამომრჩევლის ნებასა და, შესაბამისად, არჩევნების შედეგზე. ჩვენი სხვა მოთხოვნებიც არაერთხელ გაჟღერდა მედიასაშუალებებით.

მიმაჩნია, რომ სამოქალაქო საზოგადოება და თავად ბიძინა ივანიშვილი ჩვენთან ერთად უნდა ითხოვდეს ხელისუფლებისგან საარჩევნო სისტემისა და გარემოს ძირეულ შეცვლას. მითუმეტეს, რომ 2012 წელს ეს იყო ბიძინა ივანიშვილისა და “ქართული ოცნების” საარჩევნო დაპირება!”

**P.S. საქართველოს ყოფილმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ირმა ინაშვილს სთხოვა, შეწყვიტოს პროტესტის უკიდურესი ფორმა — შიმშილობა. ივანიშვილის თქმით, შესაძლებელია, რომ არსებულ კითხვებს პასუხი სამართლებრივი გზით გაეცეს.**

## 13–14 ნოემბერს თბილისში ჩატარდება საერთაშორისო კავკასიური მედიაფორუმი თემაზე «მსოფლიო რყევების ეპოქაში: ვინ გაუძლებს?»

**რყევების ეპოქად დღევანდელობის მოხსენიება სულაც არ არის გაზვიადება. ამჟამად მსოფლიო ისეთი აღარ არის, როგორიც ბოლო ორი პოსტსაბჭოთა ათეული წლის განმავლობაში გვახსოვს: გამოჩნდნენ ახალი ლიდერები, ახალი ძალები, შეიქმნა ახალი ალიანსები, დაიშალა სახელმწიფოები, გაჩაღდა ომები... და ეს ყველაფერი არნახული ინტენსიურობით მიმდინარეობს. თანამედროვე კაპიტალიზმის მომავალი კი, რომელიც ბევრ უთანასწორობასა და დაუკმაყოფილებლობას წარმოშობს, ეჭვქვეშ დადგა.**

რაღაც დაემართა მედიასაც. იმსხვრევა აქამდე ხელშეუხებელი ავტორიტეტები, კაცობრიობას აღარ აქვს საერთო დღის წესრიგი, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ იქმნებოდა რამდენიმე მსხვილი ტელეკომპანიის, საინფორმაციო სააგენტოსა თუ გაზეთის მიერ. გრანდები აუდიტორიას კარგავენ, მკითხველმა და მაყურებელმა სოციალურ ქსელებში გადაინაცვლა. ასეთი სიმწვავის მორალური გამოწვევის პირისპირ, დიდი ხანია, ჟურნალისტები არ მდგარან. **როგორ შევინარჩუნოთ ნათელი გონება და სამართლიანი შეფასების უნარი მზარდი პოლიტიკური წნეხისა და მუდმივად დაბნეული აუდიტორიის პირობებში? გადარჩება თუ არა ახალი ამბებისა და ანალიტიკური ჟურნალისტიკა, როგორც ჟანრები? თუ მკითხველმა და მაყურებელმა უკვე გააკეთა საბოლოო არჩევანი სოციალური ქსელების ვირუსული მასალების სასარგებლოდ და მათ გონებას აღარ სჭირდება სერიოზული საკვები? როგორია, ბოლოს და ბოლოს, თანამედროვე მასმედიის ეკონომიკა და შეუძლია თუ არა საკუთარი თავის უზრუნველყოფა?**

ამ და სხვა თემებზე ისაუბრებენ თბილისში გამართულ საერთაშორისო კავკასიურ მედიაფორუმზე. ჟურნალისტიკის მომავლის განსჯა მომავალი მსოფლიოს განსჯის შემადგენელი ნაწილია**. დისკუსიის ცენტრში მოექცევა, აგრეთვე, ბოლო წლების გლობალური კრიზისები და ჟურნალისტების ადგილი ამ კრიზისებში. სად გაივლის ახალი საზღვარი პროფესიონალურ ჟურნალისტიკასა და ბლოგებს შორის? ისტორიულ წარსულზე პოლემიკაში, ასევე, ომებისა და კონფლიქტების გაშუქებისას რა პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ჟურნალისტს?**

## პრესრელიზი

კავკასიის სახელმწიფოების — აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს — და რუსეთის წამყვანი მედიასაშუალებების ხელმძღვანელების სადისკუსიო სესიებთან ერთად გაიმართება მასტერკლასები და ტრენინგები ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის. ფორუმის სასწავლო ბლოკში საუბარი იქნება პრაქტიკულ ამოცანებზე: როგორ კეთდება საუკეთესო რეპორტაჟები და ინტერვიუები, როგორ ჩავაყენოთ სოციალური ქსელები ჩვენი ჟურნალისტური წარმატების სამსახურში და როგორ მოვახერხოთ ორინტირება მის ზოგჯერ მღვრიე საინფორმაციო ნაკადში.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები არც თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში და არც მედიის დღის წესრიგში არ უნდა იქნას მიჩნეული პერიფერიად. ფორუმის ორგანიზატორები დარწმუნებულნი არიან, რომ კავკასიელმა ჟურნალისტებმა უნდა ეძებონ ზრდისა და განვითარების გზები. ფორუმზე ისაუბრებენ სამხრეთ კავკასიის მედიასახესა და ჟურნალისტების შესაძლო წვლილზე რეგიონის მომავალში.

მედიაფორუმის სპეციალური სტუმრები არიან:

**ვლადიმირ სუნგორკინი — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ მთავარი რედაქტორი;**

**ევგენი სატანოვსკი — დამოუკიდებელი სამეცნიერო ცენტრის — „ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის“ პრეზიდენტი, აღმოსავლეთმცოდნე, ეკონომისტი;**

**კირილ პრივალოვი — რუსეთის სახელმწიფო ტელერადიო სამაუწყებლო კომპანიის მიმომხილველი, საერთაშორისო პენ-კლუბის წევრი;**

**ვიტალი ლეიბინი — ჟურნალ „რუსკი რეპორტიორის“ მთავარი რედაქტორი.**

**მედიაფორუმის ჩატარების ადგილი: თბილისი, შავთელის ქუჩა 13, სასტუმრო „ამბასადორი“**
**სამუშაო ენები: ქართული, რუსული**
**საკონტაქტო პირი: მაია ჩუბინიშვილი +995 599 93 22 30**







## «სააკაშვილო, წაეთრიე!» — ოდესაში გუბერნატორის გადადგომის მოთხოვნით აქცია გაიმართა

**ოდესაში ოლქის გუბერნატორის — მიხეილ სააკაშვილის და უკრაინის პრეზიდენტის — პეტრო პოროშენკოს გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები ოდესის პროფკავშირების სახლში 2014 წლის მაისში ოდესის პროფკავშირების სახლში დატრიალებული ტრაგედიის გამოძიებით უკმაყოფილონი არიან. მათ ქალაქში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც გააკრიტიკეს.**

აქციის მონაწილეებმა გამოფინეს პლაკატები წარწერით: „სააკაშვილო, წაეთრიე!“, “გადადგეს პოროშენკო!“ “პოროშენკო გამოძიებას აჭიანურებს“ და სხვ. „ჩვენ ვხედავთ, რომ პოროშენკო და ხელისუფლება გამოძიებას განგებ აჭიანურებს. მთელ ოდესას სურს, გაიგოს სიმართლე იმის შესახებ, რაც პროფკავშირების სახლში მოხდა. ჩვენ არ ვაპირებთ ამ უმსგავსობისგან შორს ვიყოთ და სიმართლის დადგენას მოვითხოვთ“, — განაცხადა ორგანიზაცია „კულიკოვოს ველის“ ხელმძღვანელმა იბრაჰიმ მორისმა.



## ავგიას თავლა გასაწმენდია

### ბიძინა ივანიშვილის შეფასებით არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგიერთი წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოებას აბინძურებს

**ყოფილი პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ყოფნისას განაცხადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგიერთი წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოებას აბინძურებს და ერთ-ერთ ასეთ ადამიანად ეკა გიგაური დაასახელა.**

„არასამთავრობოთა დიდი ნაწილი, გიგაურის ხელმძღვანელობით, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციიდან წარმოგვიდგა და ახლა, როგორც იქნა, პოლიტიკაში თავის რეალურ სახეს გვაჩვენებს, „ნაციონალური მოძრაობის“ გაგრძელებაა. საუბედუროდ, ისინი ძალიან აბინძურებენ სამოქალაქო საზოგადოებას. დანარჩენი ნაწილიც, სამოქალაქო საზოგადოებას რომ უწოდებს თავს და, რეალურად, „ნაციონალური მოძრაობის“ სტრუქტურის ნაწილია, კარგი იქნება, თუ თვითონაც დაარქმევს თავის თავს ნამდვილ სახელს, როგორც გიგაურმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა“, — განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს, რითაც არასამთავრობო სექტორის ერთი ნაწილის მიერ ფარულ მოსმენებზე საკონსტიტუციო სარჩელის მომზადების თაობაზე დასმულ შეკითხვას უპასუხა.

# საფრანგეთმა შენგენის ვიზის მოქმედება შეაჩერა — ევროპა «ტროას ცხენის» მოლოდინში

**საფრანგეთმა ერთი თვით, ამა წლის 13 დეკემბრამდე შეაჩერა თავის ტერიტორიაზე შენგენის ვიზის მოქმედება.** შენგენის ვიზის შეჩერების განკარგულება საფრანგეთის პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმა** გასცა. საფრანგეთის საზღვრებზე გაჩნდება სასაზღვრო კონტროლის პუნქტები, რომლებშიც შეამოწმებენ ქვეყანაში შესვლის მსურველთა დოკუმენტებს. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი **ბერნარ კაზნევის** განცხადებით, ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ პარიზში გაეროს ეგიდით უნდა გაიმართოს საერთაშორისო კონფერენცია კლიმატის ცვლილების საკითხებზე და შესაძლოა, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები ტერაქტის მოწყობას შეეცადონ. ექსპერტთა აზრით, ბევრი ლტოლვილი, რომელიც ევროპას მიაწყდა, ტერორისტების ფარული მომხრეა და „ტროას ცხენია“ ევროპისთვის.



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეორე ნიურნბერგი გარდაუვალია! ანტიბანდერული მარში კიევში

**ორიოდე წლის წინათ, რომ არაფერი ვთქვათ, უფრო ადრინდელ პერიოდზე, წარმოუდგენელი იყო, რომ დიდ სამამულო ომში გამარჯვებულთა შთამომავლობის მიერ ფაშისტი დამპყრობლებისგან კიევის გათავისუფლების საზეიმო აღნიშვნა გმირობის ტოლფასი იქნებოდა.**

უკრაინის დედაქალაქი ამჟამად ბანდერელებს აქვთ დაპყრობილი, მაგრამ მათ პარპაშს ბოლო მალე მოეღება, თუ ყველა ადამიანი, რომელიც მათ ბუნაგში იმყოფება, ხმას ამოიღებს და შეახსენებს, რისთვის გაწირა მილიონობით ადამიანმა თავი მეორე მსოფლიო ომში.

ჯერჯერობით კი რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მარშით აღნიშნა ფაშისტი დამპყრობლებისგან კიევის გათავისუფლების 72-ე წლისთავი.

აქციის მონაწილეებმა, ბანდერელთა რეჟიმის აკრძალვის მიუხედავად, წითელი დროშებიააფრიალეს და გაშალეს გეორგიევსკისლენტიანი ტრანსპარანტები და პლაკატები წარწერებით: **„გამყიდველები გუშინ ჰიტლერს ემსახურებოდნენ, დღეს — აშშ-ის იმპერიალიზმს!“, „უკრაინული ნიურნბერგი გარდაუვალია!“, „კიევი გმირი ქალაქია — გახსოვდეს, მოღალატევ!“, „ობამა, მერკელი, ეშტონი პასუხს აგებენ ნაცისტური დიქტატურის დამყარების გამო!“**









# რობერტ დე ნირო რუსეთის მოქალაქეობის მიღებას არ გამორიცხავს

## ჟერარ დეპარდიეს შემდეგ რუსული პასპორტის მისაღებად რიგში სხვა პოპულარული პირებიც ჩადგნენ

**ჰოლივუდელმა მსახიობმა რობერტ დე ნირომ არ გამორიცხა, რომ რუსეთის მოქალაქეობას მიიღებს.**

„შესაძლოა, მოვისურვო რუსეთის მოქალაქეობა. ეს რთული სიტუაციაა, მაგრამ ვნახოთ, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია“, — განაცხადა პოპულარულმა მსახიობმა თავისი ახალი რესტორნის გახსნაზე მოსკოვში.

დე ნირომ რუს ახალგაზრდებს ურჩია, რომ: „სწორად იმოქმედონ და მსოფლიო უკეთესი გახადონ“.

„ყველა უნდა გავერთიანდეთ, რათა დაპირისპირება და კამათი შეწყდეს, ჩვენ ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ“, — განაცხადა ამერიკელმა მსახიობმა.

5 ნოემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის მოქალაქეობა სურს კრივში ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს, ბრიტანელ მძიმეწონოსან **ლენოქს ლუისს.** ამა წლის 27 ოქტომბერს კი რუსული პასპორტი მიიღო ამერიკელმა მოკრივემ **როი ჯონსმა.**

10 სექტემბერს ფრანგმა მსახიობმა **სამი ნასერიმ** გამოთქვა სურვილი, რუსეთის მოქალაქეობაზე.

პოპულარული ფრანგი მსახიობი **ჟერარ დეპარდიე** კი 2013 წლიდან რუსეთის მოქალაქეა.



# გერმანიაში ევთანაზია დააკანონეს

**6 ოქტომბერს გერმანიის პარლამენტმა (ბუნდესტაგი) კენჭი უყარა კანონს, რომელიც გარკვეული პირობებით უფლებას იძლევა, დაეხმარონ იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ, ნებაყოფლობით წავიდნენ საიქიოში.**

კანონის მიხედვით, მოქალაქეებს, მათ შორის, უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანის ახლობლებს, უფლება აქვთ, ხელი შეუწყონ ევთანაზიის ჩატარებას „ინდივიდუალურად, ალტრუისტული მოტივებით“.

კომერციული მოტივებით ევთანაზიისთვის ხელშეწყობა კი აკრძალულია და კანონის ამ მუხლის დამრღვევს 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ამ კანონს მხარი დაუჭირა 360 დეპუტატმა, 233 წინააღმდეგი იყო.

გერმანიაში ევთანაზიის პროცედურა ნებადართული იყო ნაცისტების პერიოდში. ფიურერის მომხრეებმა ფიზიკური ნაკლის მქონე 200 ათასი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.

# ინდოელები ბრიტანეთის დედოფლისგან «კოჰ-ი-ნურის» დაბრუნებას ითხოვენ

**ინდოეთის საქმიანმა და არისტოკრატულმა ელიტამ განიზრახა, რომ დაიბრუნოს მსოფლიოში სახელგანთქმული ბრილიანტი „კოჰ-ი-ნური“. გაზეთი Times of India იუწყება, რომ ლონდონში ინდოეთის პრემიერმინისტრის ვიზიტის (12-15 ნოემბერი) წინ ბრილიანტის დაბრუნებისთვის მებრძოლი საინიციატივო ჯგუფი ამზადებს სარჩელს დიდი ბრიტანეთის დედოფლის — ელისაბედ II წინააღმდეგ.**

„ინდური ბიზნესისა და ინდოელი საზოგადოების წარმომადგენლებს განზრახული აქვთ, დაიბრუნონ ნაციონალური ღირსშესანიშნაობა — მსოფლიოში ცნობილი ბრილიანტი „კოჰ-ი-ნური“. ეს ბრილიანტი ერთ-ერთია იმ უამრავი არტეფაქტიდან, რომლებიც ბრიტანელებმა „საეჭვო ვითარებაში გაიტანეს“ ინდოეთიდან. **კოლონიზატორები არა მხოლოდ ძარცვავდნენ ინდიელ ხალხს, არამედ ანადგურებდნენ მათ მორალურად და სასტიკ სოციუმს ქმნიდნენ. ამის შედეგებს ქვეყანა დღესაც იმკის — ეს არის მასობრივი სიღარიბე, გაუნათლებლობა და საზოგადოების დისკრიმინაციის სხვა მრავალი მტკიცებულება“,** — განაცხადა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა, ცნობილმა ბიზნესმენმა **დავით დე სოუზამ**.



**ცნობისათვის:**

„კოჰ-ი-ნური“ („koh-i-Noor“) მსოფლიოში ყველაზე ცნობილ და ძველ ალმასად ითვლება. გადმოცემის თანახმად, იპოვეს სამხრეთი ინდოეთის ტერიტორიაზე. მისი პირველი მფლობელი იყო მზის შვილი, მითოსური რაინდი კარნა, რომელიც მოხსენიებულია ინდურ ეპოს „მაჰაბჰარატაში“. ალმასი ეკუთვნოდა ინდოელი რაჯების ოჯახს.

1739 წელს ინდოეთში შეიჭრა სპარსი მხედართმთავარი ნადირ-შაჰი, რომელმაც ხელში ჩაიგდო ალმასი. სწორედ ნადირ-შაჰს მიაწერენ ამ ძვირფასი ქვის სახელს — „კოჰ-ი-ნურ“ (სპარს. — „სინათლის მთა“). ალმასმა ბევრჯერ შეიცვალა მფლობელი. ბოლოს კვლავ ინდოეთში დაბრუნდა პენჯაბის მაჰარაჯასთან და ლაჰორის — სიკჰების სახელმწიფოს — საგანძურის უნიკალური რელიკვია გახდა. 1848 წელს ბრიტანელებმა თავიანთი იმპერიის კოლონიად გამოაცხადეს პენჯაბი, „კოჰ-ი-ნური“ ხელში ჩაიგდეს და დედოფალ ვიქტორიას მიართვეს.



# ყოფილ საბჭოთა დისიდენტს პორნოგრაფიული ფოტოებისა და ვიდეოების დამზადებასა და შენახვისთვის ასამართლებენ

**დიდ ბრიტანეთში დაიწყო ყოფილი საბჭოთა დისიდენტისა და მწერლის — ვლადიმერ ბუკოვსკის სასამართლო პროცესი. მას ბავშვთა პორნოგრაფიული ფოტოებისა და ვიდეოების დამზადებასა და შენახვაში ადანაშაულებენ.** გამოძიებამ ბუკოვსკის 11 ბრალდება წაუყენა. ამ ბრალდებების მიხედვით, ბუკოვსკი ამზადებდა პორნოგრაფიული შინაარსის ათასობით ფოტოსა და ფილმს, რომლებიც მის კომპიუტერში იპოვეს 2014 წლის შემოდგომაზე. ბუკოვსკი ბრალდებებს უარყოფს. ჯერჯერობით ვერც ბრიტანელი გამომძიებლები ამტკიცებენ, როგორ მოხვდა ეს ფოტოები და ვიდეოები ბუკოვსკის კომპიუტერში. სასამართლო პროცესი მომავალი წლის მარტში განახლდება.

ყოფილი საბჭოთა დისიდენტი ვლადიმერ ბუკოვსკი 1976 წლიდან ცხოვრობს ინგლისში, მას შემდეგ, რაც ის ჩილეს კომუნისტების ლიდერ **ლუის კორვალანში** გაცვალეს.

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაშ, სად არის გამოსავალი?**
**გამოსავალი გონიერებაში, დამღუპველი საგარეო ვექტორის კორექტირებაში, ფუქსავატი და მოღალატე პოლიტიკური კლასის ხელისუფლებისაგან ჩამოცილებასა და ახალ გეოპოლიტიკურ რეალიებში ახალი რეინტეგრაციული პროექტების ძიებაშია. ამ ყველაფერს კი, დროსა და ენერგიასთან ერთად, საზოგადოების ერთიანობა სჭირდება, რათა მათ, ვინც ათეული წლებია, ნატოსა და სხვა მსგავსი ზღაპრებით გვკვებავს, ვინც ამ მეზღაპრეობაში ქვეყანა თავზე დაგვაქცია, ერთხმად შევუძახოთ: ჰკა მაგათა!**

# გამარჯობა, აფხაზეთო, შენი...

**გახსოვთ, ალბათ, გალაკტიონის ლექსზე შექმნილი მუსიკალური კლიპი, რომლის ავტორი ე.წ. ზუმბა და მომღერალ-შემსრულებლები სააკაშვილის ფავორიტები იყვნენ, რომლებიც ამ კლიპამდეც და შემდეგაც ოსანას უგალობდნენ ქვეყნისა და ხალხის წინაშე უამრავი დანაშაულის ჩამდენ პრეზიდენტსა და 9 წლის განმავლობაში ხოტბას ასხამდნენ მის ფაშისტურ რეჟიმს. სიმღერა „საამო იყო სასმენად", მაგრამ სამწუხარო არის ის, რომ შევარდნაძის პერიოდიდან დღემდე, ანუ ბოლო 20 წლის განმავლობაში მხოლოდ ეს კლიპია ერთადერთი „წინ გადადგმული ნაბიჯი" აფხაზეთის დაბრუნების თუ აფხაზეთში დაბრუნების ეკლიან გზაზე...**



როდესაც რეინტეგრაციის (შემდგომში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხების) მინისტრად ამ პოსტისთვის ყოვლად შეუფერებელი **პაატა ზაქარეიშვილი** დანიშნეს, მან არც აცია, არც აცხელა და პირობა მოგვცა: **„მერწმუნეთ, 2-3 წელიწადში სულ სხვა საუბარი გვექნება ოსებთან და აფხაზებთან ამ საკითხზე. დინამიკა სახეზე იქნება. აღარ იქნება აგრესიული რიტორიკა, ერთმანეთის მიმართ ინტერესები უფრო გამოიკვეთება. ახალი პოლიტიკით, სიტუაციის შემობრუნებას 2-3 წელიწადში შევძლებთ"**-ო.

მას შემდეგ 2-3 წლიწადი გავიდა და საინტერესოა, სად, ვის უბეში მალავს რესპუბლიკელი პაატა ზაქარეიშვილი „შემობრუნებულ სიტუაციას".

უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის თემით სპეკულაციაში ზაქარეიშვილი პიონერი არ არის — ეს სენი თითქმის ყველა პოლიტიკურ ლიდერს აქვს მოხდილი, განსაკუთრებით — წინასაარჩევნო პერიოდში.

გავიხსენოთ ცნობილი პოლიტოლოგის — **ალექსანდრე ჭაჭიას** ამონარიდი ინტერვიუდან, რომელიც მან „საქართველო და მსოფლიოს" კარგა ხნის წინათ მისცა:

**„როდესაც ისინი („ქართული ოცნება" — რედ.) ხელისუფლებაში მოვიდნენ, დაგვპირდნენ, რომ 2 წელიწადში მიაღწევდნენ მნიშვნელოვან პროგრესს. ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი? ალბათ, ეს 2 წელი საკრალური ვადაა, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის, ასევე ამჟამინდელი მთავრობისთვისაც. ყველანი გვპირდებოდნენ და გვპირდებიან აფხაზეთის საკითხის 2 წელიწადში გადაწყვეტას. როგორც ჩანს, ამერიკულ პიარინსტრუქციაში უწერიათ: „დავპირდეთ, რომ 2 წელიწადში აფხაზეთს დავიბრუნებთ". ინსტრუქცია შესაცვლელია. არ შეიძლება, 20 წლის განმავლობაში ერთი და იგივე იძახო".**

მართლაც, აფხაზეთი მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ ხელისუფალთ, რომლებიც, თითქოს მოილაპარაკესო, 2 წელიწადში გვპირდებოდნენ ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრას.

თუმცა რა მოლაპარაკება უნდათ — **ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ ხომ საქართველოს ყველა ხელისუფლება არა ქართველი ხალხის არჩეული, არამედ აშშ-ის მიერ შერჩეულ-დანიშნულია და ისინიც ცხვრებივით ერთხმად იმეორებდნენ და იმეორებენ ოკეანის გაღმიდან მიღებულ ინსტრუქციას.**

„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის მეოთხე წელიწადი დაიწყო და შეპირებული პროგრესი აფხაზეთის საკითხებში არათუ არსად ჩანს, არამედ სოხუმმა თბილისისგან პოლიტიკური დისტანცირება მოახერხა.

რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთთან, აგრეთვე, ცხინვალის რეგიონთან გააფორმა ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც, „თანამშრომლობის, ინტეგრაციისა და პარტნიორობის" ძირითადი მიმართულებებია:

*** ურთიერთშეთანხმებული საგარეო პოლიტიკის განხორციელება;**

*** „საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების სივრცისა" და „საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის" შექმნა".**

ამ აშკარა საფრთხეზე ოფიციალური თბილისის პასუხები კი ნაცნობი კლიშეებია:

„ე.წ. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება"; „ამ ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არ აქვს"; „მას არ ცნობს ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე დასავლეთი (წაიკითხე აშშ)", „აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რუსეთის გარდა, მხოლოდ ნაურუ-ნიკარაგუა-ვენესუელამ ცნო" და ა.შ.

შე კაი კაცო, ამ სისულელეებს რომ ჩმახავ, რუკას მაინც დახედე — თუნდაც მსოფლიოს ყველა ქვეყანამ (ერთის გამოკლებით) რომ არ ცნოს აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მხოლოდ რუსეთის ცნობა არ ეყოფათ აფხაზებს პურადაც და ყველადაც?

მთავარია, რომ დე ფაქტო არსებობს ასეთი ქვეყანა, თორემ გაეროს, ევროკავშირისა თუ ამერიკის სახდეპის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ რეზოლუციებსა და განცხადებებს ტუალეტის ქაღალდის ფასი აქვს...

# ამერიკის დაუკითხავად სიზმარი ვერ უნახავთ ჩვენს ხელისუფალთ და რომელ ღირსება-თავმოყვარეობაზე ლაპარაკობს ჩვენი მართლაც უღირსი პრეზიდენტი?!

**მიიხედ-მოიხედეთ, რა ხდება მსოფლიოში — ჩვენი სტრატეგიული „მოკავშირე და მეგობარი" აშშ, თავის ევროკავშირიანად, რუსეთმა ჯერ ყირიმის დაბრუნებით შეაშფოთა, შემდეგ კი სირიაში ყველა ერთად „დაიკიდა"...**

**ვერ ხედავთ, რომ ერთპოლუსიან მსოფლიოში ამერიკელთა დაუსჯელი პარპაშის დასასრული რუსეთმა კასპიის ზღვიდან გაშვებული რაკეტებით ამცნო მსოფლიოს? ვერც იმას ხედავთ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში აშშ-ის მიერ შეურაცხყოფილი, დამცირებული, გაძარცვული და ლამის დაჩოქებული რუსეთი მისმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ტრიუმფით რომ დააბრუნა დიდ გეოპოლიტიკაში?**

ეტყობა, ამ ყველაფერს ვერ ხედავენ ან არ უნდათ, დაინახონ. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტ მარგველაშვილისა და შერიგების მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებებიდან ასე ჩანს:

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ რუსეთთან ეკონომიკური და სავაჭრო, კულტურული ურთიერთობების აღდგენისა და ნდობის ატმოსფეროს ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ, ამავე დროს, პრინციპულები ვართ — ამ გზაზე არ იქნება არავითარი დათმობა, რომელიც ჩრდილს მიაყენებს ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ჩვენს ღირსებას"...

რა უნდა ითქვას პრეზიდენტ მარგველაშვილის ამ „ვაჟკაცურ" განცხადებაზე?

არდათმობით ხომ კაი ჩიტი დაგვაჭერინეს და ახლა ტურასაც დაგვაჭერინებენ.

ახლა კი ჩემ მიერ დასმულ კითხვას ისევ ახალი კითხვებით ვუპასუხებ, ოღონდ არა „ქსლისა მბეჭველი" მარგველას (რომელსაც თავი მართლა ქართველი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ჰგონია), არამედ მკითხველის საყურადღებოდ:

**დღეს საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანაა თუ ამერიკის ვასალი (უფრო სწორად მონა), რომელიც თეთრი სახლის „ნამესტნიკი" აშშ-ის ელჩის მიერ იმართება?**

ან **სად არის ჩვენი ღირსება და თავმოყვარეობა? თუნდაც „რუსთავი 2"-ის მოვლენებიდან გამომდინარე, რომელ ღირსებაზეა ლაპარაკი, როცა ერთმანეთს ასწრებენ ევროკავშირი თუ აშშ, რომელი უფრო შეურაცხმყოფელ განცხადებას გამოაცხობს ნეოლიბერალური დემოკრატიის ქურაში?**

გიორგი ლეონიძის ციციკორესი არ იყოს, **ამერიკის დაუკითხავად სიზმარი ვერ უნახავთ ჩვენს ხელისუფალთ და რომელ ღირსება-თავმოყვარეობაზე ლაპარაკობს ჩვენი მართლაც უღირსი პრეზიდენტი?**

ახლა ვნახოთ, რას ამბობს ჩვენი შერიგების მინისტრი, რომელსაც, ეტყობა, უგრძვნია, რომ ის „საკრალური" 2 წელიწადი, რომელზეც ბატონი ალექსანდრე ჭაჭია საუბრობდა, გასულა.

**„საქართველო მზადაა, ფედერაციული მოწყობის საკითხი განიხილოს, სადაც აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი ექნება,** — განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი შეხვედრის მეორე სესიაზე გამოსვლისას".

ამაზეა ნათქვამი, — შეაყარე კედელს ცერცვიო...

**მსგავსი წინადადება, შესაძლოა, თავის დროზე აქტუალური ყოფილიყო, მაგრამ სიტყვა „ფედერაციის" გაგონებაზე ჩვენმა იმჟამინდელმა ხელისუფლებამ „ქოში უკუღმა ყარა" და საინტერესოა, რა განსაკუთრებულ სტატუსს სთავაზობს აფხაზებს ამხანაგი შერიგების მინისტრი ახლა, სოხუმმა თუნდაც მხოლოდ რუსეთის მიერ აღიარებული „დამოუკიდებელი აფხაზეთის" სტატუსი თბილისის შეთავაზებაში რომ გაცვალოს?**

და ყველაზე მთავარი — სად აკეთებს ამ უაზრო განცხადებას „ზაქარაანთ პაატა"? — „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი შეხვედრის მეორე სესიაზე".

რუსეთის გეოპოლიტიკური ტრიუმფიდან გამომდინარე, ევროკავშირს ვინ ეკითხება, აფხაზეთში ბალი ათი შაურია თუ უფრო მეტი? ერთი სიტყვით, აბსურდულ განცხადებას თავი რომ დავანებოთ, შერიგების მინისტრს, სულ ცოტა, მისამართი შეეშალა, რადგან რუსეთის დაუკითხავად აფხაზეთში ბუზიც ვერ შეფრინდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ:

**ვერც „საკრალურ" ორ წელიწადში, ვერც, გნებავთ, ოთხში, ანუ უახლოეს მომავალში აფხაზეთს ვერავინ დააბრუნებს საქართველოს იურისდიქციაში და ის პოლიტიკოსი, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს, ან ბრიყვია, ან, უბრალოდ, მატყუარა!**

ამას მყისიერად ვერც პუტინი შეძლებს, როგორც ბევრს ჰგონია, რომ მხოლოდ პუტინის (რუსეთის) კეთილ ნებაზეა დამოკიდებული ყველაფერი.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეს აკონტროლებენ რუსები აფხაზეთში, მათ ურთიერთობებშიც არსებობს წითელი ხაზები, რომელთაც პუტინი ვერ გადავა. რომც გადავიდეს და უბრძანოს აფხაზეთს საქართველოში დაბრუნება, ამ ბრძანებას აფხაზები არ შეასრულებენ და დაჩოქილნი არ დაიწყებენ ქართული ჯარის ამერიკული „ბატინკების" ლოკვას.

**მაშ, სად არის გამოსავალი?**

**გამოსავალი გონიერებაში, დამღუპველი საგარეო ვექტორის კორექტირებაში, ფუქსავატი და მოღალატე პოლიტიკური კლასის ხელისუფლებისგან ჩამოცილებასა და ახალ გეოპოლიტიკურ რეალიებში, ახალი რეინტეგრაციული პროექტების ძიებაშია. ამ ყველაფერს კი დროსა და ენერგიასთან ერთად საზოგადოების ერთიანობა სჭირდება, რათა მათ, ვინც ათეული წლების განმავლობაში ნატოსა და სხვა მსგავსი ზღაპრებით გვკვებავს, ვინც ამ მეზღაპრეობაში ქვეყანა თავზე დაგვაქცია, ერთხმად შევუძახოთ: ჰკა მაგათა!**

იმედი მაქვს ადრე თუ გვიან ასეც მოხდება და იმ დღეს მოვესწრები, რომ აფხაზეთში, ამ მიწიერ სამოთხეში, ძველებურად, წელიწადში ერთხელ მაინც დავისვენებ და რაჭაში „ჩერეზ" ცხინვალი ჩავალ, როგორც ადრე, ჩემი ჯეელობის ჟამს.

ამისთვის კი საჭიროა, თვალი გავუსწოროთ რეალობას და, სოხუმ-ცხინვალის აღებაზე კი არა, აფხაზებისა და ოსების გულებში ქართველთა დაბრუნებისთვის ვილვაწოთ!

ეს „მცირედიც" კი რუსებთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენის გარეშე სრული უტოპიაა და ამაზეც ვიფიქროთ, ქართველებო...

**დავით მხეიძე**

**მსგავსი წინადადება, შესაძლოა, თავის დროზე აქტუალური ყოფილიყო, მაგრამ სიტყვა «ფედერაციის» გაგონებაზე ჩვენმა იმჟამინდელმა ხელისუფლებამ «ქოში უკუღმა ყარა» და საინტერესოა, რა განსაკუთრებულ სტატუსს სთავაზობს აფხაზებს ამხანაგი შერიგების მინისტრი ახლა, სოხუმმა თუნდაც მხოლოდ რუსეთის მიერ აღიარებული «დამოუკიდებელი აფხაზეთის» სტატუსი თბილისის შეთავაზებაში რომ გაცვალოს**

**საკითხავია, სააკაშვილი ისეთი სულელია, არ იცის, მუდმივი თვალთვალის ობიექტი რომ არის? იცის, მაგრამ ავანტიურისტია, რომელსაც კუბის რევოლუციის გმირის — ერნესტო ჩე გევარასგან განსხვავებით სხვისი სიცოცხლე აქვს სასწორზე შეგდებული. მზადაა, გაწიროს ქართველი ხალხი იმისთვის, რომ როგორმე კვლავ საქართველოს ხელისუფლების სათავეში დადგეს ამერიკელების დახმარებით.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ანზორ მაისურაძე:**

# რაც ვნახე და წავიკითხე, არის ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული

**ფარული ჩაწერებისა და სახელმწიფოს უშიშროების დაცვის თემაზე ვისთან უნდა გველაპარაკა, თუ არა უშიშროების გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძესთან.**




**— როგორ აფასებთ, ბატონო ანზორ, აჟიოტაჟს, რომელიც ამ დღეებში ქართულ მედიასაშუალებებში არის ატეხილი ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებაზე?**

— უპირველეს ყოვლისა, სრულიად უადგილოდ მიმაჩნია იმაზე კამათი, კანონიერი იყო თუ არა მიყურადება, რომლის ჩანაწერი „ვიკილიქსმა“ გაასაჯაროვა.

ვის უნდა უზრუნველეყო ამ მოსმენის კანონიერება, გაუგებარია. **საქართველოს სპეცსამსახური ვერ სთხოვდა, ვთქვათ, უკრაინელ კოლეგებს, უზრუნველეყოთ მათი ქვეყნის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის მოხელის — მიხეილ სააკაშვილის ფარული ჩაწერის კანონიერება.**

მეორე — სრული აბსურდი იქნებოდა, საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს ასეთი ნებართვის მისაღებად ჩვენი ქვეყნის სასამართლოსთვის რომ მიემართათ ისეთი საქმის განსახორციელებლად, რომელზეც ხელი არ მიუწვდებოდათ.

ამიტომაა ფუჭი კანონიერებაზე კამათი ამ სპეციფიკურ შემთხვევაში.

ყველა ქვეყანაში მოსმენას სპეცსამსახურები ყოველთვის განახორციელებდნენ, ასეა ამჟამად და მომავალშიც ასე იქნება.

როცა აშშ-ის ერთ-ერთ კონგრესმენს შეეკითხნენ, რატომ უსმენთო, იმან უპასუხა,— შეგვიძლია და ვუსმენთ, თუ შეგიძლიათ, თქვენც მოუსმინეთო.

**სახელმწიფო ყოველთვის დაინტერესებულია, იცოდეს ის თემატიკა, რომლის შესახებაც საუბრობენ გარკვეული პიროვნებები, უპირველესად კი, ისინი, ვისგანაც მოსალოდნელია ანტისახელმწიფოებრივი ქმედების ორგანიზება, სახელმწიფო ან სხვა სახის საიდუმლოს გაცემა, თანამშრომლობა უცხო ქვეყნების დაზვერვასთან და ა.შ.**

სპეცსამსახურები, უწინარეს ყოვლისა კი, კონტრდაზვერვა სწორედ ამისთვის არსებობს. ამას მოითხოვს სახელმწიფოს უშიშროების დაცვა. ფარული ჩაწერა ერთ-ერთი საშუალებაა ინფორმაციის მოპოვების, მისი სათანადო შემოწმებისა და გადამოწმების. საიდუმლო საუბრების გაშიფრული მასალების ანალიტიკურ დასკვნებს, როგორც წესი, სახელმწიფოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის შემუშავების დროს ითვალისწინებენ.

რა არის აქ გასაკვირი და საპანიკო, გაუგებარია.

**— თუ ჩვენს სპეცსამსახურებს ზემოთ აღნიშნული საუბრები (სააკაშვილის მიერ გვარამიასთვის, ბოკერიასთვის, წიკლაურისთვის, თარგამაძისთვის მიცემული დავალებები) არ ჩაუწერია და ვერც ჩაიწერდა, მაშ, ვინ უსმენს და იწერს — აშშ, რუსეთი თუ კიდევ რომელი დაინტერესებული ქვეყანა?**

**«როცა სააკაშვილი «რუსთავი 2»-ის გენერალურ დირექტორ ნიკოლოზ გვარამიას მოუწოდებს, ტელევიზიის ტერიტორიაზე მიიტანოს რკინები, ააგოს ბარიკადები, დასაცავად მიიყვანოს ყოფილი სპეცრაზმელები, «ბოევიკები» და გამაგრებულ რედუტად აქციოს იქაურობა, ეს «სიტყვის თავისუფლების» დასაცავი ღონისძიებებია თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალადობრივი გამოსვლის ორგანიზების მცდელობა?! — ეს არის წმინდა წყლის ავანტიურა და «რუსთავი 2»-ის თანამშრომლების განირვაც»**

— ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეჭვიც არ მეპარება, რომ ყველა ყველას უსმენს. უწინ, თუ მხოლოდ შეერთებულ შტატებს ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ყველასთვის მოესმინა...

**— მათ შორის, თავისი მოკავშირე ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირებისთვისაც...**

— დიახ. ანგელა მერკელისთვისაც მათ შორის. თქვენს მკითხველებს, ალბათ, არ დავიწყებიათ, როგორი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა ამ ფაქტის გამოაშკარავებას გერმანიაში და ნატოს წევრ სხვა ქვეყნებში.

ახლა ფარული მოსმენის შესაძლებლობა სხვა განვითარებულ ქვეყნებსაც აქვთ — გერმანიას, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, რუსეთს.

ამათგან რომელმა ჩაიწერა სააკაშვილის საუბრები, რომლებსაც ჯერჯერობით და, სავარაუდოდ (რადგან გამოძიება მხოლოდ ახლა დაიწყო და სასამართლო განაჩენი არ დამდგარა), სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზების ნიშნები რომ ახასიათებს, ვერ გეტყვით.

**— დაინტერესებული „ანალიტიკოსები“ და მედიასაშუალებები ცდილობენ, რომ უკრაინული ტელევიზიით გავრცელებული ეს ჩანაწერები წარმოგვიდგინონ, როგორც უწყინარი, მშვიდობიანი საპროტესტო აქციებისკენ მოწოდება, რომლებიც სიტყვის თავისუფლების დაცვას მიეძღვნება... და ხელს რუსეთისკენ იშვერენ.**

— გასაგებია რატომაც. ამაზე სიტყვას ნუ გავაგრძელებთ. „ვიკილიქსი“ ვისია? უკრაინის, რუსეთის თუ ამერიკის? ნუ ვიმარჩიელებთ. ვისიც არის, იმან მოუსმინა, ჩაწერა და გადასცა „ვიკილიქსს“, რომლის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია **ჯულიან ასანჯი**, ავსტრალიელი ინტერნეტჟურნალისტი და ტელეწამყვანი; აღიარებული პარტნიორები კი — **კრისტინ ხრაფსონი, ჯოზეფ ფარელი და სარა ჰარილსონი.**

ახლა „მშვიდობიანი აქციების“ შესახებ.

**როცა სააკაშვილი „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორ ნიკოლოზ გვარამიას მოუწოდებს, ტელევიზიის ტერიტორიაზე მიიტანოს რკინები, ააგოს ბარიკადები, დასაცავად მიიყვანოს ყოფილი სპეცრაზმელები, „ბოევიკები“ და გამაგრებულ რედუტად აქციოს იქაურობა, ეს „სიტყვის თავისუფლების“ დასაცავი ღონისძიებებია თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალადობრივი გამოსვლის ორგანიზების მცდელობა?! — ეს არის წმინდა წყლის ავანტიურა და „რუსთავი 2“-ის თანამშრომლების გაწირვაც.**

არ ვიცი, ამ სიტუაციას როგორ კვალიფიკაციას მისცემს კანონი, რადგან იურისტი არ ვარ, მაგრამ, როგორც ამ საქმეში ასე თუ ისე ჩახედული კაცი და სპეციალისტი, მივიჩნევ, რომ **ის, რაც ვნახე და წავიკითხე, არის ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.**

**სხვა ქვეყნის ერთ-ერთი გუბერნატორი ჩემს ქვეყანაში რომ ცდილობს, მოაწყოს გამოსვლები, არეულობა, დივერსიები და პროვოკაცია, ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ეს დანაშაულებრივი ქმედებაა?!**

ეჭვის შეტანა რომ შეუძლებელია, იმიტომაც აღიძრა საქმე, მიმდინარეობს გამოძიება, დაიკითხნენ კიდეც ფიგურანტები, მაგრამ...

**— რა არ მოგწონთ?**

— მე რომ ვიყო უშიშროების უფროსი, გაცილებით მკაცრად მოვიქცეოდი. უფრო მკაცრად!

**— ანუ?**

— ანუ დავიწყებდი ჯვარედინ დაკითხვას, მოვითხოვდი 2 თვით ციხეში მათ ჩასმას და იქ, ციხეში, დაკითხვების ჩატარებას.

ასეა საჭირო საქმისთვის.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ უშიშროების უფროსი. დაიჯერეთ, რომ შეთქმულების ორგანიზებას კი არ ცდილობენ სააკაშვილი და მისი რამდენიმე მომხრე, არამედ „დემოკრატიული, დასავლური ღირებულებების“ დაცვას აპირებენ, ამიტომაც არ განახორციელეთ ნეიტრალიზაციისთვის აუცილებელი ღონისძიებები, რეაგირების გარეშე დატოვეთ ან, როგორც აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ თქვა, „დაუძახეს პროკურატურაში, ყავა დაალევინეს და სახლში გაუშვეს“.

და შედეგად ქვეყანაში დაიწყო არეულობა, სამოქალაქო დაპირისპირება, რომელსაც სისხლისღვრა და მსხვერპლი მოჰყვა. რას ეტყვით ხალხს, რით იმართლებთ თავს?!

ხომ იქნება ეს თქვენ მიერ ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაული?

ამიტომ გამოძიება უნდა წარიმართოს მიუკერძოებელი სიმკაცრით, თორემ ხომ ხედავთ, რომ ერთ-ერთ ფიგურანტს „შაყირის“ საბაბი მიეცა და განაცხადა კიდეც, რომ ე.წ. მოდულის შენობას უნდა გაუკეთონ წარწერა „შემოიარე, გენაცვალე!“.

შეიძლება ისიც არის, რომ პროკურატურის ტაქტიკას ზუსტად ესადაგება ერთი რუსული ანდაზა — „რბილად უფენენ და მაგრად ურტყამენ“.

**— როგორ ფიქრობთ, ბატონო ანზორ, ჩვენს ამ საუბარს ისმენენ?** *(ანზორ მაისურაძეს ეს ინტერვიუ ტელეფონით ჩამოვართვი).*

— ***(ეცინება)*** ისმენენ, აბა, არ ისმენენ?! **ჩემი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ვამბობდი და ვიმეორებ: ყოველთვის გვისმენენ.**

არაერთხელ მითქვამს: მთელი ცხოვრება სხვებს ვუსმენდი. ახლა მე მომისმინონ. ეს ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნია. ***(იცინის)***. ასეთი იყო ჩემი სამსახურის სპეციფიკური მოთხოვნა, თორემ ვის რად აინტერესებს სხვისი საუბრების მოსმენა?!

მიყურადება, საზოგადოდ, არაეთიკურია, ამორალური, როგორც, მაგალითად, სხვისი წერილის წაკითხვა. ეს აქსიომაა.

მაგრამ **რისთვის ხდება მოსმენები? ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები, ამიტომ ისმენდნენ, ისმენენ და კვლავაც ფარულად მოისმენენ.**

**— სააკაშვილსაც ამიტომ უსმენენ?**

— რა თქმა უნდა. აინტერესებს ამერიკელებსაც და მათ მოწინააღმდეგეებსაც: სააკაშვილი მართლა ის კაცია, რომელიც ჩახუტებული უნდა ჰყავდეთ მის პატრონებს, თუ განზე გაუტია? ეს კონტროლის ერთგვარი ფორმაც არის.

**— „ვიკილიკსის“ „სააკიანა“, იქნებ, ამერიკელების ორგანიზებულია, რომლებსაც მობეზრდათ „თავიანთი შობელძაღლი“?**

— არა, არა ბატონო. ასე რომ ყოფილიყო, ისინი სხვანაირად მოიქცეოდნენ. ჯერ სჭირდებათ სააკაშვილი, მაგრამ **საკითხავია, სააკაშვილი ისეთი სულელია, არ იცის, მუდმივი თვალთვალის ობიექტი რომ არის? იცის, მაგრამ ავანტიურისტია, რომელსაც კუბის რევოლუციის გმირის — ერნესტო ჩე გევარასგან განსხვავებით სხვისი სიცოცხლე აქვს სასწორზე შეგდებული. მზადაა, გაწიროს ქართველი ხალხი იმისთვის, რომ როგორმე კვლავ საქართველოს ხელისუფლების სათავეში დადგეს ამერიკელების დახმარებით.**

**— სიტყვამ მოიტანა და ერთ შეკითხვასაც დაგისვამთ: 6 ნოემბერს საქართველოში აშშ-ის საელჩომ სოციალურ ქსელში გაავრცელა თავისი შეშფოთება „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული სასამართლო დავის შედეგების გამო, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება შეცვალოს ევროატლანტიკური მიმართულების კურსი.**

— აშშ-ის საელჩოს განცხადების კომენტირება ჩემი საქმე არ არის. გავიმეორებ ჩვენი სახელოვანი რეჟისორის — რობერტ სტურუას მიმართვას აშშ-ის ელჩის — იან კელისადმი, რომელიც თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ***(კითხულობს):*** „რას ერჩით ჩემს პატარა ქვეყანას? რა სიმდიდრე აღმოაჩინეთ ჩვენს მიწაზე — ნავთობი თუ ოქრო, ასე რომ ზრუნავთ ქართველებზე?! დღეს, როცა ყველაფერს უსმენენ და ხედავენ... რატომ იცავთ იმ ავაზაკთა ბანდას, საქართველო რომ გაანადგურა, მოსპო დემოკრატია, გახრწნა და ფულებით გაბერა ვილაც-ვილაცა ჩინოვნიკები; რატომ ურეკავთ, (ჭკუას) არიგებთ და ასე საეჭვოდ ეხმარებით ავადმყოფს, რომელსაც ნამდვილი ამერიკელი ხელსაც არ ჩამოართმევდა?!“

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. რობიკო სტურუა აშშ ელჩისადმი ამ მიმართვას ასე აწერს ხელს: „ამერიკის პატრიოტი რ. სტურუა“.**

**არც ჩვენ ვართ ამერიკის წინააღმდეგ ამხედრებული მანიაკები.**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დააკვირდით, მოსწავლეებისთვის მიცემული დავალება შემდგომში მდგომარეობს: „დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში არსებული ჰომოსექსუალების ან ლესბოსელების საზოგადოებას. მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება მოქმედებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზაა. მოიწვიეთ მათი წარმომადგენელი ჯგუფთან სასაუბროდ, რათა გაარკვიოთ, რომელი საკითხები და უფლებებია ყველაზე მწვავე თქვენს ქვეყანაში“.**

# «განათლების სამინისტრო სასკოლო სავარჯიშოების ნუსხაში მამათმავლობისა და ლესბოსელობის სიმულაციის შეტანას გეგმავს»

**„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ სასულიერო პირებსა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად აპროტესტებს საქართველოს საჯარო სკოლებში ახალი საგნების — „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ — სწავლების შემოღებას და განათლების სამინისტროს სთხოვს, ამ საგნების სწავლება არ დაუშვას, ვინაიდან მომავალი თაობისთვის დამღუპველი შედეგის მომტანი იქნება. მათი აზრით, ამ ერთი შეხედვით უწყინარი სახელმძღვანელოების მიღმა საფრთხე იმალება. ახალი საგანი „მე და საზოგადოება“ მესამე-მეოთხე კლასელებისთვის, ხოლო „ჩვენი საქართველო“ მეხუთე-მეექვსე კლასელებისთვისაა განკუთვნილი და მათ საჯარო სკოლებში სასწავლო პროგრამაში შეტანას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2016-1017 წლებში გეგმავს. გვესაუბრება „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ხელმძღვანელი ავთანდილ უნგიაძე.**



**— ბატონო ავთანდილ, თქვენ საქართველოს საჯარო სკოლებში ორი ახალი საგნის სწავლებას აპროტესტებთ. პედაგოგთა გადამზადებისა და სამოქალაქო განათლების პროგრამაში მითითებულია, რომ ეს საგნები მიზნად ისახავს, მოსწავლეს გააცნოს სოციალური გარემო, დაეხმაროს მას საკუთარი თავის აღქმაში, განუვითაროს თვითგამოხატვის უნარი, ასწავლოს პირადი ჰიგიენისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა და ა.შ. რა საფრთხეს ხედავთ, თუ მოსწავლეები აღნიშნულ საგნებს ისწავლიან?**

— ამ საგნების სწავლება სინამდვილეში მიზნად ისახავს მომავალი თაობის პიროვნული და ეროვნული ფასეულობების ნგრევას, მართლმადიდებლობისა და ეკლესიის როლის დასუსტებას, საზოგადოების ლგბტ-ზაციას, ერთნაირსქესიანი, არატრადიციული ოჯახების ნორმად მიჩნევას და ხელს უწყობს არაეროვნული, ანტიმართლმადიდებლური, კოსმოპოლიტური და ეკუმენისტური ცნობიერების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას. სახელმძღვანელოში გარკვევითაა მითითებული სწავლების ერთ-ერთი მიზანი — დაეხმაროს მოსწავლეს იმის გაცნობიერებში, რომ საქართველოს ერთ-ერთი მახასიათებელი მისი ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნებაა და არა მართლმადიდებლობა, ჩვენი ეროვნული, ავთენტური კულტურა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები.

**ჩვენ გავეცანით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებულ დოკუმენტს, რომელიც შეეხება ახალი საგნების — „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ — სკოლებში დანერგვას, წავიკითხეთ მათი სასწავლო გეგმები და სტანდარტები, პედაგოგთა გადასამზადებელი სახელმძღვანელოები, ესენია — პედაგოგთა გადამზადებისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო (სტატიების კრებული; წიგნი პირველი; ინდივიდები და საზოგადოებები); კომპასი (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით) და კომპასიტო (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის), რომლებიდანაც ცხადი ხდება ამ სწავლების მიზანი, ის ბოროტება, რაც ამ საგნების დასავლელ დამკვეთებსა და აღმასრულებლებს ჩვენი შვილების გასარყვნელად და დასაღუპავად აქვთ ჩაფიქრებული.** სხვათა შორის, ეს ყველაფერი სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეც იყო განთავსებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც საპატრიარქოს სასწავლო ცენტრმა ამ დოკუმენტებზე განცხადება გააკეთა, ინფორმაცია განათლების სამინისტროს ვებგვერდიდან გაქრა.

ეს საფრთხეები სტანდარტებსა და გეგმებში არაპირდაპირ, შეფარულადაა აღწერილი, ერთი შეხედვით, თითქოს პოზიტიური ტერმინების მიღმა, მაგრამ მათში ძალიან დიდი საფრთხე იმალება.

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა (ACETT) სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელოა და ტექსტები სამ წიგნად გამოიცემა. პირველი წიგნი მიმოიხილავს სოციალური მეცნიერებების საგანსა და ამოცანებს, მიკრო და მაკრო სოციალურ თეორიებს, გენდერის, რელიგიისა და კულტურის ცნებებს.

**«მესმის, რთულ პირობებში არიან, ვალდებულება აიღეს და ახლა ასრულებენ, მაგრამ ნუ ამბობენ, თითქოს ეს ქართველი ხალხის არჩევანია. ეს სიცრუეა, ქართველ ხალხს ასეთი არჩევანი არასდროს გაუკეთებია. თანაც, როგორ აკეთებენ ამას? — საზოგადოების ნების წინააღმდეგ, ტყუილებით, მზაკვრულად»**

მაგალითად, **რელიგიისა და რწმენისადმი მიძღვნილ სპეციალურ თავში (71-72 გვ.) სარწმუნოება ისეა განხილული, თითქოს ის ტერორისა და ძალადობის წყაროა. მათი მიზანია, პედაგოგმა მოსწავლეს რელიგიასა და სარწმუნოებაზე ნეგატიური წარმოდგენა ჩამოუყალიბოს.** ხოლო სპეციალურ თავში — **გენდერი** (105-136.გვ) ნათქვამია, ვინაიდან საზოგადოება თავისი ტრადიციული შეხედულებებით ბიოლოგიური სქესის მატარებელზე ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს, ძალადობს მასზე, რათა იგი ჩამოყალიბდეს არა საწინააღმდეგო სქესის, არამედ თავისი ბიოლოგიური სქესის შესაბამისად, ეს **სტერეოტიპები უნდა დაინგრეს და ბავშვს მიეცეს საშუალება, თვითონ აირჩიოს სქესი და სოციალური როლი.** საგულისხმოა, რომ ამ თეორიის მიმდევრები ყველანაირად ცდილობენ, ბავშვს დეზორიენტირებული სქესობრივი მიდრეკილებები და მისწრაფებები გაუღვივონ.

**— სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ ბავშვმა თვითონ უნდა აირჩიოს სქესი?**

— დიახ, ასე წერია. ის, რაც სტანდარტებში შეფარვითაა გადმოცემული, პედაგოგთა გადამზადების სახელმძღვანელოში უკვე ღიად წერია და მეტიც, მითითებულია, თუ რა სავარჯიშოები უნდა შესთავაზოს პედაგოგმა ბავშვებს. მაგალითად, **იმავე გენდერის თავში მოცემულია ასეთი განსახილველი თემა — სავარჯიშო (გვ.105): „წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდით. რისი შეცვლა მოგიწევდათ? პირველ რიგში, ალბათ, თქვენს გარეგნობას შეცვლიდით — ტანისამოსს, ვარცხნილობას და, შესაძლოა, სამკაულს. შესაძლოა, აგრეთვე, ადამიანებთან ქცევის მანერის შეცვლაც მოგიწიოთ...**

დაბადების მომენტიდანვე ბიჭებისა და გოგონების მიმართ ქცევაზე გენდერული მოლოდინები ახდენს გავლენას. ახლა, როდესაც უკვე შესაძლებელია მუცლადყოფნის პერიოდში ბავშვის სქესის დადგენა, გენდერული მოლოდინები დაბადებამდე ყალიბდება... კვლევების დიდი ნაწილი გვიჩვენებს, რამდენად სტერეოტიპულია მშობლებისა და გარემოს ქცევა ბავშვების მიმართ“.

**— გამოდის, რომ პროექტის მიხედვით, პედაგოგებმა მოზარდებს ე. წ. როლური თამაშების მეშვეობით, განსხვავებული ორიენტაციის პირების როლის თამაში უნდა შესთავაზონ?**

— დიახ, ეს ე. წ. როლური თამაშები ძალიან საშიშია. თუმცა ეს საკითხებიც ძალიან მზაკვრულადაა გადმოცემული. თითქოს ეს როლური თამაშები რომელიმე სოციალურ თემას უკავშირდება, მაგალითად, ნაგვის გატანას. კი ბატონო, ამის წინააღმდეგი არავინ არ არის, მაგრამ ანალოგიურად შეიძლება, ბავშვებს სექსუალურ უმცირესობებთან ურთიერთობების სცენაც დაადგმევინონ. შესაძლოა, მოსწავლეს დაეკისროს რომელიმე უმცირესობის წარმომადგენლის, მაგალითად, ლბტ-თემის ან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლის როლის შესრულება, რაც მოსწავლეში არა მხოლოდ ცოდვის მიმართ შემწყნარებლობას, არამედ ამ ცოდვისადმი მიდრეკილების პროვოცირებასაც იწვევს.

**კატეგორიულად მიუღებელია ე.წ.როლური თამაშების საშუალებით, (სიმულაციები, ცხელი სკამი, გაფუჭებული ტელეფონი და ა.შ) მოსწავლეთა ცნობიერების წარმართვა, რადგან ე.წ. როლური თამაშები ფსიქიკაზე ზემოქმედების მძლავრი საშუალებაა.**

ასევე დაუშვებელია მსგავსი თამაშების საშუალებით მოსწავლის ცნობიერების წარმართვა მშობლების წინააღმდეგაც. მაგალითად, ბავშვებმა უნდა ჩაატარონ პრეზენტაცია იმისა, როგორ არ ესმით ოჯახის წევრებს მათი. **„როლური თამაშის დადგმა, სადაც მოსწავლეთა ერთი ჯგუფი მშობლის როლს მოირგებს, მეორე კი — ბავშვების და ერთმანეთს რჩევებს მისცემენ ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით“** (იხ. გზამკვლევი. გვ. 27).

სახელმძღვანელოში აღწერილია ექსპერიმენტი, რომლითაც ცხადი ხდება, როგორი დავალებების მისცემას აპირებენ ბავშვებისთვის (106 გვ. თავი — სქესის შეცვლა): **„ჩაატარეთ ექსპერიმენტი ამ ნაწილის დასაწყისში მოყვანილი ტექსტის მაგალითზე. მაგალითად, „1. პირველ რიგში, ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც, თქვენი აზრით, დაგჭირდებოდათ იმისათვის, რათა შეგეცვალათ თქვენი საქციელი, თუკი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი გახდებოდით... 2. 24 საათის განმავლობაში შეეცადეთ, შეცვალოთ ის, რისი შეცვლაც გსურთ. აწარმოეთ დღიური, რომელშიც მონიშნავთ, თუ როგორ რეაგირებენ სხვები თქვენს საქციელზე ამ პერიოდის განმავლობაში და თუ როგორ იგრძნობთ თავს აღნიშნული ცვლილებების განხორციელებისას; 3. ექსპერიმენტის დასრულებისთანავე მოამზადეთ წერილობითი ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იქნება, თუ რა გასწავლათ თქვენმა ხანმოკლე ექსპერიმენტმა საპირისპირო სქესის ამპლუაში ყოფნის თაობაზე და როგორ ხდება (ან არ ხდება) გენდერული იდენტობის მხარდაჭერა სოციალური ურთიერთქმედებისას“.**

ამას გარდა, წარმოდგენა ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებების არსებობის შესახებ რასიზმთან არის შედარებული.

**კომპასიტო** — ეს არის ბავშვების სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში (ევროპის საბჭო. 2004 წ). იმისთვის, რომ გავერკვეთ, რა მიზნებს ემსახურება ეს სახელმძღვანელო, საკმარისია, გავეცნოთ მოცემულ თემებსა და სავარჯიშოებს. მე-17 თავში, სახელწოდებით „იყო და არა ▶

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „რელიგიისა და რწმენისადმი მიძღვნილ სპეციალურ თავში (71-72 გვ.) სარწმუნოება ისეა განხილული, თითქოს ის ტერორისა და ძალადობის წყაროა. მათი მიზანია, პედაგოგმა მოსწავლეს რელიგიასა და სარწმუნოებაზე ნეგატიური წარმოდგენა ჩამოუყალიბოს“.



**«ბავშვებმა «გაფუჭებული ტელეფონის» თამაშის გზით ერთმანეთს ბავშვთა უფლებების კონვენციის პუნქტები უნდა გაუზიარონ და ოჯახის წევრებს ინტერვიუ ჩამოართვან, თუ რატომ არ მისდევენ ისინი ჯანსაღი ცხოვრების წესს. მოსწავლემ უნდა აღწეროს კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში, ასევე, უნდა აიღოს ინტერვიუ ოჯახის წევრებისგან, რატომ არ ცხოვრობენ ჯანსაღი ცხოვრების წესით. ეს არის უპატივცემულობის დანერგვა მშობლების მიმართ. ცხადია, რომ ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტს უტევენ»**

„იყო რა“ წერია: **„ნახე, რა ხდება, როდესაც ცნობილი ზღაპრის პერსონაჟებს სქესს შეუცვლი“ და იქვე მოცემულია სავარჯიშოს აღწერა: ბავშვებმა უნდა მოყვნენ ცნობილი ზღაპარი, რომელში პერსონაჟებს სქესი აქვთ შეცვლილი, „რასაც გენდერულ სტერეოტიპებზე დისკუსია მოჰყვება“.**

თავში — **„დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის გამო“**, განმარტებულია ტერმინი ჰომოფობია და აღნიშნულია: მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ჩატარებულმა სამართლებრივმა რეფორმებმა გააძლიერა ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების უფლებები, ჰომოსექსუალები აწყდებიან დისკრიმინაციულ კანონებს, შეურაცხყოფას და ძალადობას როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლების მხრიდან. **„ჯერ კიდევ ბევრი ადამიანი მიიჩნევს ჰომოსექსუალიზმს ავადმყოფობად, ფსიქოლოგიურ აშლილობად ან მორალურ ცოდვად. სხვები შეგნებულად თუ შეუგნებლად იყენებენ ჰეტეროსექსუალურ ნორმებს ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების მიმართ, ადანაშაულებენ მათ იმაში, რომ ისინი „ნორმალური ადამიანების“ მსგავსად არ იქცევიან“.**

**ოჯახისადმი მიძღვნილ თავში** ნათქვამია, რომ, ტრადიციული ოჯახის გარდა, რომელიც გულისხმობს დაქორწინებულ მშობლებს და მათ ბიოლოგიურ ბავშვებს, ევროპელები სხვა ოჯახებადაც ცხოვრობენ, მაგალითად, როგორიცაა: სხვადასხვა თაობისგან შემდგარი ოჯახი; მარტოხელა დედის ან მამის ოჯახი, როცა ერთ-ერთი მშობელი არ ცხოვრობს ოჯახში — განქორწინებულია ან მიტოვებული ჰყავს ოჯახი, ან გარდაცვლილია, ან სხვა მიზეზების გამოა წასული სახლიდან; დე ფაქტო კავშირი, როცა ორი ადამიანი ერთად ცხოვრობს ქორწინების გარეშე და ასევე ოჯახი, რომელიც ერთნაირი სქესის მშობლებისგან შედგება.

ხოლო სწავლება ჯანმრთელობის, პირადი ჰიგიენის დაცვის, ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკების მოხმარებისა და სწორი კვების გარდა, უსაფრთხო სექსუალური კავშირების შესახებ ინფორმაციის ფლობასაც მოიცავს. როდესაც განათლების მინისტრს შევხვდით, პირდაპირ ვკითხე, აპირებდნენ თუ არა უსაფრთხო სექსის შესახებ მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, მან შეიცხადა და უარყო,— როგორ გეკადრებათო.

**კომპასი** — ეს სახელმძღვანელო მოზარდებისთვის არის განკუთვნილი და მასში განხილული თემები და სავარჯიშოებია: გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, მოქალაქეობა. საგულისხმოა, რომ **7 აგვისტო — ტრანსგენდერული უფლებებისა და განათლების საერთაშორისო დღე — ღირსშესანიშნავ თარიღადაა მოხსენიებული.**

**„ვისაუბროთ სექსზე“** — ასეთი სპეციალური თავი ეთმობა სექსზე საუბარს, სადაც დასმულია კითხვები: „რომელი ძალების ზემოქმედების შედეგად ვითარდება ჩვენი სექსუალობა? რაზეა დამყარებული ადამიანების ზნეობრივი შეხედულებები სექსუალობის შესახებ? განსხვავდება მონაწილეების დამოკიდებულება სექსუალობის მიმართ მათი მშობლებისა და წინაპრების დამოკიდებულებისგან?

ზოგიერთი ხშირად დასმული შეკითხვა და განსახილველი თემებია: რა არის სექსუალობა? რა განსხვავებაა ჰეტეროსექსუალ, ჰომოსექსუალ, ლესბოსელ, ბისექსუალ და ტრანსსექსუალ ადამიანებს შორის? არის ჰომოსექსუალობა დაავადება? და ა.შ.

**„ზოგიერთ ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმი მიღებულია საზოგადოებაში და პარტნიორებს შეუძლიათ, იქორწინონ, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში ეს დანაშაულია და სიკვდილით ისჯება. როგორია ჰომოსექსუალების სქესობრივი ურთიერთობა?“** ასევე, მოცემულია, თემები, რომლებიც შეიძლება მოზარდებს შევთავაზოთ განსახილველად: ქორწინების ასაკი (ან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე თანხმობის განცხადების ასაკი) უნდა იყოს განსხვავებული ჰომოსექსუალებისთვის? ბავშვის აყვანა და ქორწინება: უნდა მიეცეთ თუ არა ქორწინების უფლება ჰომოსექსუალთა წყვილებს? ბავშვის აყვანის უფლება?“ **დააკვირდით, მოსწავლეებისთვის მიცემული დავალება შემდგომში მდგომარეობს: „დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში არსებული ჰომოსექსუალების ან ლესბოსელების საზოგადოებას. მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება მოქმედებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზაა. მოიწვიეთ მათი წარმომადგენელი ჯგუფთან სასაუბროდ, რათა გაარკვიოთ, რომელი საკითხები და უფლებებია ყველაზე მწვავე თქვენს ქვეყანაში“.**

სახიფათოა სწავლება ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელიც მიმართულია ოჯახის სიმტკიცის, ოჯახში უფროს-უმცროსობის, მშობელთა პატივისცემისა და ოჯახური ტრადიციების წინააღმდეგ, რომელმაც ევროპა იუვენალური ფაშიზმის საფრთხის წინაშე დააყენა. **ბავშვებმა „გაფუჭებული ტელეფონის“ თამაშის გზით ერთმანეთს ბავშვთა უფლებების კონვენციის პუნქტები უნდა გაუზიარონ და ოჯახის წევრებს ინტერვიუ ჩამოართვან, თუ რატომ არ მისდევენ ჯანსაღი ცხოვრების წესს. მოსწავლემ უნდა აღწეროს კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში, ასევე, უნდა აიღოს ინტერვიუ ოჯახის წევრებისგან, რატომ არ ცხოვრობენ ჯანსაღი ცხოვრების წესით. ეს არის უპატივცემულობის დანერგვა მშობლების მიმართ. ცხადია, რომ ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტს უტევენ.**

საყურადღებოა, რომ მასწავლებელთა გადასამზადებლად დასახელებულ წიგნებს აქვთ შემდეგი წინამძღვარი: **„სახელმძღვანელო მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს“**, ანუ აცხადებენ, პასუხს არაფერზე ვაგებთო. არ ვიცი, ამას რა შეიძლება ეწოდოს.

**— განათლების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა რამდენიმე ხნის წინათ განაცხადა, რომ „სამოქალაქო განათლების პრიორიტეტი ქვეყნის ევროპული ორიენტირიდან გამომდინარეობს, აღნიშნული საგნების სწავლება დასავლური ღირებულებების ადაპტირებას ემსახურება“ და ჩვენი ევროპული მომავლისთვის აუცილებელია. ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს გარკვეული ვალდებულები ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარეც აქვს...**

**— ევროკომისიის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია-მოთხოვნაა გენდერის შესახებ სწავლება. არსებობს ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის — სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე, რომელიც ასევე უკავშირდება ლგბტ-თემატიკას. ახალი საგნების შინაარსიც სწორედ იმ რეკომენდაციებს ითვალისწინებს, რომლებსაც ევროკომისია დირექტივად აძლევს საქართველოს.** ეს დირექტივები მიზნად ისახავს არა ეროვნული, პატრიოტული და ტრადიციული სარწმუნოებისა და ღირებულებების მიმდევარი პიროვნების ჩამოყალიბებას, არამედ უსახური, უფესვებო, უოჯახო და ეგოისტური მიდრეკილებების მქონე მსოფლიო მოქალაქის აღზრდას, რომელსაც არ ექნება სამშობლო.

**მესმის, რთულ პირობებში არიან, ვალდებულება აიღეს და ახლა ასრულებენ, მაგრამ ნუ ამბობენ, თითქოს ეს ქართველი ხალხის არჩევანია. ეს სიცრუეა, ქართველ ხალხს ასეთი არჩევანი არასდროს გაუკეთებია. თანაც, როგორ აკეთებენ ამას? — საზოგადოების ნების წინააღმდეგ, ტყუილებით, მზაკვრულად.**

პირდაპირ ვიტყვი: საქართველოს განათლების მინისტრი, ქალბატონი თამარ სანიკიძე მატყუარაა!

**— წმინდა სინოდმა მოითხოვა ამ საგნების განხილვაში მონაწილეობა სკოლების სასწავლო პროგრამაში მათ შეტანამდე. შესრულდა თუ არა ეს მოთხოვნა?**

— გამოდიან და გაიძახიან, საპატრიარქოს განათლების კომიტეტთან ვთანამშრომლობთო, რაღაც შეხვედრებს აწყობენ, მაგრამ საპატრიარქოს ნათქვამს საერთოდ არ ითვალისწინებენ. ამ პროცესში მონაწილეობდნენ არასამთავრობოებიც. ეს ერთი მუჭა ხალხი, რომელიც უცხოეთიდან ფინანსდება, ფაქტობრივად, ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედი აგენტურაა. მიიწვევენ ამ ხალხს, განიხილავენ რაღაც საკითხს და შემდეგ ამბობენ, ვითომ საკითხის საჯარო განხილვა მოეწყო, არასამთავრობო სექტორმაც მიიღო მასში მონაწილეობა და ყველაფერი რიგზეაო.

**— ინტერნეტში გავრცელდა პეტიცია, სადაც ზოგიერთი ამ საგნების სკოლებში დანერგვას ითხოვს...**

— ეს ერთი და იგივე ხალხია, რამდენიმეკაციანი არასამთავრობოები, რომლებმაც ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ პეტიციასაც მოაწერეს ხელი. ეს არის დაქირავებული ხალხი, რომელსაც ხელფასს იმაში უხდიან, რომ ასეთი დაკვეთები შეასრულოს და შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციები ყველა პროცესში მონაწილეობენ. ჩვენნაირ, ეროვნულ პლატფორმაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს არსად იწვევენ. ვფიქრობ, აღნიშნული საგნების სკოლებში სწავლება დიდი უმრავლესობისთვის მიუღებელი იქნება.

ჩვენი მიზანია, საზოგადოებას გავაგებინოთ, რას აპირებენ, რა სურთ, ასწავლონ მათ შვილებს და არჩევანი ყველამ თვითონ გააკეთოს.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**



## აზერბაიჯანი ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრაციას არ აპირებს

**აზერბაიჯანის პრეზიდენტის — ილჰამ ალიევის განცხადებით, ევროპაში არსებული დისკრიმინაციისა და ისლამოფობიის ფონზე, აზერბაიჯანი ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრაციას არ აპირებს.**

„კეთდებოდა განცხადებები, რომ ჩვენ ევროპაში ინტეგრაცია გვჭირდება. მინდა, გითხრათ, — ინტეგრაციის არანაირი საჭიროება არ არსებობს, განსაკუთრებით დისკრიმინაციისა და ისლამოფობიის პერიოდში“, — განაცხადა აზერბაიჯანის ლიდერმა. ილჰამ ალიევმა გააფრთხილა ევროპა, რომ ის აზერბაიჯანის საქმეებში არ უნდა ჩაერიოს. „ჩვენ არასდროს არავინ გვეხმარებოდა. ყველაფერს საკუთარი ძალისხმევით მივაღწიეთ. დახმარებას არავისგან ველოდებით და არც გვჭირდება. ჩვენს საქმეებში ნუ ერევით“, — განაცხადა ალიევმა, რომლის თქმითაც, აზერბაიჯანი ძლიერი, ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული სახელმწიფოა.



## აშშ-ში სროლის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა

**როგორც „ფოქს ნიუსი“ იტყობინება, შეიარაღებული თავდასხმა მენის შტატის ქალაქ ოკლენდში მოხდა.** ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, 42 წლის ჰერმან დერიკომ მის სახლში მცხოვრები 2 ქალი და 1 მამაკაცი მოკლა, რის შემდეგადაც თავი მოიკლა. სამართალდამცველებმა სახლში 4 წლის გოგონა იპოვეს, რომელიც თავდასხმის დროს არ დაშავებულა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. მკვლელის მოტივები ჯერჯერობით უცნობია.

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ხალხის დევნა-შევიწროებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია: ადამიანს ფეხებზე ბეტონის ნაჭრები მოაბეს და ნავიდან ზღვაში გადააგდეს; ციხეებში პატიმრებს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ ცოცხის ტარით, სკამის ფეხით, ყავარჯნით; ახალგაზრდებს ქუჩაში ხვრეტდნენ: ადამიანებს ართმევდნენ ქონებასა და ბიზნესს: განადგურდა განათლების სისტემა, კულტურა, სპორტი...**

# სამი ქართველი ბელადი და სამი 7 ნოემბერი

**ისტორიაში ბევრია მაგალითი იმისა, როგორ იქცეოდნენ ხალხის რჩეულები, როდესაც იდგნენ არჩევანის წინაშე — ან თავდადებით მოქმედებდნენ ქვეყნისა და თანამემამულეების გადასარჩენად, ან პირიქით — დამფრთხალი გარბოდნენ ბრძოლის ველიდან, ხელისუფლების შესანარჩუნებლად კი ხალხს უსასტიკესი მეთოდებით უსწორდებოდნენ. ასეთი შემთხვევების გასაანალიზებლად სამი ქართველი ბელადის მოქმედება ავირჩიე სამ სხვადასხვა 7 ნოემბერს:**







**1.** მსოფლიო ომების ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება 1941 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში ჩატარებულ სამხედრო აღლუმს, რომელიც მიიღო მხედართმთავართა მხედართმთავარმა, ქართველმა **იოსებ სტალინმა.** სწორედ მან შეძლო მსოფლიოს გადარჩენა კაციჭამია ჰიტლერელებისაგან;

**2.** საქართველოს ბრძოლებისა და ომების ისტორიაში არ არსებობს მეორე მაგალითი თავისი ხალხისთვის ისეთი ჯოჯოხეთის მოწყობისა, როგორც 2007 წლის 7 ნოემბერს მოაწყო თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ხალხის იმჟამინდელმა ბელადმა, გაურკვეველი წარმომავლობის მთავარსარდალმა, მწამებელთა შორის ჯერჯერობით ყველაზე დიდმა მწამებელმა **მიხეილ სააკაშვილმა**, რომელმაც თავისი სულელური ქმედებებით საუკუნოდ ჩამოაშორა ცივილიზებულ სამყაროს ბედკრული საქართველო;

**3.** საქართველოს არ ჰყოლია ისეთი **მდიდარი, მაგრამ ისეთი მხდალი „მეფე“,** როგორიც საქართველოს 2012 წელს მოევლინა და თავისი „გმირული შემართებითა“ და „მამაცი მხედართმთავრებით“ 2015 წლის 7 ნოემბერს, დიდი მცდელობისა და ძალების მობილიზაციის მიუხედავად, ერთი შეუიარაღებელი შპს-ც კი ვერ აიღო და „ციტადელში“ გამაგრებულმა გაურკვეველი სქესისა და წარმომავლობის ვირთხამ სამარცხვინო დამარცხება აგემა.

აი, ამ სამ ქართველ ბელადსა და მათ მიერ საზეიმოდ და სამარცხვინოდ ჩატარებულ სამ 7 ნოემბრეზე უნდა მოგითხროთ უფრო ვრცლად და გასაგებად:

* ფაშისტური გერმანია 1941 წლის 22 ივნისს, 3 საათსა და 30 წუთზე, ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. სტალინმა ბრძანება გასცა, საჰაერო, საზღვაო, სატანკო თუ სახმელეთო საჯარისო ნაწილებს არ დაერღვიათ სახელმწიფო საზღვარი და მომხდურისთვის პასუხი გაეცათ მხოლოდ სსრკ-ის ტერიტორიაზე, ვიდრე საბჭოთა მთავრობა ოფიციალურად არ მიიღებდა თავდამსხმელი სახელმწიფოსგან ომის გამოცხადების ნოტას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ქვეყნის ქალაქებს მტრის ავიაცია ბომბავდა, საკავშირო დეპეშათა სააგენტო (საკდესი) და რადიო მოსავლის აღების კამპანიის მიმდინარეობას გადასცემდა 22 ივნისის დილის 11 საათამდე, ვიდრე სტალინის მოთხოვნით, გერმანიის მთავრობა იძულებული შეიქნებოდა, რიბენტროპის ხელით მოლოტოვისთვის გადაეცა ომის გამოცხადების ნოტა (ეს მოხდა 22 ივნისის 10 საათსა და 30 წუთზე). სწორედ ამის შემდეგ შეიტყო მსოფლიომ და, მათ შორის, საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომ გერმანია მუხანათურად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს.

სტალინმა ომის დაწყებიდან რამდენიმე საათში, 22 ივნისის 3 საათისა და 30 წუთიდან, იმავე 22 ივნისის დილის 11 საათამდე, თავისი დიდი პოლიტიკური ალღოთი და გამჭრიახობით ჰიტლერს ომი უკვე მოუგო და სრულიად მსოფლიომ გერმანია აგრესორ ქვეყანად აღიარა.

ჰიტლერმა საბჭოთა კავშირის საზღვრებთან განალაგა 170 დივიზია, რომლებიც კბილებამდე იყო შეიარაღებული და ბრძოლებით ჰქონდა შემოვლილი ნახევარი ევროპა.

1941 წლის 6 ნოემბერს სტალინმა მოსკოვში, მეტროპოლიტენის სადგურ „მაიაკოვსკაიასთან“ ჩაატარა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელსაც ქვეყნის მთავრობის მთელი შემადგენლობა ესწრებოდა, მასვე ესწრებოდნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებიც. არავინ იცოდა, რა მოხდებოდა მეორე დღეს — 7 ნოემბერს.

ღამის 3 საათზე სტალინმა კრემლში დაიბარა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალი **არტემიევი** და მას ჯიქურ განუცხადა:

— თქვენ, ამხანაგო გენერალო, აპირებთ თუ არა ხვალ წითელ მოედანზე სამხედრო აღლუმის ჩატარებას? — სტალინი თვალის მოუშორებლად ელოდებოდა გენერლის პასუხს.

— ამხანაგო სტალინ...

— მე თქვენ გეკითხებით, — შეაწყვეტინა სიტყვა სტალინმა გენერალს,— აპირებთ თუ არა ხვალ აღლუმის ჩატარებას წითელ მოედანზე?

დაბნეულმა გენერალმა სტალინს ათასი მიზეზი ჩამოუთვალა, რატომ არ შეიძლებოდა აღლუმის ჩატარება:

— ამხანაგო სტალინ! ჩემი შიში საკუთარი უსაფრთხოებიდან არ გამომდინარეობს. მე პანიკური შიში მიპყრობს, როცა წარმოვიდგენ, რომ თქვენ მავზოლეუმის ტრიბუნაზე დგახართ მტრის სამიზნეში — ეს ხომ ომის გარდაუვალი წაგებაა?!

— ჯერ ერთი, მტრის არც ერთი თვითმფრინავი ქალაქში არ უნდა შემოიჭრას; მეორე, თუ ბომბს ჩამოაგდებენ, მოაცილეთ დაზარალებულები მავზოლეუმს და განაგრძეთ აღლუმი! — განუცხადა სტალინმა გენერალს და მის გასამხნევებლად საიდუმლოდ გაანდო, რომ რეზერვში 250 000 ჯარისკაცი ჰყავს.

**სტალინმა 1941 წლის 7 ნოემბერს ჯერ არნახული და არგაგონილი გმირობა აჩვენა მსოფლიოს: მავზოლეუმის ტრიბუნაზე მდგარმა, უშიშარმა, ვითარცა უხორცომ, თავისი დინჯი და დამატყვევებელი სიტყვებით წითელ მოედანზე გამართული აღლუმიდან პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე გააცილა ტანკებზე ამხედრებული თუ ქვეითად მიმავალი მეომრები.**

სტალინის მიმართვაში ნათქვამი იყო:

**„თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ძალას, რომელსაც ძალუძს, მოსპოს გერმანელ დამპყრობთა ურდოები. თქვენ შემოგყურებენ, როგორც თავის განმათავისუფლებლებს, ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ გმინავენ. თქვენ წილად გხვდათ განმათავისუფლის მისია, მაშ, იყავით ამ მისიის ღირსნი. დაე, ამ ომში აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახეები!“**

1941 წლის 7 ნოემბერს მოსკოვს შესეული 3000-ზე მეტი გერმანული თვითმფრინავიდან ვერც ერთმა ვერ შეაღწია ქალაქში. სამხედრო ექსპერტები, მეორე მსოფლიო ომის მკვლევარები გამარჯვების უდიდეს ფაქტორად ერთხმად ასახელებენ 1941 წლის 7 ნოემბრის ლეგენდარულ სამხედრო აღლუმსა და სტალინის მიმართვას მეომრებისადმი.

**1944 წლის აპრილში სტალინი, როდესაც ბერლინს მიადგა, 7 109 000 ჯარისკაცისა და ოფიცრის უმაღლესი მთავარსარდალი იყო, რომელიც განკარგავდა 15 000 ტანკს, 15 815 თვითმფრინავს, 115 000 ზარბაზანსა და სხვა საბრძოლო ტექნიკას. ჰიტლერს კი მხოლოდ 3 მილიონი ჯარისკაცი ჰყავდა შემორჩენილი 3 950 ტანკით, 1960 საბრძოლო თვითმფრინავითა და 28 000 ზარბაზნით.**

სტალინი, არა მხოლოდ ევროპის, მსოფლიოს სამხედრო კოალიციის უმაღლესი მთავარსარდალიც იყო, რომლის ნებასაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები ემორჩილებოდნენ. ეს აშკარად გამოჩნდა პოტსდამის კონფერენციაზე.

ბერლინს მიახლოებულ სტალინზე **გებელსმა** 1945 წლის 8 მარტს თავის დღიურში ჩაწერა:

**„სტალინი გაცილებით რეალისტია, ვიდრე ანგლო-ამერიკელი სულელები“,** ხოლო 4 აპრილის ბოლო ჩანაწერში მიუთითებს, რომ **„სტალინი რუზველტსა და ჩერჩილს ისე ექცევა, როგორც მიამიტ ბავშვებს“.**

ასეთი იყო მსოფლიოს უდიდესი ადამიანი და მის მიერ ჩატარებული ლეგენდარული 7 ნოემბერი.

იამაყეთ, ის თქვენი წინაპარია, ქართველებო და კავკასიელებო!

* 2003 წელს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოექცა ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და ამბიციური **მიხეილ სააკაშვილი,** რომელმაც უამრავი ადამიანი გააუბედურა და ციხეში ჩასვა. თუ 1937-38 წლებში დაპატიმრებულთა რაოდენობა 13 000-ს არ აღემატებოდა, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში პატიმართა რაოდენობამ, მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 35 ათასს გადააჭარბა, ხოლო პირობით სასჯელს დაახლოებით 300 000 კაცი იხდიდა.

**სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ხალხის დევნა-შევიწროებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია: ადამიანს ფეხებზე ბეტონის ნაჭრები მოაბეს და ნავიდან ზღვაში გადააგდეს; ციხეებში პატიმრებს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ ცოცხის ტარით, სკამის ფეხით, ყავარჯნით; ახალგაზრდებს ქუჩაში ხვრეტდნენ; ადამიანებს ართმევდნენ ქონებასა და ბიზნესს; განადგურდა განათლების სისტემა, კულტურა, სპორტი...** გაუსაძლისი ცხოვრების გასაპროტესტებლად 2007 წლის 7 ნოემბერს ხალხი რუსთაველის პროსპექტზე შეიკრიბა და ხელისუფლებას მდგომარეობის გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადადგომა მოსთხოვა. ხელისუფლებამ კი თავისი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიყენა ის მეთოდები, რომლებსაც თავის დროზე იყენებდნენ გერმანელი ნაცისტები ებრაელებისა და ტყვედ აყვანილი ადამიანების მიმართ.

**ადამიანების წამებაში ამერიკაში მომზადებულ-გაწაფული ნიღბოსანი სპეცრაზმელები სადარბაზოებამდე სდევდნენ გაფანტულ მომიტინგეებს და ხელკეტებითა და იარაღით უმასპინძლდებოდნენ. იყო მსხვერპლიც.**

მე 1956 წლის 9 მარტს თბილისში, მშრალ ხიდთან გამართული იმ აქციის მონაწილე ვარ, რომელიც წითელი არმიის ნაწილებმა დაარბია, მაშინაც დაიღუპნენ ადამიანები, მაგრამ იმ დროსაც ▶

**სტალინმა 1941 წლის 7 ნოემბერს ჯერ არნახული და არგაგონილი გმირობა აჩვენა მსოფლიოს: მავზოლეუმის ტრიბუნაზე მდგარმა უშიშარმა, ვითარცა უხორცომ, თავისი დინჯი და დამატყვევებელი სიტყვებით წითელ მოედანზე გამართული აღლუმიდან პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე გააცილა ტანკებზე ამხედრებული თუ ქვეითად მიმავალი მეომრები**

**სამარცხვინოდ დამარცხებულ ბელადს მაინც ჰგონია, რომ ხალხის «გადაჭარბებული» ნდობა აქვს. მეორე ბელადს — მიხეილ სააკაშვილს ზურგს ამერიკა უმაგრებს, რადგან «მისი ძაღლიშვილია» და ვერ განირავს; ხოლო მესამეს, რომელმაც კაცობრიობა მიხაკისფერი ჭირისგან იხსნა, არა მხოლოდ მეორე და მესამე «ბელადები» აგინებენ, მას, ამერიკელების დაუღალავი აგიტაციისა და ისტორიის ფალსიფიკაციის გამო, უფრო მეტი მაგინებელი ჰყავს**

**„რუსთავი 2“ რომ არ ყოფილიყო, არც ამ „ენეჯეოების“ არსებობა ეცოდინებოდა ვინმეს და არც მათი თავმჯდომარეებისა, რომელთა სახეებსაც „რუსთავი 2“ წლების განმავლობაში ნებისმიერ თემაზე ატრიალებს ეთერში და ასე უნერგავს ტვინში ხალხს, რომ ეს სულელი გოგოშკები, თითქოს რამეს წარმოადგენენ სინამდვილეში, ხოლო მათი ტუტუცი ტვინის ნაჟურს რეალურად თითქოს რამე ფასი აქვს.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ კი ისეთი მეთოდები არ გამოუყენებიათ უცხო ქვეყნის ჯარისკაცებს, როგორიც ჩვენი ქვეყნის სპეცრაზმელებმა გამოიყენეს თავიანთი მოქალაქეების წინააღმდეგ. **ამ სისასტიკეში ბრალი სპეცრაზმელებზე მეტად აქციის დარბევის ბრძანების გამცემს მიუძღვის. ბრძანება კი გასცა საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა.**

საქართველოს ისტორია ომებისა და ბრძოლების ისტორიაა, მაგრამ არც იქ წერია საკუთარი ხალხის მიმართ განხორციელებულ ისეთ სადამსჯელო ოპერაციაზე, როგორიც 2007 წლის 7 ნოემბერს მოგვიწყო „ბელადმა“ მიხეილ სააკაშვილმა ქართველებს, აღარაფერს ვამბობ 2011 წლის 26 მაისის დარბევაზე.

აი, ასეთი იყო „სახელოვანი“ პრეზიდენტისა და „მთავარსარდლის“ — მიხეილ სააკაშვილის მიერ 2007 წელს ჩატარებული „ლეგენდარული“ 7 ნოემბერი.

*** 2012 წელს საქართველოს მხსნელად და მფარველად მოევლინა დიდძალი ფულისა და არც ისე დიდი ჭკუის კაცი,** რომელმაც, არ ვიცი, დიდ სახელმწიფოსთან შეთანხმებით თუ თავისი ძალისხმევით, არჩევნების გზით დაამარცხა ურჩხული მიხეილ სააკაშვილი და ხელისუფლებაში მოვიდა. არ გასულა ერთი წელიც, რომ ამ დიდძალი ფულის პატრონმა თანამდებობა მიატოვა და სახლში დაჯდა. უცხო ქვეყანამ კი (აშშ-მა) ძირითად პოსტებზე ამერიკული ძუძუთი ნაკვები ანტიეროვნული, ანტიქართული, ანტინაციონალური რესპუბლიკელები დაუნიშნა, რომლებმაც ნელ-ნელა ჩასწიეს ეს დიდძალი ფულის პატრონი კაცი და ქვეყანას კვლავ დაეპატრონენ რესპუბლიკელებად გადაკეთებული „ნაციონალები“.

ხალხის „მხსნელმა“, ქვეყნის მესამე ბელადმა **ბიძინა ივანიშვილმა** გადაწყვიტა, ხმა ამოეღო ხალხის სასარგებლოდ და, პირველ რიგში, ბოროტების არმიის, „ნაციონალური მოძრაობის“, აგიტპრომს — შპს „რუსთავი 2“-ს შეუტია. ეს შეტევა 2015 წლის 7 ნოემბერს დაიწყო. Qქვეყნის ფარული მეთაური ათასი კონსპირაციული თუ ღია თათბირითა და ძალების სრული მობილიზებით შეეცადა შპს-ს აღებას, მაგრამ ქვეყნის მესამე ბელადმა შპს-ზე შეტევა მარცხით დაასრულა და ღრმა დაცვაში გადავიდა შუშის სასახლეში...

ყველაფრის მიუხედავად, **სამარცხვინოდ დამარცხებულ ბელადს მაინც ჰგონია, რომ ხალხის „გადაჭარბებული“ ნდობა აქვს; მეორე ბელადს — მიხეილ სააკაშვილს ზურგს ამერიკა უმაგრებს, რადგან „მისი ძაღლიშვილია“ და ვერ გაწირავს; ხოლო სტალინს, რომელმაც კაცობრიობა მიხაკისფერი ჭირისგან იხსნა, ამერიკელების დაუღალავი აგიტაციისა ისტორიის ფალსიფიკაციის გამო, უფრო მეტი მაგინებელი ჰყავს, ვიდრე სამარცხვინოდ დამარცხებულ ორ ბელადს.**

**გრიგოლ ონიანი**

# რატომ გამახსენდა 7 ნოემბერს 7 ნოემბერი

**უცნაური სათაურია, არა? აკი, სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, რომ ადამიანს 7 ნოემბერს სწორედაც 7 ნოემბერი გაახსენდეს, თუნდაც ეს 7 ნოემბრები ერთმანეთისგან მთელი 8 წლით იყოს დაშორებული, თუმცა მე მაინც მაქვს განსაკუთრებული მიზეზები, რომლებმაც 2015 წლის 7 ნოემბერს კიდევ უფრო მკვეთრად გამახსენა 2007 წლის 7 ნოემბერი.**



**ის, რომ** იმხანადაც ტელევიზიის გარშემო იყო დიდი აჟიოტაჟი და ახლაც — ეგ თავისთავად;

**ის, რომ** მაშინ ის ტელევიზია, რომლის გარშემოც აჟიოტაჟი ატყდა, „იმედი“ იყო და ახლა „რუსთავი 2“-ია — ეგეც თავისთავად;

**ის, რომ** ახლა „რუსთავი 2“-ს რეალურად არავინ ერჩის და მხოლოდ მეწილეები დავობენ სამართლებრივად, მაშინ კი „იმედში“ ჯერ ლამის ტანკებით შეცვივდნენ, მოგვიანებით კი ჯერ ტელევიზიის მეპატრონე მოკლეს და მერე უკვე ყოველგვარი სასამართლოს გარეშე მის ოჯახს ეს ტელევიზია „აახიეს“ — ეგეც თავისთავად...

მაგრამ მთავარი ფაქტორი მაინც ის არის, რომ ჩემი თვალით ვუყურებ, როგორ იყო მაშინაც და ახლაც ხალხისგან დაშორებული, სადღაც სხვა სამყაროში გასული და იქ თავის ჩაკეტილ და აყროლებულ ნაჭუჭში განმარტოებით მცხოვრები ის ადამიანები, რომლებიც მაშინაც და ახლაც ან უშუალოდ მუშაობენ „რუსთავი 2“-ში, ან რომელიმე „მონათესავე“ ე.წ. ენჯეოს წარმომადგენლები არიან.

რატომ ვუწოდებ ამ „ენჯეოებს“ (არასამთავრობო ორგანიზაციებს) „რუსთავი 2“-ის მონათესავეებს? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ, „რუსთავი 2“ რომ არ ყოფილიყო, არც ამ „ენეჯეობის“ არსებობა ეცოდინებოდა ვინმეს და არც მათი თავმჯდომარეებისა, რომელთა სახეებსაც „რუსთავი 2“ წლების განმავლობაში ნებისმიერ თემაზე ატრიალებს ეთერში და ასე უნერგავს ტვინში ხალხს, რომ ეს სულელი გოგოშკები თითქოს რამეს წარმოადგენენ სინამდვილეში, ხოლო მათი ტუტუცი ტვინის ნაჟურს რეალურად თითქოს რამე ფასი აქვს.

*** რატომ მოიმატა საქართველოში მოსახლეობის პრორუსულმა განწყობამ? — კი, ბატონო, ამაზე გვიპასუხებს ამ „ენჯეოს“ თავმჯდომარე ელენე, იმ „ენეჯეოს“ თავმჯდომარე თამუნა და კიდევ სხვა „ენჯეოს“ თავმჯდომარე თიკუნა.**

*** რატომ გაუფასურდა ეროვნული ვალუტა? რა პრობლემაა — პასუხი მზად აქვთ, ასევე, ელენეს, თამუნასა და თიკუნას.**

*** რატომ გაძვირდა კვერცხი ბაზარში? — ამაზეც ელენე, თამუნა და თიკუნა გვიპასუხებენ.**

*** რატომ აცივდა ზამთარში და რატომ დაცხა ზაფხულში? — ზუსტი პასუხი სხვას ვის ექნება, თუ არა ისევ ელენეს, თამუნასა და თიკუნას?!**

*** რატომ მოწყდა მეტეორი ჩვენგან 40 მილიონი სინათლის წელიწადით დაშორებულ რომელიღაც გალაქტიკას და შემოიჭრა ჩვენს გალაქტიკაში? — ვის ეცოდინება უკეთ, თუ არა ელენეს, თამუნასა და თიკუნას.**

ეს პირობითი „ელენე, თამუნა და თიკუნა“ დაახლოებით 100-მდეა და მონაცვლეობით გვიჭედავენ ტვინში მათ სულელურ გამომეტყველებას და ტუტუცურ აზრებს, ვინძლო როგორმე დავიჯეროთ, რომ ისინი ჩვენზე, უბრალო ადამიანებზე უფრო პროგრესულნი, „წინწასულნი“, უკეთ მოაზროვნენი და ჩვენი მომავლის განმსაზღვრელნი არიან...

ჰოდა, 2007 წლის 7 ნოემბერზე ვსაუბრობდი და იმხანადაც ასე იყო! **გამოჰყავდათ ეს მოტუტუცო გოგოშკები და ზუსტად ისე გვიმტკიცებდნენ, რომ ქვეყანაში „პუტინის დავალებით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ხდებოდა“, როგორც ახლა გვიმტკიცებენ, რომ „რუსთავი 2“-ს სწორედ პუტინი ებრძვის და, მოსამართლე ურთმელიძეს სკალპი რომ ავხადოთ, მის ქვეშ აუცილებლად პუტინის სახეს ვიპოვით, რადგან ის, პუტინის აგენტი კი არა, გადაცმული და პლასტიკუროპერაციაგაკეთებული პუტინია!**

ამ ადამიანებისთვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია ავადმყოფური აზროვნება და ხშირად ისეთი გატაცებით დემაგოგობენ, მგონი, თავისი ნადემაგოგარი მართლაც სჯერათ.

მათი აზროვნების მთავარი შტრიხი კი რეალობიდან გასვლა და სასურველის რეალობად წარმოჩენაა, აგრეთვე, ამ სასურველი რეალობის საზოგადოებისთვის დაჯერების დაჟინებული მცდელობები.

მახსოვს, 2007 წლის 7 ნოემბრის წინა დღეებში, როდესაც ხალხი სანდრო გირგვლიანის მკვლელობასა და სხვა თემებზე ძალიან იყო აღელვებული, როგორ ველოდი ხელისუფლებისგან მეტ-ნაკლებად ადეკვატურ ნაბიჯებს მღელვარების დასაცხრობად.

არა, სიმართლე ითქვას, სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მანიაკურ მიდრეკილებებზე ჯერ კიდევ 1996 წლიდან ვიცოდი და 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციაც კატასტროფად შევაფასე, მაგრამ მეც კი, მათ მიმართ ასე სკეპტიკურად განწყობილ ადამიანს, არ მეგონა, მთლად ისეთი სულელებიც თუ აღმოჩნდებოდნენ, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ დაიწყებდნენ მოქმედებას.

როგორც ჩანს, ასეთ მანიაკებზე განუსაზღვრელი ძალაუფლება მართლაც დამაბრმავებლად მოქმედებს. ნაბიჯი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ გადადგა, იყო ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრება და შემდეგ ღია ეთერში გადაცემული მისი „აღიარებითი“ ჩვენება...

ზემოთ ჩამოთვლილი „ბრძენი ენჯეოშნიკებისა“ და „რუსთავი 2“-ის თანამშრომელთა რეაქცია: **„მორჩა! დაერხათ! დაინახა უკვე ხალხმა, სინამდვილეში რა ხდება! არავინ აღარ გამოვა ქუჩაში. გაბანძდნენ!“**

ჩემი რეაქცია: **„რას ამბობთ, ხალხო? ოქრუაშვილი კაი ტიპია თუ ცუდი, ამ ეტაპზე ის სახალხო ლიდერია! მისი ასე უაზროდ დაპატიმრება და მერე „გე-კა-ჩე-პეს“ მეთოდით მისი აღიარებითი ჩვენების სატელევიზიო ეთერში გაშვება როგორ შეიძლებოდა?! თქვენ მართლა გგონიათ, რომ ეს ხალხს შეაჩერებს? თუ ქუჩაში გამოსვლას, დავუშვათ, 10 ათასი კაცი აპირებდა, ახლა აუცილებლად გამოვა 50 ათასი!“**

ჩემი ეს მოსაზრება გავიმეორე რამდენიმე ადგილას, სადაც „პრადვინუტად“ მოაზროვნე „ენჯეოშნიკები“, „კურიერის“ „პროფესიონალი ჟურნალისტები“ და „ქვეყნის ნომერი პირველი სატირიკოს-იუმორისტები“ იყვნენ შეკრებილნი.

**რეაქცია ყველგან ერთნაირი იყო — გაკვირვებული და დამცინავი სახეები. გაკვირვებული იმით, რომ „ვბედავდი“ და ამ „გენიოსი“ ადამიანების აზრების წინააღმდეგ მივდიოდი; დამცინავი იმიტომ, რომ მათთვის წარმოუდგენელი იყო, „დიადი მიშას“ წინააღმდეგ „აყვავებული საქართველოს“ ამდენი მოქალაქე გამოსულიყო.**

ასევე, კარგად მახსოვს მათი სახეები უკვე მომდევნო დღეებში, როდესაც თბილისის ქუჩებში 100 ათასამდე ადამიანი იდგა.

**დაბნეულები, აგრესიულები, შეშინებულები გაიძახოდნენ, რომ „ეს ერი ყველაფრის ღირსია!“, „ვერ დააფასეს კრიმინალის მოსპობა“, „ქართველი ხალხი ბნელია და არ იმსახურებს ევროპას“ და ა. შ. — ყველასათვის უკვე კარგად ცნობილი ის „კლიშეები,“ რომელთა დამკვიდრებასაც ისინი დღემდე ცდილობენ.**

კონკრეტულად **7 ნოემბერს კი, როდესაც მონდომებით გულშემატკივრობდნენ სპეცრაზმს და ტელეეკრანზე თავპირდასისხლიანებული ადამიანების დანახვაზე კმაყოფილი სახით გაიძახოდნენ: „ჩაქოცეთ, მოკალით, ჭკუა ასწავლეთ, მაგათი დედაც!“, მათი „ევროპისკენ მისწრაფება“ და „თავისუფალი სიტყვის სიყვარული“ საბოლოოდ გამოვლინდა.**

**და საბოლოოდ დაასკვნეს: „სახელმწიფო შედგა და მიშას კიდევ 30 წელი ველარავინ დაძრავს ადგილიდან!“**

**აი, მათი ასეთი საქციელი გახდა მიზეზი იმისა, რომ მე დავტოვე ეს არაადამიანების ვითომტელევიზია, ეს ნაგვის ბუნკერი და უამრავ შემოთავაზებულ მატერიალურ სიკეთეზე ვთქვი უარი.**

ამ ადამიანებს კი, როგორც ჩანს, დღემდე შერჩათ მხოლოდ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვისა და მოვლენების იქიდან შეფასების ჩვევა, ასევე, სასურველის რეალობად წარმოსახვის დაუოკებელი ჟინი, ოღონდ ამჯერად, 2007 წლისაგან განსხვავებით, როდესაც ქუჩაში გამოსული მართლაც ზღვა ხალხის „საზოგადოების მცირე ნაწილად“ წარმოსახვა სურდათ, 2015 წელს უკვე იმას ცდილობენ, რომ 200-300 ადამიანი ათი ათასებად წარმოაჩინონ.

„მთელი საქართველო ფეხზე დადგა თავისუფალი სიტყვის დასაცავად“, „ყველა მოაზროვნე ადამიანი აღაშფოთა მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებამ“, **„ქართველი საზოგადოება ერთიანია იმაში, რომ დღეს ქართული დემოკრატიის ბედი წყდება“, — მთელი თვეა, გაიძახიან და საბოლოოდ ეს „მთელი“, „ყველა“ და „ერთიანი“ „რუსთავი 2“-ის ეზოში კვირას გამართულ კონცერტში აისახა, როდესაც ამ ტელევიზიის ეზოს მესამედიც ვერ შეავსო „ყოველი მხრიდან მომსკდარმა, თავისუფალი სიტყვის დამცველი ხალხის ნაკადმა“.**



საბოლოოდ კი, ცუდი არ არის, რომ ეს მანიაკების „გამპრავებლები“, ადამიანის მწამებელთა დამქაშები, რომლებიც ვერ იტანენ საკუთარ ერს და საკუთარ ხალხზე „მაღლა მდგომად“ და „გამორჩეულად“ მიაჩნიათ თავი, ასე მოწყვეტილნი არიან რეალობას.

ეს იმედს იძლევა, რომ მათი პარპაში ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება და 8 წლის შემდგომი 7 ნოემბერი 2015 წლის 7 ნოემბერს ასე ნათლად და მკვეთრად აღარ გამახსენებს.

**ბაკურ სვანიძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუკი ვინმეს მსგავსი საყვედური ეკუთვნის, ისევ და ისევ ნინო ჯანგირაშვილსა და მის „მიმდევრებს“. აკი, სწორედ ისინი მოგვიწოდებენ, არ დავემორჩილოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, გავაპროტესტოთ განჩინება, ვლანძღოთ მოსამართლე, ვაწარმოოთ მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა; ამბობენ, რომ არ მიიღებენ სასამართლოს არც ერთ სხვა გადაწყვეტილებას, თუ ნიკა გვარამიას გუნდის გამამართლებელი არ იქნება... აი, აქ შეიძლება ზუსტად დაისვას კითხვა: მაშ, რითვის გვჭირდება სასამართლო? ნებისმიერი სადავო საკითხის გადაწყვეტისას მივმართოთ ჯანგირაშვილს და ის გვეტყვის, ვინ არის მართალი! რა, ასე არ გამოდის?**

# დიდი ლუსტრაცია «რუსთავი 2»-ის წყალობით

## ანუ «წმინდა ალეკო», «მეტრი ჯანგირა», «ბნელი ნათელა» და სხვები

**მსმენია, ავი და ბოროტი კაცი, სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობს, ერთ კარგ საქციელს მაინც ჩაიდენს, რათა ბოლომდე არ წაიწყმიდოს სულიო. დაახლოებით ასე გამოვიდა „რუსთავი 2“-ის საქმეც. სხვა თუ არაფერი, დადებითი მოხდა ის, რომ ამ ტელევიზიის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა საბოლოოდ გამოააშკარავა ისინიც კი, ვინც აქამდე „ნაციონალების“ წინააღმდეგ უანგაროდ მებრძოლი ეგონა საზოგადოებას.**





ლუსტრირებულთა ავანგარდში მოექცა **შალვა ნათელაშვილი**, რომელმაც საოცარი მონდომებითა და ხალისით გამოაჩინა საკუთარი „ბნელი მხარე“. სიმართლე ითქვას, „ბნელი ნათელაშვილის“ დანახვა ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს არც გაჰკვირვებია, რადგან 2012 წლის შემდეგ იგი უფრო და უფრო იშიფრებოდა და „რუსთავი 2“-ის პლაკატის ხელში დაჭერა მხოლოდ და მხოლოდ „ბოლო ბარის პირი“-ღა იყო მის პოლიტიკურ სამარეზე.

დიდი სიურპრიზი არც **კახა კუკავას** ან **გიორგი თარგამაძის** მიერ „ნაცინტერესების“ დაცვა იყო ჩვენთვის...

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ 2011 წლის შემოდგომაზე, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა პირველად განაცხადა პოლიტიკაში ჩართვაზე და როდესაც ჩამოთვალა ის ადამიანები და პოლიტიკური ძალები, რომლებთანაც არ ითანამშრომლებდა, არაერთ ადამიანში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია.

ამ ძალებსა და ამ პოლიტიკოსებთან თანამშრომლობაზე უარის მიზეზად ივანიშვილმა სწორედ „ნაციონალებთან“ მათი ფარული კავშირი დაასახელა. „ბიძინას ჰალუცინაციები“, როგორც მაშინ ამას მისმა ოპონენტებმა უწოდეს, აგერ, 3 წლის შემდეგ, ზედმიწევნით გამართლდა და „რუსთავი 2“-ის კბილებით დამცველთა ავანგარდში სწორედ ის ხალხი ვიხილეთ, რომელზეც იმხანად მიგვითითა ივანიშვილმა.

აქვე აღსანიშნავია ივანიშვილის აპოლოგეტთა ყიჟინა, — აი, როგორი ჭკვიანი და გულთმისანი გვყავს ბიძინაო! სინამდვილეში კი, ინკოგნიტო წყაროებზე, ასევე, ელემენტარულ ლოგიკაზე დაყრდნობით, ბიძინას არანაირი „გულთმისნის“ ნიჭი არ აქვს.

იმის მიზეზი, რომ ივანიშვილმა ზუსტად გამოიცნო, ვინ თანამშრომლობდა „ნაცებთან“ ფარულად, იყო ფული! დიახ! საიდუმლო არ არის, რომ „ნაციონალებისთვის“ დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო სწორედ ივანიშვილი გახლდათ. ჰოდა, **დილით ტელეეკრანზე რომ ნახავ, როგორ ლანძღავს და აკრიტიკებს, მაგალითად, შალვა ნათელაშვილი ან გიორგი თარგამაძე „ნაციონალებს“ და საღამოს „ნაციონალების“ „ხერხემლის“ რომელიმე თანაშემწე, მაგალითად, ერეკლე კოდუა ან ბაჩო ახალაია დაგიკავშირდება და გადმოგცემს, — „მიშას თხოვნაა, ამ კაცს (ნათელაშვილს ან თარგამაძეს, მაგალითად) ნახევარი მილიონი გადაურიცხეო, როგორ ფიქრობთ, დიდი მიხვედრა და „გულთმისნობა“ სჭირდება, რომ მათი „ოპოზიციობანა“, უბრალოდ, თამაშია და სინამდვილეში ისინი „ნაცებთან“ ფარულად თანამშრომლობენ?**

სწორედ ამიტომ, გაცილებით დიდი მოულოდნელობა იყო საზოგადოებისთვის იმ ადამიანთა თავგადაკლული აქტივობა „რუსთავი 2“-ის ნიკა გვარამიას ფრთის დასაცავად, რომლებიც არც „ბიძინას სიის კავალრები“ ყოფილან და, საზოგადოდ, — არც პოლიტიკოსი. საუბარია ორ ჟურნალისტზე — **ალეკო ელისაშვილსა** და **ნინო ჯანგირაშვილზე.**

ამ ორ პერსონას „ბიძინას სიის კავალრებთან“ კიდევ ერთ საერთო აკავშირებს — „ნაციონალების“ ფული. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს საზოგადოების უდიდესი ნაწილი და, ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ. სხვა რომ არაფერი ვთქვა, ჩემთვისაც ძალიან გაუგებარია, რატომ უნდა „დაიმარხონ“ საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილმა ადამიანებმა თავი ასე საჯაროდ, თუკი მათ რაიმე სერიოზული მატერიალური ინტერესი არ აქვთ.

აქვე ვიტყვი, რომ, როდესაც სოციალურ ქსელში ამ ორი ადამიანის შესახებ ეს აზრი დავწერე, არაერთი ნაცნობ-უცნობი შემეხმიანა და მითხრა, რომ ისინი „ნაციონალებთან“ ფარულ გარიგებაში ადრეც ყოფილან შემჩნეულნი, თუმცა ამის დამადასტურებელი მასალა არ არსებობს.

რა თქმა უნდა, არსებობენ სხვა მეტ-ნაკლებად ცნობილი ჟურნალისტებიც, რომლებიც გამოხატავენ მხარდაჭერას „რუსთავი 2“-ის გვარამიას ფრთის მიმართ, მაგრამ **ელისაშვილ-ჯანგირაშვილი, ფაქტია, ზეაქტიურობით გამოირჩეოდნენ. თუკი სხვებს „რუსთავი 2“-ის „მიკროფონიანი გოგოები“ იქით დასდევდნენ და დაჟინებით სთხოვდნენ ამ თემაზე აზრის გამოხატვას, ხსენებული დუეტი ლამის იქით „ეტენებოდა“ მიკროფონებში, სხვადასხვა თოქშოუებში, „რუსთავი 2“-ის ეზოში და განსაკუთრებული აგრესიულობით მოიხსენიებდა მოსამართლე ურთმელიძეს, საქართველოს დღევანდელ მთავრობას და იმ ადამიანებს, რომლებიც „მხარს არ უჭერენ დემოკრატიას და თავისუფალ სიტყვას“...**

წარმოგიდგენთ მათ ყველაზე „საინტერესო“ მოსაზრებებს:

**ნინო ჯანგირაშვილი:** „ჩვენ ახლა „რუსთავი 2“-ზე არ ვლაპარაკობთ, ჩვენ ვსაუბრობთ ჩვენს ქვეყანაზე, რომელიც გუშინ ერთმა მოსამართლემ დაგვამხო ყველას. მოსამართლე ურთმელიძემ მოგვიწყო სახელმწიფო გადატრიალება. კონსტიტუცია, კანონი, ყველაფერი თავზე დაგვახია... დღეს ის ოთხეული (იგულისხმება „რუსთავი 2“-ის კანონიერი დროებითი მმართველები, ხალვაში და მისი ადვოკატი) იყო ძალიან ცუდი სანახავი და მინდა, მივმართო მათ: თქვენ ხართ წითელი კომისრები და ამას ვერასოდეს შეცვლით! მოდით, საერთოდ არ გვინდა სასამართლო მაშინ და ლინჩის წესი შემოვიღოთ“.

ვფიქრობ, გონიერი მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს ისტერიკა სულაც არ არის, უბრალოდ, „საკუთარი აზრი“, რომელიც შეიძლება ადამიანმა სულ სხვა სიტყვებითა და სულ სხვა წინადადებებით გამოხატოს.

ტერმინები: **„დაგვამხო“, „დაგვახია“, „წითელი კომისრები“** და ასე შემდეგ, აშკარად სიტუაციის ხელოვნურად გასამძაფრებლად არის მიმართული და ძალიან განსხვავდება ადამიანური ფრაზისგან: „ჩემი აზრით, მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილება არ არის სამართლიანი“!

აი, სწორედ ამიტომ უჩნდება საზოგადოებას ეჭვი, — **რა განაპირობებს ასეთ ჰიპერაქტიურობას, ასეთ ზეაგრესიას და ასეთ თავგამოდებულ წივილ-კივილს? — „ნაცმოძრაობისგან“ მატერიალური „წახალისება“ ხომ არა?**

რაც შეეხება ჯანგირაშვილის ბოლო, „ნამუსზე ამგდებ“ ფრაზას — „მაშინ საერთოდ არ გვინდა სასამართლო და ლინჩის წესი შემოვიღოთ“ — აქ უკვე ან მძიმე დემაგოგიასთან გვაქვს საქმე, ან ზედმეტი ისტერიკის გამო განსჯის უნარის დაკარგვასთან.

რადგან, **თუკი ვინმეს მსგავსი საყვედური ეკუთვნის, ისევ და ისევ ნინო ჯანგირაშვილსა და მის „მიმდევრებს“. აკი, სწორედ ისინი მოგვიწოდებენ, არ დავემორჩილოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, გავაპროტესტოთ განჩინება, ვლანძღოთ მოსამართლე, ვაწარმოოთ მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა; ამბობენ, რომ არ მიიღებენ სასამართლოს არც ერთ სხვა გადაწყვეტილებას, თუ ნიკა გვარამიას გუნდის გამამართლებელი არ იქნება... აი, აქ შეიძლება ზუსტად დაისვას კითხვა: მაშ, რითვის გვჭირდება სასამართლო? ნებისმიერი სადავო საკითხის გადაწყვეტისას მივმართოთ ჯანგირაშვილს და ის გვეტყვის, ვინ არის მართალი! რა, ასე არ გამოდის?**

ასეთი შორს წასული უგუნურების მიუხედავად, კიდევ უფრო გამაოგნებელია **ალეკო ელისაშვილი:** „მოსამართლე ურთმელიძე არის ჩანჩურა კაცი! ულირსი, უსინდისო და სამარცხვინო კაცი! მთავრობავ, გააჩერეთ ეს პროცესი! ნუ აჯანჯღარებთ, თორემ ჯანჯღარს გაჩვენებთ! არ გამომაყვანინოთ ასიათასობით ადამიანი! ვსაუბრობთ, შევარდებიან თუ არ შევარდებიანო... ბებიათქვენისამ! მოეშვით ყველაფერს. აქვე „ნაციონალურ მოძრაობას“ მივმართავ: დააოკეთ ის თქვენი ბოდვით შეპყრობილი შიზოფრენიკი იქ!“

აი, ამ ბოლო, მასაზე გათვლილ ფრაზას, აქაოდა, „ნაცმოძრაობას“ ვლანძღავო, თუკი ყურადღებას არ მივაქცევთ, დანარჩენი, დამეთანხმებით, მძიმე შემთხვევაა. ამ ორი პერსონის ასეთი ფრაზების ანალიზი გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ **ჯანგირაშვილს თავი უკვე ქართული ჟურნალისტიკის „მეტრი“ ჰგონია, ხოლო „წმინდა ალეკო“, რომელიც წლების განმავლობაში დიდი რუდუნებით იკეთებდა „ყარიბი მოყმის“ იმიჯს, უცებ საერთო სახალხო „ბელადად“ წარმოგვიჩენს თავს.**

ლექსიკა აქაც აგრესიულია: **„ჩანჩურა“, „უსინდისო“, „ბებიათქვენისამ“** და ა. შ.

ანუ **„მეტრმა ჯანგირამ“ და „წმინდა ელისამაც“ უკვე გამოიტანეს ვერდიქტი, რომ ურთმელიძის განჩინება არის უსამართლო, საშინელება, უბედურება და ჯანდაბა! რომელ იურიდიულ ნორმებზე დაყრდნობით ასკვნიან ისინი ამას, არავინ იცის, მაგრამ ან სჭირდებათ, რო?!**

როგორც ჩანს, „თავში ავარდნის“ ფენომენი ისე მაგრად მოქმედებს, რომ მათ მართლა ჰგონიათ, თავიანთ აზრებს იქით უკარნახებენ ხალხს და საზოგადოებას. არადა, ხალხის სიყვარული და პატივისცემა მხოლოდ მანამდე გაგყვება, ვიდრე ხალხის სურვილს ახმოვანებ და მის ნებას მიჰყვები, თორემ, როგორც კი ხალხს დაუწყებ „ჭკუის სწავლებას“, თანაც ასეთი უკადრისი ფორმით, მოპოვებული იმიჯის დაკარგვა იმაზე გაცილებით იოლია, ვიდრე ზემოაღნიშნული სისულელეების თქმა.

დიახ, როგორც ჩანს, **„წმინდა ალეკოს“ ჯერჯერობით მართლაც ჰგონია, რომ მის განკარგულებაში „ასიათასობით“ ადამიანია და მხოლოდ ერთი „დაფშტვენა“ უნდა და ეს „ასიათასობით“ ადამიანი (ზუსტად რამდენი ასი ათასია, ვერ დავადგინეთ) წამსვე მის ჭკუაზე ივლის...**

საჭიროა კომენტარი?

რა ვიცი...

მხოლოდ ერთს ვიტყვი: **ჯანგირაშვილის ციტატის ბოლო ფრაზა „ლინჩის წესის“ შესახებ ისე ისმის, თითქოს საკუთარ თავზე ამბობდეს... ზუსტად ასევეა ელისაშვილის შემთხვევაშიც: ფრაზა — „გააჩერეთ ეგ ბოდვით შეპყრობილი შიზოფრენიკი“, მგონი, სააკაშვილზე მეტად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თვითონ ალეკო ელისაშვილს უფრო უხდება...**

**ჯანგირაშვილის ციტატის ბოლო ფრაზა «ლინჩის წესის» შესახებ ისე ისმის, თითქოს საკუთარ თავზე ამბობდეს... ზუსტად ასევეა ელისაშვილის შემთხვევაშიც: ფრაზა — «გააჩერეთ ეგ ბოდვით შეპყრობილი შიზოფრენიკი» — მგონი, სააკაშვილზე მეტად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თვითონ ალეკო ელისაშვილს უფრო უხდება...**

**გაახსენდა, არც ისე დიდი ხნის წინათ როგორ წარადგინა ის პრემიერმინისტრმა თავდაცვის მინისტრად. როგორ არ დაელოდა იგი მისი კანდიდატურის დამტკიცებას პარლამენტის მიერ და როგორ შევარდა უმალ კაბინეტში... ჟურნალისტებს, რომლებმაც მაშინ მას ამ თემაზე კითხვა დაუსვეს, თინამ უპასუხა: „კანონით არანაირი პარლამენტის დამტკიცება არ მჭირდება! მინისტრი ვარ მე, უკვე მინისტრი ვარ. მთავარი ის არის, რომ კანონი არ დამირღვევია, დანარჩენი მეორეხარისხოვანია“.**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თინას სიზმრები და «შინაგანი რწმენა»

**საგარეჯოში არჩევნები დასრულდა, მაგრამ ყველაფერი ახლა იწყება. რაიონმა არ დაუშვა უთინაობა და მისი ბედი თამარს გადაულოცა. ისტორია მეორდება — ქვეყანა თამარის ეპოქას უბრუნდება! საგარეჯო ნამდვილ ევროპულ გზას დასდგომია. უჯარმა, იორმუღანლო, უდაბნო, კაკაბეთი... — რაიონის ყველა სოფელი ერთხმად ითხოვს ევროპულ მომავალს და თამარ ხიდაშელში ევროკავშირის დროშის ვარსკვლავებს ხედავს.**




**საარჩევნო ბიულეტენები თითქოს გაცოცხლდნენ, თინას წინ სწორ ხაზზე განლაგდნენ, გაშლილი ხელისგული საფეთქელთან მიიტანეს და ბრძანებას დაელოდნენ. თინა დააკვირდა — ყველა მათგანზე ნომერი 41 იყო შემოხაზული — თამარ ხიდაშელი! გაუხარდა თინასარდალს და დასჭექა: «სწორდი! სმენა! საარჩევნო ყუთისკენ იარ!»**

საგარეჯომ გაიღვიძა, მას სურს არა სამზოლიანი ქვეყანა, არამედ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რისი ნათელი გარანტი მხოლოდ თამარია. ასეთი განწყობით შეხვდნენ სოფლის მცხოვრებლები ხიდაშლების სამემკვიდრეო ჯაჭვის გაგრძელებას. ისტორიულად, საგარეჯოს ადრე „სახიდაშლო“ რქმევია, თინას ბაბო-პაპაც ევროპასთან დაახლოების ბრძოლაში დაცემულა. როგორც ჩვენი ფარული ისტორიკოსი ყვება, საგარეჯო ოდითგანვე ხიდაშლებისა ყოფილა და ჯერ არ დამდგარა ჟამი, სხვა გვარს ეხაროს აქ. ჯერ კიდევ 20-იან წლებში, რაიონის თავკაცი (თუ თავქალი), თინას დიდი ბებო — **ზინა ხიდაშელი** ყოფილა და სახელიც დიდი ჰქონია. მოსახლეობა მის დანახვაზე კრძალვით ხრიდა თურმე თავს და დიდ პატივშიაც ჰყავდათ.

**წინაპრებს უთქვამთ, — ვინც ხიდაშელის გვარი შეარცხვინოს და მის ადგილზე სხვა გვარის კაცი დააყენოს საგარეჯოში, ის არ გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრიო. მას მერე ეს წყევლასავით მოსდევს რაიონს.**

სოფელ იორმუღანლოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ევროპისა და ნატოს ძველი დროშაც უპოვიათ სისხლის გამხმარი ნაკვალევითურთ, რომელიც ექსპერტიზის შედეგად ხიდაშელების გენის აღმოჩნდა.

ეს — რაც შეეხება საგარეჯოს ევროატლანტიკურ წარსულს. ახლა იმაზეც ვისაუბროთ, როგორ წარიმართა არჩევნები. ამ შემთხვევაშიც ჩვენი ანონიმი წყარო გვეხმარება, რომელიც გვიყვება, **რა მოხდა 31 ოქტომბერს.**

მაშ, ასე:

დიდი გნიასი და გაწი-გამოწევა ყოფილა იმ დილას საგარეჯოში. თინა და მისი სადაქალო იქ დილაადრიან, მამლის დაყივლებამდე ჩასულან და 5 პირი ტანსაცმელიც წაუღიათ. გზად ჩხაკუნა პაპას დუქანში შეუვლიათ, ცოტა გრადუსიც მიუღიათ და დღის სამოქმედო გეგმაც დაუწყვიათ.

თამრო მოგვიანებით ჩასულა, — იქ პარიკმახერი არ იქნება და თმას თბილისში დავისწორებო.

თინას უპასუხია, — თუ გინდა, საერთოდ ნუ ჩამოხვალ, საქმე მაინც ჩემი გასაკეთებელიაო, — და თვალი ჩაუპაჭუნებია თამროსთვის, დამაცა, მე ვიცი და ჩემმა გუმანმაო.

ოქროს გოგო ხარო! — უპასუხია თამროს და დაქალებთან ერთად სილამაზის სალონისკენ გაუწევია.

დილის 6 საათი იყო, რომ თინა უკვე საგარეჯოში გრუხუნ-გრუხუნით მიაბიჯებდა რაიონის გზაზე და გაოცებულ ხალხს ხელს უქნევდა, — საგარეჯოვ, უძღები შვილი ჩამოგივიდაო.

სად იყო და სად არა, ჰორიზონტზე ირმა გამოჩენილა **რეზო ამაშუკელთან ერთად,** თინასთვის დაუსტვენია და უთქვამს, საგარეჯო ჩემია და აქვე დამნებდიო, რაზეც თინას თმები გაუშლია, — საგარეჯო მას შემდეგ გახდება შენი, რაც ჩემ გვამს გადაუვლიო.

გადარეულა რეზო ამაშუკელი და უთქვამს, — დედას გიტირებო, კრიალოსანი დაუტრიალებია და იორმუღანლოსკენ გადაუხვევია ირმასთან ერთად.

8 საათზე საარჩევნო უბნები გაიხსნა. ერთ-ერთ უბანში თინა გამაგრებულა, ოჯახურად გამოწყობილა და მოსაგებად განწყობილა, — აბა, ჩემო ზონდერებო, თქვენ იცით და თქვენმა გუმანმაო და საქმეს შედგომია. **გიგლა აგულაშვილიც** იქვე ჰყოლია.

თინას მისთვის კამუფლიაჟი გადაუცმევია და ვენახებში გაუშვია,— იქიდან გააკონტროლებო, ვინც ინაშვილის მხარეს წამოვა, ფეხი დაუდე და დააწვინეო. გიგლას უთქვამს, არდამდების დედაცო, და საქმეს შესდგომია. **თინა კი თავქუდმოგლეჯილი უბანზე გავარდნილა და კარში დამდგარა თვალების აქეთ-იქით ცეცებით. მაინც არ იყო მთლად დარწმუნებული, რომ ჯარისკაცები, რომლებიც საგულდაგულოდ დაარიგა — 41 შემოხაზეთ, თამარ ხიდაშელიო — რამეს არ აურევდნენ და სხვა ნომერს არ შემოხაზავდნენ.**

თინას გაახსენდა, როგორ ააგდო ნამუსზე ყაზარმაში ჯარისკაცები: ბოლოს და ბოლოს, თქვენი თავდაცვის მინისტრის გვარი როგორ ვერ უნდა დაიმახსოვროთო.

რაზეც ჯარისკაცებს ირონიული ღიმილით უპასუხიათ: ვისი, ვისიო?

საშინლად გაბრაზებულა თინა, — უჰ! ასეთ დებილ ჯარისკაცებს რას შეაგნებინებ, ნეტავ, შეიძლებოდეს, პირდაპირ საარჩევნო ბიულეტენებს ვუბრძანო რამეო!

და უცებ მოხდა სასწაული: **საარჩევნო ბიულეტენები თითქოს გაცოცხლდნენ, თინას წინ სწორ ხაზზე განლაგდნენ, გაშლილი ხელისგული საფეთქელთან მიიტანეს და ბრძანებას დაელოდნენ. თინა დააკვირდა — ყველა მათგანზე ნომერი 41 იყო შემოხაზული — თამარ ხიდაშელი! გაუხარდა თინასარდალს და დასჭექა: „სწორდი! სმენა! საარჩევნო ყუთისკენ იარ!“.**

და ბიულეტენებმაც იწყეს მარშით სვლა და საარჩევნო ყუთში თავით გადაშვება! სარდალი-თინა სიამოვნებით ადევნებდა თვალს ამ მსვლელობას და სწორედ ამ მომენტში დარეკა „ვაიბერმა“. თინამ დახედა და **კელი** იყო, ამერიკის ელჩი! აუფ, ამას რაღა უნდა ახლაო, ანერვიულდა თინა... „ვაიბერი“ კი რეკავდა და რეკავდა... და უცებ თინას გამოეღვიძა... გამოეღვიძა და გაიფიქრა, — ეჰ! რა იქნება, მართლაც ჩემი ჯარისკაცები რომ იყვნენ საარჩევნო ბილეტენებიო...

ჩასძინებია კაბინეტში გადაღლილს და ნამოღვაწარს. როგორც კი კაბინეტიდან გამოვიდა თინა, დერეფანში ჟურნალისტები შეხვდნენ და „რუსთავი 2“-ის საქმეზე, როგორც საკონსტიტუციო, ასევე საქალაქო სასამართლოს განჩინებების შესახებ ჰკითხეს...

თინამ ყელი მოიღერა, მხრები შეახუნტრუცა და სრულიად უცოდველი, ნამუსთან მართალი ადამიანის ტონით დაიწყო: **„ორივე სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ჩუმად, მოპასუხე მხარის დასწრების გარეშე. რაც ძალიან არასწორია. მართალია, კანონის წინაშე ორივე — საკონსტიტუციო სასამართლოც და მოსამართლე ურთმელიძეც აბსოლუტურად პირნათელია, მაგრამ მარტო ეს ხომ არ წყვეტს? ჩვენს კანონში იმიტომ წერია, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომ ზოგჯერ, კანონთან ერთად, სწორედ, აი, იმ შინაგან რწმენასაც უნდა მოუხმოს ადამიანმა...“**

აქ უცებ თინას ხმა ჩაუწყდა...

**გაახსენდა, არც ისე დიდი ხნის წინათ როგორ წარადგინა ის პრემიერმინისტრმა თავდაცვის მინისტრად. როგორ არ დაელოდა იგი მისი კანდიდატურის დამტკიცებას პარლამენტის მიერ და როგორ შევარდა უმალ კაბინეტში... ჟურნალისტებს, რომლებმაც მაშინ მას ამ თემაზე კითხვა დაუსვეს, თინამ უპასუხა: „კანონით არანაირი პარლამენტის დამტკიცება არ მჭირდება! მინისტრი ვარ მე, უკვე მინისტრი ვარ. მთავარი ის არის, რომ კანონი არ დამირღვევია, დანარჩენი მეორეხარისხოვანია“.**

ისიც გაახსენდა თინას, როგორ ჩახუნტრუცდა საგარეჯოში შუალედურ არჩევნებზე. როგორ მივარდა საარჩევნო შტაბში და პირადად დაიწყო ბიულეტენების თვლა... ჟურნალისტებს, რომლებმაც ასევე ჰკითხეს, სწორი თუ იყო თავდაცვის მინისტრის მიერ არჩევნების პროცესის უშუალო კონტროლი, თინამ ანალოგიურად უპასუხა: **„თავდაცვის მინისტრს კანონი არ უკრძალავს საარჩევნო შტაბში მისვლას და ხმების დათვლას! არც ერთი კანონი ამას არ კრძალავს! მე ამით კანონი არ დამირღვევია! ეს არის მთავარი და დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია“.**

გაახსენდა ეს ყოველივე თინას ახლა, როდესაც წამოროშა, რომ საკონსტიტუციოს მოსამართლეებსა და საქალაქოს მოსამართლეს თურმე, კანონის გარდა, „შინაგანი რწმენითაც“ უნდა ეხელმძღვანელათ და ინატრა, ნეტა, ესეც სიზმარი იყოსო!

თინამ მაგრად იჩქმიტა მარჯვენა ბარძაყზე და მაგრადაც ეტკინა! სამწუხაროდ, ეს ნამდვილად არ იყო სიზმარი და თინამ თითქმის იგრძნო, როგორ უყურებდა ტელევიზორის მიღმა მილიონობით მაყურებელი...

გაწითლდა თინა? — არა! თინას ბავშვობიდან უკვირდა კიდეც, რანაირად და როგორ წითლდება ხალხი...

**მხოლოდ სადღაც გულის სიღრმეში დაფიქრდა: „სხვებს რომ შინაგანი რწმენისკენ“ მოვუწოდებ, იქნებ მეც მემოქმედა ხანდახან ჩემი „შინაგანი რწმენით“?!**

მერე კიდევ უფრო კარგად დაფიქრდა და მიხვდა: ის, როგორც მოქმედებდა, რა სამარცხვინოდ იქცეოდა და რა განცხადებებსაც აკეთებდა, იყო კიდეც სწორედ მისი „შინაგანი რწმენა“!

თინას სწორედ ასეთი შინაგანი რწმენა აქვს და რა ქნას?! ყველას კარგი და კეთილი შინაგანი რწმენა ხომ არ ექნება, ბოლოს და ბოლოს?!

**ეგრე ხომ სამყაროც ძალიან მოსაწყენი იქნებაო, — გაიფიქრა თინამ, დამშვიდდა და ამაყად, თავაწეულად, თვითკმაყოფილებით და ძალიან ღრმა „შინაგანი რწმენით“ გაუყვა თავდაცვის სამინისტროს დერეფანს...**

**ბაკურ სვანიძე**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ორივე მეფე, ქართლისა და კახეთის — ერეკლე და იმერეთის — სოლომონი, განსაკუთრებით კი — ერეკლე, მზად არიან, ემსახურონ რუსეთის იმპერატრიცას, უდიდესი მონდომებით აღასრულონ ყველაფერი, რასაც კი მონარქი განუცხადებს. და რადგან სმენიათ იმ გამარჯვებათა შესახებ, რომლებიც თურქებზე მოუპოვებიათ რუსეთის ჯარებს, დიდად გახარებიათ, გახარებულია მთელი ხალხი, ხოლო მეფეთა ბრძანებით, ორსავე სამფლობელოს წმინდა ეკლესიებში აღვლენილ ლოცვებში შესთხოვენ ღმერთს, თურქებზე გამარჯვება მოუვლინოს სრულიად რუსეთის საიმპერატორო კარს.

# გეორგიევსკის ტრაქტატი — რა ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმა უბიძგა საქართველოს, ეძებნა მოკავშირე რუსეთის სახით

ჰუმანიტარულ მეცნიერებაში დასკვნები ხშირად არის შეფერილი კვლევის ობიექტისადმი მკვლევარის სუბიექტური დამოკიდებულებით, კვლევის საგნის სუბიექტური აღქმით, მაგრამ ის, რაც ისტორიის მიმართ ხდება და ხდებოდა, ერთი ცალკე მკვლევარის სუბიექტური დამოკიდებულება არ არის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვითომ ისტორიკოსებმა მიზანში ამოიღეს კონკრეტული ქვეყნების კონკრეტული პერიოდი და ისტორიის ურცხვად დამახინჯება-გადაწერა მავანთა კონიუნქტურული მისწრაფებების მიხედვით დაიწყეს. ტყუილი და სიყალბე საერთაშორისო და შიდა პოლიტიკის ინსტრუმენტად აქციეს პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, მათ შორის, საქართველოშიც განსაკუთრებით სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და პრიორიტეტად აიღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხების, განსაკუთრებით — საქართველოსა და რუსეთის, ურთიერთობების ისტორია.

როგორი ისტორიის სწავლას გვაიძულებდნენ ბოლო ოცი წლის განმავლობაში? — რომ საბჭოთა კავშირი იყო „ხალხების ციხე“ (ე.ი. რუსებს ქართველები ციხეში ვყავდით გამომწყვდეული), რომ რუსეთი იყო და არის სასტიკი და ულმობელი იმპერია (ე.ი. ჩვენ, ქართველებს, რუსეთი სასტიკად და ულმობლად გვექცეოდა და გვექცევა), რომ ეს იმპერია დაპყრობილი ხალხების სისხლსა და ძვლებზე იყო აგებული (ე.ი. ქართველების სისხლსა და ძვლებზეც), რომ რუსეთის იმპერია სპობდა და ანადგურებდა მის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებსა და ხალხებს (ე.ი. ქართველებსაც გენოციდს გვიწყობდა), რომ რუსეთის იმპერიას მისი ზეობის ხანაში სათავეში ედგა ყველაზე პირსისხლიანი დიქტატორი კაცობრიობის ისტორიაში – ქართველი იოსებ სტალინი, ხოლო მის რეპრესიულ მანქანას ხელმძღვანელობდა განთქმული ჯალათი, ასევე ქართველი ლავრენტი ბერია (ე.ი. ქართველები მხოლოდ ცუდში ვჯობივართ ყველას და მხოლოდ ცუდი გამოგვდის ხელიდან) და ა.შ. და ა.შ. ხოლო საქართველოს ისტორიაში ყველაზე კატასტროფულ ტრაგედიად გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა გამოგვიცხადეს.

რა განწყობა ეუფლება რიგით ადამიანს ყოველივე ზემოთქმულის მოსმენის შემდეგ? — ბუნებრივია, აგრესია გაუჩნდება და ბრაზი დაახრჩობს. რა შედეგი მოჰყვება ამას? — რუსეთისა და რუსების ათვალწუნება და მათდამი მტრული დამოკიდებულება — ადამიანურ დონეზე და სახელმწიფოებრივ დონეზე გაუცხოება და ანტაგონისტური, კონფრონტაციული პოლიტიკა.

ახლა სხვა კუთხით შევხედოთ ვითარებას:

აყალბებენ ისტორიას, ნიშნავს, მალავენ სიმართლეს; თუკი მალავენ, ე.ი. სიმართლე ხელს უშლით. რაში უშლით ხელს? სხვანაირად რომ ვთქვათ, რა მიზნისთვის სჭირდებათ ტყუილი? — ამ კითხვის პასუხი თვითონ სიყალბეში უნდა ვეძებოთ და იმ განწყობაში, რომელსაც ეს ტყუილი აღძრავს. ყალბისმქმნელები სწორედ ამას ესწრაფვიან.

ამ მავნებლური ტენდენციის წინააღმდეგ ხმა პირველად ქართველებმა ამოვიღეთ. 2007 წლის 27 სექტემბერს ქართველმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ რუსულ პრესაში, პირველ რიგში, რუსებისვე გასაგონად გამოაქვეყნა წერილი სათაურით „საჭიროა ისტორიული სიმართლე“. ამ წერილში მან პირველმა ილაპარაკა საჯაროდ პოსტსაბჭოთა სივრცეში ისტორიის გაყალბებაზე, ამ სიყალბის კონკრეტულ ავტორებსა და მავნე პროცესის შედეგებზე. ამ წერილით პოლიტოლოგმა დასაბამი მისცა ფრიად საჭირბოროტო საკითხის საჯარო განხილვას და ამ თემას საზოგადოების ყურადღება მიაპყრო. ცოტა მოგვიანებით, 2009 წლის დასაწყისში, იგი იყო ინიციატორი, საქართველოში ჩამოგვეყალიბებინა არასამთავრობო ორგანიზაცია, რათა უფრო ორგანიზებულად გვემუშავა ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. შედეგად შეიქმნა ჩვენი ორგანიზაცია, რომელსაც „ისტორიული მემკვიდრეობა“ ვუწოდეთ. ჩვენი პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ რუსეთის პრეზიდენტს მივმართეთ წერილით, რომელშიც ვატყობინებდით ჩვენი წამოწყების თაობაზე და ვთხოვდით, ანალოგიური საქმიანობა წარმართულიყო რუსეთშიც.

ჩვენს მიმართვას რამდენიმე დღეში გამოეხმაურა ბატონი მედვედევი, რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი.

2009 წლის 27 მარტს მივიღეთ დიმიტრი მედვედევის საპასუხო წერილი, რომელშიც იგი მიესალმა ჩვენს ინიციატივას, უწოდა მას დროული, აქტუალური და ხაზი გაუსვა, რომ ქართველმა და რუსმა ხალხებმა ერთობლივი წარსულით უნდა ვიამაყოთ.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა პოსტსაბჭოთა ისტორიაში, როცა რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირი პირადად გამოეხმაურა (და თანაც დადებითად) არასამთავრობო სექტორის მიმართვას.

რუსეთის პრეზიდენტისადმი მიმართვის პარალელურად ორგანიზაცია „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ დაიწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ამსახველი ისტორიული დოკუმენტების, თანამედროვეთა მოგონებებისა და სხვა დოკუმენტური წყაროების შეგროვება-პუბლიკაცია, რომლებიც, მოკრძალებული შესაძლებლობების ფარგლებში, ათ მცირე ფორმატის წიგნად გამოიცა სახელწოდებით „ჟამი ხსნისა“. ჩვენი მიზანი იყო, კონკრეტულ ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით გვეჩვენებინა, როგორი იყო სინამდვილეში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, როგორი იყო ამ ურთიერთობების დინამიკა დროში, რა მოუტანა ორ ქვეყანას და, უწინარესად, საქართველოს. დავიწყეთ თავიდან — იქიდან, თუ რა უძღოდა წინ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას, როგორი ვითარება იყო იმხანად საქართველოში და მის გარშემო, რა ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმა უბიძგა საქართველოს, ეძებნა მოკავშირე რუსეთის სახით. პრეზიდენტის საპასუხო წერილიდან ერთ თვეში, 2009 წლის 28 აპრილს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით, მოსკოვში, რუსეთის ისტორიის ინსტიტუტში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „ორი ქვეყნის საზოგადოების წარმომადგენლები ჩვენი საერთო ისტორიის შესახებ“.

5 წლის თავზე კი, 2014 წელს, მოსკოვში გამოიცა წიგნი „რუსულ-ქართული ურთიერთობის ისტორიიდან“, რომელიც რუსეთის არქივებში დაცული მეთვრამეტე საუკუნის დოკუმენტების კრებულს წარმოადგენს და რომლის პრეზენტაციაც დღეს, 13 საათზე, თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში“ გაიმართება.

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“**

## «რუსულ-ქართული ურთიერთობის ისტორიიდან»

## გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 230 წლისთავისთვის

XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტების ამ კრებულის გადმოქართულებულ ვარიანტს დღევანდელი ნომრიდან გთავაზობთ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. მკითხველი საზოგადოებისთვის უფრო გასაგები რომ იყოს, მასალებს შეძლებისდაგვარად გათანამედროვებული ქართულით წარმოგიდგენთ. ეს ეხება როგორც ქართულ დედნებს, აგრეთვე, რუსულიდან ნათარგმნ დოკუმენტებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს არამც და არამც არ არის მეცნიერული თარგმანი, უფრო თავისუფალი თარგმანია.

სათქმელია ისიც, რომ რიგი ქართული მასალების დედნების მოპოვება შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ ისინიც რუსულიდანაა გადმოღებული. ამ ფორმით წარდგენილი პუბლიკაციები დისკუსიის ფონს ჰქმნის. რედაქცია სიამოვნებით მიიღებს ნებისმიერ შენიშვნას.

## დოკუმენტები

### 1769 წ.

**№1**

**1769 წლის 12 მარტი. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ს წერილი სამხედრო კოლეგიის ვიცეპრეზიდენტს გენერალ-პორუჩიკ გ.ა. პოტიომკინს მოლაპარაკებისთვის მზადყოფნის შესახებ**

**„მის ბრწყინვალებას, თავად მდივნის შვილს გრიგორი ელისეს ძეს**

მსურს თქვენი ხილვა და გიდასტურებთ ჩემს პატივისცემას. თქვენი ჩამოსვლის შესახებ გვაუწყეს და ფრიად გავიხარეთ, რომ საიმპერატორო დიდებულების მინისტრის წერილი მეფე სოლომონისადმი თითქოს თქვენ გაქვთ, ასევე (წერილი) ჩვენდამი ყიზლარის გენერლისა. შევიტყვეთ რა ეს, ვაღიარეთ, რომ მისი საიმპერატორო დიდებულების მიერ მეფე სოლომონისთვის გაგზავნილი წერილის ნახვას ვერ შევძლებდით. თქვენი ბრწყინვალებისთვის უმჯობესი იქნება შეასრულოთ მისი ნება და გაემგზავროთ მეფე სოლომონთან. ხოლო, როცა ჩემთვისა და მეფე სოლომონისთვის იქნება გამოგზავნილი (წერილი), შეგვატყობინეთ, რათა საქმის სასარგებლოდ უკეთ განვიხილოთ.

თუ მეფე სოლომონთან გაემგზავრებით, მაშინ ყიზლარის გენერლის წერილი, რომელიც ჩვენ გამოგვიგზავნა, ეგებ წინდაწინ გამოგზავნოთ თბილისში.

**1769 წლის 12 მარტი, თბილისში.**
**მეფე ერეკლე საქართველოთა“**
**(ასეა ქართულ დედანში).**

**№2**

**1769 წ. 26 მარტი.**

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის წერილი სამხედრო კოლეგიის ვიცეპრეზიდენტს გენერალ-პორუჩიკ გ.ა. პოტიომკინს მასთან და იმერეთის მეფე სოლომონ I-თან შეხვედრისთვის მზადყოფნის შესახებ

„მის ბრწყინვალებას, თავად გრიგოლ მდივნის ძეს

თქვენმა წერილმა ჩვენამდე მოაღწია, საფუძვლიანად გავეცანით და გავიხარეთ, რომ გსურთ ჩვენთან შეხვედრა... ვიმედოვნებ, თქვენი ბრწყინვალებისთვის ცნობილია, რომ ჩვენ ყოველთვის საქმით ვართ დაკავებული. ხოლო როცა მისი საიმპერატორო დიდებულება გვაცნობებს ჩემთან და მეფე სოლომონთან შეხვედრის შესახებ, ჩვენც ვაუწყებთ, რომ მზად ვიქნებით შესახვედრად ან გორში, ან ახალგორში, ან ზემო ქართლში, ან სხვაგან ბზობის წინა კვირაში. გვაცნობეთ, რა ნებავს მის საიმპერატორო დიდებულებას და მზად ვიქნებით, შეძლებისდაგვარად შევასრულოთ მისი ბრძანება. მაგრამ, თუ მის საიმპერატორო დიდებულებას ჩემთვის სათქმელი არაფერი აქვს, შეგვატყობინეთ, რათა ჩვენი საქმეები არ დავაბრკოლოთ. მაგრამ გვსურს მის საიმპერატორო დიდებულებას საგანგებოდ მივლინებული დესპანით ვაცნობოთ, რომ მზად ვართ გულმოდგინე სამსახურისთვის სიცოცხლის დაუზოგავად, უფლისა და მისი საიმპერატორო დიდებულების შეწევნით.

**26 მარტი, 1769 წელი, თბილისი.**
**მეფე ერეკლე საქართველოთა“**

„თბილისში ჩემი ჩასვლის შემდეგ, როცა მეფე ერეკლემ გასცა განკარგულება, ყველა ეკლესიაში აღავლინონ რუსეთის იმპერიისთვის თურქებზე გამარჯვების მინიჭების ლოცვა, ზოგიერთმა თავადმა, რომლებსაც იმთავითვე სძულდათ თურქები, მისი ნებართვის გარეშე გაილაშქრა თურქების ხუთასკომლიანი სოფლის წინააღმდეგ, რომელსაც ეწოდება პახეთა. დაარბიეს იგი, მრავალი პირუტყვი და სხვა ალაფი წამოიღეს. მოკლეს რამდენიმე ადამიანი. ამის გამო ახალციხის ხანმა მეფე ერეკლესთან გამოგზავნა მოციქულები პროტესტის გამოსახატად. მეფე ერეკლე მათ დასანახად განრისხდა და განაცხადა, რომ დასჯიდა თავის თავადებს. მაგრამ გულში უხაროდა და არავითარი რისხვა თავადებისთვის არ დაუტეხია“.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

№32

## 1769 წლის 24 ივლისი. ქართული ჰუსართა პოლკის პორუჩიკის გ.ე. ქობულაშვილის (ხვაბულოვის) პატაკი ყიზლარის კომენდანტს გენერალ-მაიორ ნ.ა. პოტაპოვს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეთა კარზე განწყობილების და მეფეების — სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ს რუსეთთან კავშირისადმი მისწრაფების შესახებ

**„გენერალ-მაიორსა და ყიზლარის კომენდანტ პოტაპოვს**

**პორუჩიკ თავად ხვაბულოვის**

**პატაკი**

იანვრის 16-ს თქვენმა აღმატებულებამ გამაგზავნა იმერეთის მეფე სოლომონთან, ვითომდა იმერეთში დაბრუნებული მიტროპოლიტ მაქსიმეს ამალის წევრის არქიმანდრიტის თანმხლებად, სინამდვილეში კი მეფე სოლომონისთვის განკუთვნილი მინისტრის წერილის ჩასატანად. თქვენი აღმატებულების სიტყვიერი განკარგულების თანახმად, ნაბრძანები მქონდა იქაური ვითარების გარკვევა და მეფე სოლომონის დარწმუნება, თურქების წინააღმდეგ იარაღის აღსამართად და, ასევე, სხვა განმარტებების მისაცემად. მაშინდელი ზამთრის პირობებში ძნელი მგზავრობის მიზეზით 3 თვეში ჩავედი საქართველოში, უწინარესად, ქალაქ ცხინვალში, საიდანაც თავადმა იასე მაჩაბელოვმა, ქართლისა და კახეთის მეფე ერეკლეს აცნობა ჩემი ჩასვლისა და აქედან იმერეთში გამგზავრების შესახებ.

როცა მან (ერეკლემ) შეიტყო, რომ პირველად იმერეთში ვაპირებ ჩასვლას, ეწყინა, რადგან მიაჩნია, რომ იგი მეფე სოლომონზე უფროსი და უძლიერესია, და თავად მაჩაბელოვს უბრძანა, რომ პირველად მასთან, ერეკლესთან ჩავსულიყავი თბილისში. მაგრამ ვუპასუხე, რომ თქვენს მიერ გაგზავნილი ვარ იმერეთში აღნიშნული არქიმანდრიტის სოლომონთან ჩასაყვანად, და ვუბრძანე იმავე თავად იასე მაჩაბელოვს, წავეყვანეთ მეფე სოლომონთან, რომელიც თავისი ქვეშევრდომის, რაჭის ერისთავის თავად როსტომის დასამორჩილებლად იმყოფებოდა რაჭის ციხეში, სადაც 20 მარტს მშვიდობით ჩავაღწიეთ თავად მაჩაბელოვის თანხლებით.

როგორც კი მეფე სოლომონს ვეახელით, არქიმანდრიტმა მისცა მინისტრის წერილი, რომელიც განსაკუთრებული პატივით მიიღო, და როცა წაიკითხა, ფრიად გაიხარა, რომ იმპერატორების დიდებულებისგან ასეთი უხვი მოწყალების ღირსი გახდა. ამასთან, თქვენს მიერ მეფე სოლომონთან გატანებული კომისიის წერილიც დიდი სიამოვნებით მიიღო, ხოლო მე, მისი უდიდებულესობის წერილის თანახმად, თურქეთის სულთნის როგორც ქრისტიანთა საერთო მტრის წინააღმდეგ ომის დაწყება შევთავაზე, რომლისგანაც სრულიად საქართველო წლების განმავლობაში თავდასხმებს, ქალებისა და კაცების გატაცებასა და სხვა უბედურებას განიცდის.

აღნიშნული ვერაგი მტრის წინააღმდეგ სრულიად რუსეთის იმპერიის მიერ ამჟამად დაწყებულ ომში ჩართვით გადარჩენის ხელსაყრელი და საუკეთესო შესაძლებლობა შეექმნება მის (სოლომონის) მეზობელს, ქართველისა და კახეთის მეფეს ერეკლეს, რისთვისაც ვთხოვე მას (სოლომონს) სათანადო ღონისძიებების მიღება. როცა მისი იმპერატორების დიდებულების ჯარები წარმატებით გაიმარჯვებენ თურქებზე, მაშინ არცერთი ხელსაყრელი სურვილი არ იქნება უგულებელყოფილი ტრაქტატში შესატანად.

მეფე სოლომონმა დიდი აღფრთოვანებით მიპასუხა, რომ სურვილი აქვს დაიწყოს ომი არა მხოლოდ ამ მოწინააღმდეგესთან, არამედ გამოუცხადოს ომი საკუთარი ქვეყნის არაკეთილმოსურნე თავადებს, მაგრამ ამის საშუალება არ აქვს, რადგან ეს თავადები ბევრნი არიან, რომლებიც კი დაიმორჩილა, თუმცა სანდონი არ არიან. ეეჭვება, რომ მის წინააღმდეგ გაილაშქრონ და ხელი შეუშალონ ამ ღვთისნიერ საქმიანობაში. თუ მისი უმაღლესი იმპერატორების დიდებულობა მოისურვებს დამხმარე ჯარით მისი, სოლომონის, გაძლიერებას, მაშინ იგი შეძლებს თავის სამფლობელოში შეაგროვოს ოც ათასამდე მებრძოლი და ჩაებას ამ ომში. იმედოვნებს, რომ მეზობელ თურქ ხანებს დაიპყრობს და თავის ქვეშევრდომებად მოაქცევს.

ჩემი ჩამოსვლის ამბის შესატყობინებლად და კომისიის დავალებათა გადასაცემად მან ერეკლეს გაუგზავნა თავისი წერილი მინისტრის წერილის თანდართვით, რისთვისაც საგანგებოდ მიავლინა თავადი ბორის ბარათოვი. ამასთანავე, შეატყობინა, რომ მე მასთან, ერეკლე მეფესთან, ექვსი დღე-ღამის შემდეგ ჩავალ. 26 მარტს მართლაც გამამგზავრა თბილისს თავად მაჩაბლოვის თანხლებით. მაგრამ იმის გამო, რომ თბილისში იმყოფებოდნენ თურქი ხანების ქვეშევრდომთა წარმომადგენლები, რომლებიც თხოვდნენ მეფე ერეკლეს, სრულიად რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის მიმდინარე ომში არ ჩართულიყო, მაჩაბელოვის სამფლობელოს რომ მივაღწიეთ, აპრილის შვიდს, იქ გავჩერდით, საიდანაც მიწერა მეფე ერეკლეს ჩემი ჩასვლის შესახებ. პასუხად მიიღო ბრძანება, რომ მე და ჩემი ორი თანმხლები ქართულ ტანსაცმელში გამოვეწყვეთ და ფარულად მივეყვანეთ თბილისში.

როგორც კი თბილისს მივუახლოვდით, ფორშტატში (ქალაქის გარეთ დასახლებაში) ბინად დამაყენეს. თურქმა ელჩებმა, რომლებმაც, არ ვიცი, როგორ შეიტყვეს ჩვენი ვინაობა, ბინას თვალთვალი დაუწყეს.

როგორც კი მეფე ერეკლეს ამის შესახებ მოახსენეს, მიიწვია ის ელჩები და მრისხანებით გააძევა თბილისიდან, მე კი შემიყვანეს თბილისში, ბინით უზრუნველმყვეს. აპრილის 11-ს, საღამოს, მიმიწვიეს ერეკლე მეფესთან, გადავეცი წერილი, რომელიც მან დიდი სიხარულით მიიღო და შემდეგ დამიწყო იმის ახსნა, რომ ცხოვრებაში პირველად თავს ბედნიერად გრძნობს. განსაკუთრებული სიხარულით აღივსო, როცა მისი ბრწყინვალების, იმპერატორების დიდებულების მინისტრის წერილიდან შეიტყო სიტყვით აღუწერელი, და მთელ საქართველოზე ესოდენ გაბრწყინებული იმპერატორის მოწყალება, რაიც მის წინაპრებს ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერ მიუღიათ. თქვენი წერილიდან შეიტყო, რომ აღჭურვილი ვარ უფლებით სიტყვიერად გადავცე მას სათქმელი და მთხოვა, იმის შესრულება, რაც ნაბრძანები მაქვს.

მე დავინახე მისი დიდი სიხარული, განვუცხადე ის, რაც მეფე სოლომონს. მან თქვა, რომ დიდად მონდომებულია, ჩაერთოს ომში თურქების წინააღმდეგ და დაიწყებს საამისოდ მზადებას. და თუმცა მინისტრის წერილში ხედავს მისი იმპერატორების დიდებულების კეთილ ნებას, მაგრამ, ამასთანავე, სურს, მიიღოს მონარქის მოწყალება, რომელიც მისი საიმპერატორო დიდებულების კარის მიერ იქნება გაცემული, რათა მან ატაროს ტიტული მისი საიმპერატორო დიდებულების ნიშნად, რათა თავს მიიჩნევდეს რუსეთის საიმპერატორო კარის მფარველობის ქვეშ. ამ მოწყალების სანაცვლოდ, იგი მზად არის, თუ ნაბრძანები ექნება, ადგილობრივი ჯარის მცირედ დახმარების შემთხვევაშიც კი დაიპყროს თურქეთის ოლქის მრავალი ქალაქი, სამეფო ქალაქის ჩათვლით. რუსული ჯარის საქართველოში ჩამოსვლა უფრო იმიტომაა საჭირო, რომ საქართველოში მათმა შემოსვლამ შეაშინოს არა მხოლოდ თურქები, სპარსები, არამედ ადგილობრივ ყველა, რათა მათ იგრძნონ, რომ მას, ერეკლე მეფეს, მიღებული აქვს მისი საიმპერატორო დიდებულების მფარველობა...

ამასობაში თბილისში ელოდნენ იმერეთის მეფის სოლომონის ჩამოსვლას, რომელიც მეფე ერეკლეს წერდა, რომ მალევე ეწვევა თბილისს. მაგრამ იმიტომ, რომ მეფე სოლომონი დაყოვნდა ზემოთ ნახსენებ თავადთან ბრძოლის გამო და თბილისში არ ჩამოვიდა, ერეკლე მეფე და მე იძულებული გავხდით, მასთან გაგვეგზავნა ჩვენი ხალხი თხოვნით, სასწრაფოდ ჩამოსულიყო. მაგრამ, თუ იგი თბილისში ჩამოსვლას ვერ შეძლებდა, ერეკლე მეფე სთხოვდა, ეცნობებინა, დაესახელებინა ადგილი, სადაც მას თვითონაც სურდა ჩასვლა. სოლომონმა მოგვწერა, რომ აუცილებლად იქნება თბილისში, და თავად ერისთოვის დამორჩილების შემდეგ, 21 მაისს, მართლაც ჩამოვიდა თბილისში, სადაც შეხვდა კიდეც ერეკლე მეფეს. მოილაპარაკეს, დაეწყოთ ომი თურქეთის წინააღმდეგ და ამ საომარ ვითარებაში ერთგულად ემსახურონ იმპერატრიცას.

ამასთანავე, **ერეკლე მეფეს სურს:**

**1. გაძლიერდეს თუნდაც ხუთი პოლკით, რომლებსაც თავის ხარჯზე მოამარაგებს;**

**2. თურქებთან მშვიდობის დამყარების შემდეგ რუსეთის იმპერიის მფარველობა ჩაწერილი იქნას ტრაქტატში;**



**3. უზრუნველყოფილი იყოს იმპერატრიცის წყალობის ნიშნით.**

და როცა ასეთი წყალობა მიღებული იქნება, იგი არა მხოლოდ თავისი ქვეშევრდომებით ჩაერთვება თურქების წინააღმდეგ ომში, არამედ მოიხმობს ლეკებსაც, რომლებიც იხვეწებიან, რათა მისცენ თურქეთის პროვინციებზე თავდასხმისა და მათი გაძარცვის შესაძლებლობა“.

დოკუმენტში მეორდება, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ერეკლე მეორე რუსეთის ძალების საქართველოში გამოჩენას მეზობლების, უწინარესად, ლეკების დასაშინებლად. ადგილობრივი ხალხები დარწმუნდებიან, რომ იგი, ერეკლე მისი იმპერატორების დიდებულების პროტექციის ქვეშ იმყოფება.

მეფე სოლომონმაც ისურვა, რომ ისიც გაეძლიერებინათ ჯარით, რადგან დარწმუნებული არ არის თავისი თავადების ერთგულებაში და თურქებთან ომის დროს ყოფილი მოღალატეების იმედი არ აქვს. რადგან, მისმა ქვეშევრდომმა თავადებმა, რომელთა შორის არის თავადი ერისთოვი, მას, მეფე სოლომონს, შფოთი და უბედურება განაცდევინეს, აიძულეს, სხვადასხვა ადგილისთვის შეეფარებინა თავი. ბოლოს ისინი დაიმორჩილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თურქების წინააღმდეგ ომის დაწყების ეშინია, რადგან თავადებმა მისი (სოლომონის) განზრახვის საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოიწვიონ შიდა არეულობა, რისი აღკვეთის შესაძლებლობა მას არ აქვს.

თუმცა თბილისიდან გამგზავრების შემდეგ მან საიდუმლოდ დაიწყო ომისთვის მზადება.

მეფე ერეკლემ იმპერატორის კარზე თავის წარმომადგენლად დანიშნა თავადი არტამონ ანდრონიკოვი. სოლომონ მეფე კი გაემგზავრა იმერეთს, საიდანაც განზრახული აქვს მეფის კარზე წარმომადგენლად წარგზავნოს დავით კვენიხიძევი (კვინიხიძე), ვისი თბილისში გამოგზავნაც ადრე სურდა...

შემდგომ ამისა, წერილის ავტორი მეფე ერეკლეს საიდუმლო წერილით სოლომონ მეფისადმი და ერეკლეს ნდობით აღჭურვილ წარმომადგენელთან ერთად გაემგზავრება იმერეთს. ერეკლე მეფე მათ ქალაქ მცხინვალამდე (ცხინვალამდე) გააცილებს, სადაც დაბანაკდება. იმერეთში ჩასულ გრიგოლ ხვაბულოვს სოლომონ მეფე განუცხადებს, რომ სრულად ენდობა მეფე ერეკლეს: **„მეფე ერეკლემ ეს რომ შეიტყო, ფრიად გაიხარა“.** ორივე იწყებს გზის გაწმენდას, რომლითაც რუსეთის ჯარმა უნდა გაიაროს. პორუჩიკი ხვაბულოვი (ქვაბულაშვილი) კი ჩადის ყაზლარში. თბილისურ პერიპეტიებს ამატებს ცნობას იმის შესახებ, რომ მეფე ერეკლე მზად არის თურქების წინააღმდეგ ომში მონაწილეობისთვის დაიყოლიოს „არარატელი სომხები“, თუ მიიღებს სათანადო დახმარებას, და “მათი მხრიდან დაიწყოს მოძრაობა თურქეთის ქალაქებისკენ“.

მეფე ერეკლეს მიერ მისი რუსეთის იმპერატორის კარზე გაგზავნილ თავად არტამონს დავალებული აქვს, სიტყვიერად განუცხადოს გრაფ ნიკიტა ივანეს ძე პანინს, რომ მას, მეფე ერეკლეს, დაბადებიდანვე სურდა ყოფილიყო უმოწყალესი მფარველობის ქვეშ. იგულისხმება ქართლ-კახეთის მართლმადიდებელი მეფეების გათავისუფლება ოსმანთა იმპერიისა და სპარსეთის (ირანის) მუსლიმი მმართველების მორჩილებისგან, აგრეთვე, დაღესტნისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუდმივი თარეშისა და აწიოკებისგან საქართველოს მიწების დაცვა. ამასთანავე, ერეკლე II მოითხოვდა:

**1. როგორც კი მისი საიმპერატორო დიდებულება მოისურვებს სპარსეთის წინააღმდეგ იარაღის აღმართვას, ისიც შეძლებს ამ ომში ჩაბმას.**

**2. თურქებთან ომის დროს სპარსეთი მშვიდად რომ იყოს და ეჭვიც არ შეეპაროს, რომ იგი, ერეკლე მეფე, არ აპირებს სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრებას, საჭირო იქნება „იმპერატრიცას კარმა გაუგზავნოს სპარსეთის უფროსს წერილობითი შეტყობინება“.**

**3. „საქართველოში არის უამრავი ადგილი, სადაც მოიპოვება ოქრო, ვერცხლი და სხვა მადანი. ერეკლე ითხოვს, რომ დამხმარე ჯართან ერთად გამოგზავნონ ოსტატები, „რომლებიც უამრავ განძს იპოვნიან იქ“.**

„საქართველოში, კახეთსა და იმერეთში, არც შიდა არეულობა, არც გარე ხალხების თავდასხმები არ შეიმჩნევა, არის სიმშვიდე და სიმყუდროვე. იმერეთში მეფე სოლომონის მიმართ მტრულად განწყობილი თავადები მოთოკილი და დამორჩილებული არიან.

ორივე მეფე, ქართლისა და კახეთის — ერეკლე და იმერეთის — სოლომონი, განსაკუთრებით კი — ერეკლე, მზად არიან, ემსახურონ რუსეთის იმპერატრიცას, უდიდესი მონდომებით აღასრულონ ყველაფერი, რასაც კი მონარქი განუცხადებს. და რადგან სმენიათ იმ გამარჯვებათა შესახებ, რომლებიც თურქებზე მოუპოვებიათ რუსეთის ჯარებს, დიდად გახარებიათ, გახარებულია მთელი ხალხი, ხოლო მეფეთა ბრძანებით, ორსავე სამფლობელოს წმინდა ეკლესიებში აღვლენილ ლოცვებში შესთხოვენ ღმერთს, თურქებზე გამარჯვება მოუვლინოს სრულიად რუსეთის საიმპერატორო კარს. მღვდელმსახურებიც მიმართავენ მრევლს, შესთხოვონ ღმერთს დახმარება რუსეთის სახელმწიფოსთვის.

მეფე ერეკლეს იმედი აქვს, რომ თავის ქვეშევრდომთაგან ქართლსა და კახეთში, აგრეთვე, არარატელი სომხებისგან და სხვა, მისდამი კეთილგანწყობილი ხალხებისგან შეძლებს შეკრიბოს და შეაიარაღოს ორმოცდაათი ათასი კაცი.

არსებული ცნობებით, თურქეთის მხარეში, ყველა მის სამფლობელოში, დიდი შიმშილობაა და სიძვირე, შინაბრძოლები, ამბოხები და მკვლელობებია. ამასთანავე, იქაურ ადგილებში ვრცელდება დიდი შიში რუსეთისა და ოსმანთა იმპერიებს შორის დაწყებული ომის გამო; განსჯიან და დაუფარავად აცხადებენ, რომ დადგა დრო, თურქებს ჩამოერთვას ყველა ადგილი, და სასოწარკვეთილები არიან. ამის შესახებ იმერეთში, განსაკუთრებით კი, მეფე ერეკლესთან მოდის არა მხოლოდ ზეპირი, არამედ წერილობითი ცნობები.

**თბილისში ჩემი ჩასვლის შემდეგ, როცა მეფე ერეკლემ გასცა განკარგულება ყველა ეკლესიაში აღავლინონ რუსეთის იმპერიისთვის თურქებზე გამარჯვების მინიჭების ლოცვა, ზოგიერთმა თავადმა, ვისაც იმთავითვე სძულდა თურქები, მისი ნებართვის გარეშე გაილაშქრა თურქების ხუთასკომლიანი სოფლის წინააღმდეგ, რომელსაც ეწოდება პახეთა (შენიშვნებში მითითებულია, რომ შესაძლებელია იგულისხმებოდეს ჯავახეთი—რედ), დაარბიეს იგი, მრავალი პირუტყვი და სხვა ალაფი წამოიღეს. მოკლეს რამდენიმე ადამიანი. ამის გამო ახალციხის ხანმა მეფე ერეკლესთან გამოგზავნა მოციქულები პროტესტის გამოსახატად. მეფე ერეკლე მათ დასანახად განრისხდა და განაცხადა, რომ დასჯიდა თავის თავადებს. მაგრამ გულში უხაროდა და არავითარი რისხვა თავადებისთვის არ დაუტეხია.**

1769 წლის 24 ივლისი.

პორუჩიკი გრიგორი ხვაბულოვი“

(გაგრძელება იქნება)

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აზერბაიჯანი, მათი შეფასებით (იქნებ ჩვენი „პოლიტიკოსებისაც“), „არადემოკრატიული“ ქვეყანაა, მაგრამ რა სჯობს — იყო ისეთი „არადემოკრატიული“, როგორიც აზერბაიჯანია, აშენებდე შენს ცხოვრებას თუ იყო ისეთი „დემოკრატიული“, როგორც საქართველოა — ტუალეტშიც ვერ შედიოდე ვაშინგტონის დაუკითხავად?! მგონია, ჩვენი ხელისუფლების წევრი მამაკაცები ხელაწეული შარდავენ, ამერიკელთა მიერ დამონტაჟებულმა ვიდეოთვალმა უხერხული მომენტი რომ არ აღბეჭდოს ფირზე.**



# საქართველო დასავლეთის დაკრულზე ცეკვავს, როგორც ცხოველები ცირკში

**აზერბაიჯანის პრეზიდენტის — ილჰამ ალიევის ვიზიტი საქართველოში, უპირველესად, იმით იყო აღსანიშნავი, თუ რა შეფასება მისცა მან აზერბაიჯან-დასავლეთის ურთიერთობებს. ჩვენთვის ამ განცხადებებს არავითარი საგნობრივი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან სხვაზე ვფიქრობთ, ანუ ალიევის პოლიტიკისგან დიამეტრულად განსხვავებულზე. „ჩვენთვისო“ რომ ვამბობ, არც პატივცემულ მკითხველს ვგულისხმობ და არც საკუთარ თავს — ღმერთმა დაგვიფაროს ვიწრო აზროვნებისგან, ხელისუფლება მყავს მხედველობაში.**

აზერბაიჯანი და საქართველო, კარგა ხანია, სტრატეგიული პარტნიორები არიან და უფრო მეტიც. მარნეულის რაიონში სტუმრის ჩასვლამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მჭიდრო ურთიერთობას. **„საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები მხარს უჭერენ საქართველოს დამოუკიდებლობას. საუკუნეებია, ისინი ცხოვრობენ ამ მიწაზე და ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები დადებით გავლენას ახდენს ჩვენს ყოფაზე“,** — თქვა ალიევმა.

**აზერბაიჯანელები მხარს უჭერენ საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ქართველები?**

ე.წ. დამოუკიდებლად არსებობის პერიოდში ქვეყნის ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ აგრძნობინა ხალხს, რომ ქვეყანა დამოუკიდებელია. რაც შეეხება ფსევდოდამოუკიდებლობას, უხვად გვაქვს სიტყვებით, ენის უაზრო ტრიალით, უწერტილმძიმო ლაქლაქითა და თავხედური გამონათქვამებით — უცხოური ტერმინოლოგიით გაჯერებულით. ჩვენისთანა „დემოკრატიული“ ქვეყანა არათუ რეგიონში, მის ფარგლებს გარეთაც არ მოიპოვება.

**მეტიჩარა ქართველი „პოლიტიკოსებისა“ და მათზე მეტად მეტიჩარა არასამთავრობოების ნათქვამი, უფრო ზუსტად, თუთიყუშის მსგავსად გამეორებული უცხოური „სიბრძნე“, „ბრძენი“ დასავლელები რომ გვამეორებინებენ და ასე „იოლად“, უშრომელად გვიქმნიან დემოკრატიული ქვეყნის იმიჯს, მეტი არაფერია, თუ არა — დაემონო დასავლეთს.**

იქნები ასეთი — დაგაფასებს ამერიკა-ევროპა, ისიც „დემოკრატიის შუქურას“ გიწოდებს და, თუ გეიაღლუმს ჩაატარებ, მით უმეტეს, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დააკანონებ, ჩვენისთანა დემოკრატიული ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ იქნება. უკრაინაში მყოფმა ევროკომისიის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა **მოგერინიმ** უსაყვედურა უკრაინის პრეზიდენტ **პოროშენკოს** ტოლერანტობის კანონის არმიღების გამო და აღუთქვა, — ვიდრე არ მიიღებთ, ვიზალიბერალიზაციას ვერ ეღირსებითო. ჩვენ კარგა ხანია, მივიღეთ. ასე რომ, თავი ქუდში გვაქვს.

ვირტუალურ სატყუარას აყოლილნი თავს ნამდვილ დემოკრატად მივიჩნევთ. გამუდმებით (უკვე მერამდენე დღეა) ვჭიხვინებთ, პატრონისთვის „რუსთავი 2“-ის დაბრუნებას ვაპროტესტებთ; თავისუფალი სიტყვის, დემოკრატიის საბოლოო ჩახშობააო, — ვამბობთ. **საინტერესოა, როდიდან არის „რუსთავი 2“ თავისუფალი სიტყვის ბაირახტარი? იქნებ იქიდან დაწყებული, ტელეკომპანია „იმედს“ რომ არბევდა ხელისუფლება და ხმას არ იღებდა, ან იქნებ 26 მაისის ღამეს, პოლიცია ხალხს რომ ხოცავდა პარლამენტის შენობის წინ?**

**საქართველოს „დემოკრატიული“ ჰქვია, ყველა ამ ჩადენილი დანაშაულის მიუხედავად, რადგან მისი ხელისუფლება 25 წლის განმავლობაში დასავლეთის დაკრულზე ცეკვავს, როგორც ცხოველები ცირკში.**

დიახ! ჩვენ ვართ დემოკრატები, ამერიკა-ევროპის შეფასებით, ხოლო აზერბაიჯანი — არადემოკრატიული, დიქტატორული ქვეყანა.



**აზერბაიჯანი ის ქვეყანაა, რომელმაც საქართველოში დაფასებული ამერიკელი მეთიუ ბრაიზა ისე მოისროლა ამერიკის ელჩის სავარძლიდან, როგორც წვინტლი. აზერბაიჯანი ის ქვეყანაა, აშშ-ის პრეზიდენტის კრიტიკულ შენიშვნას პრეზიდენტ ალიევის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკის დონეზე რომ სცემენ პასუხს, თანაც უაღრესად კრიტიკულს, დაახლოებით ამგვარი შინაარსისას: «თქვენს ჩასვრილ საქმეს მიხედეთ, ჩვენ თავი დაგვანებეთ!»**

ჩვენ, „დემოკრატებმა“, 25 წელიწადი მრავალპარტიულ ენის ტრიალში დავხარჯეთ, ვერც ქვეყანა ავაშენეთ და ვერც ხალხს მივეცით სიდუხჭირიდან ამოსვლის შესაძლებლობა. „დიქტატორულმა“ აზერბაიჯანმა ბევრი იშრომა თავისი ცხოვრების ასაშენებლად, საკუთარი ქალაქებისა და სოფლების დასამშვენებლად, თავისი კულტურისა და მენტალიტეტის გასაძლიერებლად, ხალხის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

„აზერბაიჯანს ნუ ვედრებით, მას ენერგომატარებლები აქვს“, — ამბობენ ჩვენი „ბრძენი პოლიტიკოსები“. მართალია, აზერბაიჯანს ბუნებრივი აირი და ნავთობი აქვს, მაგრამ საქართველოს სატრანზიტო გზის გარეშე ეს სიმდიდრეები ნახევარსიმდიდრეები იქნებოდა. საქართველოს სატრანზიტო დერეფანმა შესძინა აზერბაიჯანს საერთაშორისოს ტიტული.

აზერბაიჯანი თუ ენერგომატარებლებით არის მდიდარი, ჩვენ სატრანზიტო დერეფნით ვართ მდიდარი და, ვიდრე აზერბაიჯანს სხვა მარშრუტი არ აურჩევია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მის შესანარჩუნებლად, ამასთანავე, ახალი სატრანზიტო გზების მოსაძიებლად. **ერთ-ერთი ირან-სომხეთ-საქართველო-აფხაზეთ-რუსეთის სარკინიგზო მაგისტრალია, რასაც დროულად უნდა რეალიზება და არა ვიწრო პოლიტიკური მოსაზრებების მსხვერპლად ქცევა.**

თბილისში მყოფმა ილჰამ ალიევმა ყოველგვარი რევერანსის გარეშე მიუჩინა ადგილი ევროკავშირს, ნატოს, ევროატლანტიკურ სივრცეს. **ჩვენს საქმეებში ნუ ერევით, ჩვენ არაფერი მიგვიღია თქვენგან და არც არაფერს გთხოვთო,** — ბრძანა მან. ეს არ იყო ალიევის პირველი კრიტიკული განცხადება, მსგავსი რამ არაერთხელ უთქვამს, რომ აზერბაიჯანი არ აპირებს ევროკავშირთან ასოცირებას ან ნატოს კარზე კაკუნს.

ის დამოუკიდებლად ცხოვრობს და ამ დამოუკიდებლობით აშენებს თითით საჩვენებელ, მისაბაძ ქვეყანას. მხოლოდ ასეთს შეეძლო პირველი ევროპული ოლიმპიური თამაშების ბრწყინვალედ ჩატარება. ერის ისეთი მობილიზება, როგორიც აზერბაიჯანში მოხდა, იშვიათობაა. 2 წელიწადნახევარში მოასწრო მთელი რიგი სპორტული ნაგებობების, ინფრასტრუქტურის აშენება, ისეთის, 5 და მეტი წელიწადი რომ სჭირდება.

დაახლოებით იმავე პერიოდში „დემოკრატიულმა“ საქართველომაც გამართა სტუდენტური ოლიმპიადა. ამ ღონისძიებისთვის შეპირებული ქალაქის გზების მოასფალტება დღესაც წარუმატებლად მიმდინარეობს. კარგა ხანია, ოლიმპიადა დასრულდა, გზების მოასფალტება (თუ ამას მოასფალტება ჰქვია) კი ჯერაც არ დამთავრებულა. მსგავსი რამ აზერბაიჯანში, „დიქტატორულ“ ქვეყანაში, არასდროს მოხდება, „დემოკრატიულში“, ანუ მოტლიკინე საქართველოში — დიახ!

**ვისაც ბაქოს აეროპორტი უნახავს, დამერწმუნება: ქვეყანა, რომელიც ასეთს აშენებს, ძლიერია. თვალი შეავლეთ აზერბაიჯანის სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავებს, ცინცხალ „ემბრაიერებს“, უმალ რომ გაფიქრებინებთ ქვეყნის სიძლიერეზე. მოინახულეთ ახალ-ახალი საგამოფენო დარბაზები, დაესწარით სიმფონიური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალებს, სხვა კულტურულ ღონისძიებებს, რომლებსაც რეგულარულად აშუქებს ტელეკომპანია „ევრონიუსი“, და დაინახავთ, რა იცის „დიქტატურამ“.**

აზერბაიჯანი ის ქვეყანაა, რომელმაც საქართველოში დაფასებული ამერიკელი მეთიუ ბრაიზა ისე მოისროლა ამერიკის ელჩის სავარძლიდან, როგორც წვინტლი. აზერბაიჯანი ის ქვეყანაა, აშშ-ის პრეზიდენტის კრიტიკულ შენიშვნას პრეზიდენტ ალიევის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკის დონეზე რომ სცემენ პასუხს, თანაც უაღრესად კრიტიკულს, დაახლოებით ამგვარი შინაარსი- ▶



## უკრაინაში ქვეყნის იუსტიციის ყოფილი მინისტრი დააკავეს

**უკრაინელმა სამართალდამცველებმა ქვეყნის იუსტიციის ყოფილი მინისტრი ელენა ლუკაში დააკავეს. ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა ვლადისლავ კუცენკომ განაცხადა, რომ დაკავებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2,5 მილიონი გრივნას მიტაცებაშია ეჭვმიტანილი.** საუბარია თანხის მითვისებაზე იმ პროგრამიდან, რომელიც უკავშირდება უკრაინის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ადაპტაციას. პროკურორის განცხადებით, ეს საქმის მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია.



პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 25-წლიანი „დემოკრატიული“ ცხოვრების შედეგად მივიღეთ ისეთი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომელსაც იოტისოდენი შეხება არ აქვს დემოკრატიასთან, მაგრამ ეს ხელს აძლევს დასავლეთს და, როგორც ჩანს, ნებისმიერ ჩვენგანს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისე მოვიქცეოდით, როგორც რუმინელები — 5-დღიანი პერმანენტული მიტინგით რომ დაამხეს ხელისუფლება.

◀ სას: თქვენს ჩასვრილ საქმეს მიხედეთ, ჩვენ თავი დაგვანებეთ!

**აზერბაიჯანი, მათი შეფასებით (იქნებ ჩვენი „პოლიტიკოსებისაც“), არადემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ რა სჯობს: იყო ისეთი „არადემოკრატიული“, როგორიც აზერბაიჯანია, აშენებდე შენს ცხოვრებას თუ იყო ისეთი „დემოკრატიული“, როგორც საქართველოა, ტუალეტშიც ვერ შედიოდე ვაშინგტონის დაუკითხავად?! მგონია, ჩვენი ხელისუფლების წევრი მამაკაცები ხელაწეული შარდავენ, ამერიკელთა მიერ დამონტაჟებულმა ვიდეოთვალმა უხერხული მომენტი რომ არ აღბეჭდოს ფირზე.**

აზერბაიჯანის მსგავსი პოლიტიკის წარმოება მტკიცე ნებისყოფისა და პოლიტიკური განსწავლულობის ნაყოფია. ვინატრებდი, რომ ასეთი ჩვენთანაც ყოფილიყო, მაგრამ ე.წ. დემოკრატი პოლიტიკოსების წყალობით, ამ ნატვრას ასრულება არ უწერია.

**აზერბაიჯანი ის ქვეყანაა, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს მეზობელ რუსეთთან და ამ თანამშრომლობის წყალობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შეაქვს რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების ბაზარზე. აზერბაიჯანი ის ქვეყანაა, რომელშიც კარგა ხანია, მოქმედებს რუსული ენისა და კულტურის უზარმაზარი ცენტრი. ეს ის ქვეყანაა, რომელსაც პარიტეტულ საფუძველზე შეუძლია ლაპარაკი, როგორც რუსეთის პრეზიდენტთან, ისე ნებისმიერ დასავლელ მაღალჩინოსანთან. აზერბაიჯანი** ის ქვეყანაა, დიდ უცხოურ ინვესტიციებს რომ დებენ; **აზერბაიჯანი** ის ქვეყანაა, რომელშიც, სხვა მშენებლობებთან ერთად, სამხედრო მშენებლობაც ყვავის.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს 25-წლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა „დიდ ძმას“ უმტკიცებს, — ნახე, რა შევძელით დამოუკიდებლად ცხოვრების პირობებშიო, და „დიდიც“ ხშირად გაფართოებული თვალებით უმზერს მათ სწრაფ განვითარებას, მოპოვებულ მიღწევებს.

**ყველა ყოფილში იგრძნობა წინსვლა, ვინაიდან ყველა ყოფილი შორსაა საქართველოს მსგავსი „დემოკრატიისგან“. „არადემოკრატიულმა“ აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა, თურქმენეთმა, ბელარუსმა, უზბეკეთმა, სხვებმა შექმნეს ის ცხოვრება, რომლის დონესთან ჩვენ ვერ მივალთ, მაგრამ ვერ შექმნეს „დემოკრატიული ლაქლაქი“, რომელიც ესოდენ ფასობს ჩვენში.**

**აზერბაიჯანმა ახლახან ჩაატარა საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ეუთომ, აშშ-მა მწვავედ გააკრიტიკეს. საგარეჯოს მართლაც არადემოკრატიულ არჩევნებზე კი სიტყვაც არ დაუძრავთ, ისევე, როგორც სააკაშვილის პერიოდში ჩატარებულ ფალსიფიცირებულ არჩევნებზე.**

დიახ, ვამაყობთ ჩვენი „დემოკრატიით“, უფრო მეტად ისინი (დასავლეთი) ამაყობენ ჩვენით და ამ სიამტკბილობაში რეიტინგს რეიტინგზე ვიგებთ. პირველები თუ არა, ათეულში მაინც შევდივართ სხვადასხვა საერთაშორისო სარეიტინგო სიაში. უყურებ და უსმენ ტელეეკრანზე გამჟღავნებულ სასიხარულო ცნობებს, თავს იმშვიდებ, მაგრამ ეკრანს მოშორდები და იმ განავალში კრავ თავს, ყოველდღიური აუწყობლობა რომ ჰქვია.

დიახ! **დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას ხელის განძრევის საშუალებას არ აძლევს მთელ რიგ საშინაო თუ საგარეო საკითხებში (ამას ხშირად მოისმენთ ნებისმიერი მოქალაქისგან), მაგრამ რა ვუყოთ იმ უმარტივეს საკითხებს, პრობლემებად რომ არის ქცეული და ნებისმიერ ჩვენგანს სიცოცხლეს უმწარებს? ამაშიც დასავლეთი გვაფერხებს?**

აშკარად **შეურაცხყოფილად** გრძნობთ თავს, როდესაც ორმოებიან, დანგრეულ გზებზე გატარებენ; როდესაც სიმწრით დაგებულ ახალ ასფალტს, მეორე დღიდან ჭრიან „კავკასუს ონლაინის“ კაბელების ჩასაწყობად. ჭრიან და ხანგრძლივი პერიოდით აწამებენ ხალხს თხრილებზე ხტომით, მტვრის ყლაპვით; როდესაც ისედაც გადატვირთულ ქუჩაზე მრავალსართულიან სახლს წამოჭიმავენ, რომლის დასრულებას ბოლო არ უჩანს, ისევე, როგორც შენობის წინ, ტროტუარზე დაყრილი სამშენებლო მასალებიდან ავარდნილ მტვერს, წვიმიან ამინდში — ტალახს.

**შეურაცხგვყოფენ,** როდესაც ელექტროენერგიასა და წყალს გვითიშავენ, ნაგავი არ გააქვთ;

**შეურაცხგვყოფენ,** როდესაც კვირის განმავლობაში ქუჩებში გამსკდარი მილებიდან ამოხეთქილ სასმელ წყალს არვინ აკეთებს.

**შეურაცხგვყოფენ,** როდესაც სამგზავროდ ამორტიზებულ საქალაქო ტრანსპორტს გვთავაზობენ, თანაც, გარდა საფარი მინისა, არც ერთს ნომერი გვერდებზე და უკან არ უკეთია, მათ შორის, სამარშრუტო ტაქსებს.

**შეურაცხგვყოფენ,** როდესაც მრავალ ქუჩაზე შუქნიშნებს ამონტაჟებენ წინასწარი შესწავლის გარეშე, ვილაცის ხუშტურის გამო, რითაც მძიმე საცობებს ქმნიან და ჰაერის დაბინძურებას უწყობენ ხელს.



**აშკარად შეურაცხყოფილად გრძნობთ თავს, როდესაც ორმოებიან, დანგრეულ გზებზე გატარებენ; როდესაც სიმწრით დაგებულ ახალ ასფალტს მეორე დღიდან ჭრიან «კავკასუს ონლაინის» კაბელების ჩასაწყობად; ჭრიან და ხანგრძლივი პერიოდით აწამებენ ხალხს თხრილებზე ხტომით, მტვრის ყლაპვით; როდესაც ისედაც გადატვირთულ ქუჩაზე მრავალსართულიან სახლს წამოჭიმავენ, რომლის დასრულებას ბოლო არ უჩანს, ისევე, როგორც შენობის წინ, ტროტუარზე, დაყრილი სამშენებლო მასალებიდან ავარდნილ მტვერს, წვიმიან ამინდში — ტალახს**

**შეურაცხგვყოფენ,** როდესაც რეცეპტის გარეშე წამლებს არ გვაძლევენ და გვაიძულებენ, დრო და ენერგია ვხარჯოთ ექიმის ლოდინში.

**შეურაცხგვყოფენ,** როდესაც სუპერმარკეტ „გუდვილში“, სხვაგანაც, პატარა პაკეტში ჩადებულ შემწვარ კარტოფილში 1.5 ლარს გვახდევინებენ, ხოლო დამპალ (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) კიტრში — 2.5 ლარს; როდესაც ობმოკიდებულ პურს გვიწყობენ დახლზე.

**შეურაცხგვყოფენ,** როდესაც ვითომ გარემონტებულ ქუჩას ხსნიან და მეორე დღესვე კეტავენ დაუსრულებლობის გამო.

**შეურაცხგვყოფენ,** როდესაც მრავალწლოვან ხეებს გვიჩეხავენ და მათ ნაცვლად ბეტონის შენობებს „გვირგავენ“.

**შეურაცხგვყოფენ,** როდესაც ტროტუარებზე მაღაზიებს გვიშენებენ („დეზერტირების“ ბაზრის გაყოლებაზე).

**შეურაცხგვყობენ,** როდესაც თბილისის მერი **ნარმანია** ურცხვად გვიცხადებს, — თბილისში დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობა არ არსებობსო. როგორც ჩანს, მერიის წინ „ცენტრ-პოინტის“ მიერ დატოვებულ ჩონჩხს დასრულებულად მიიჩნევს.

მრავალი შეურაცხმყოფელი მომენტის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ გაზეთი ვერ დაიტევს. ამ შეურაცხყოფის უგემურ აჯაფსანდალში გვიწევს ცხოვრება და ისე მივეჩვიეთ, რომ ყურადღებასაც აღარ ვაქცევთ. არადა, ყველა მათგანი ქვეცნობიერად მოქმედებს ჩვენზე და მაშინ დაგვკრავს მოულოდნელად, როდესაც არ ველით.

**ვითომ წვრილმანი შეურაცხყოფის ატანის შემდეგ, დიდსაც მშვენივრად ვიტანთ — საწვავზე მომატებულ ფასებს, ელექტროენერგიაზე გადიდებულ ტარიფებს, უაღრესად მცირე პენსიებს, დაუსაქმებლობას და მოხელეთა უზომო ხელფასებს, ხელფასებზე დანამატებს, პრემიებს, კომფორტულ ცხოვრებას.**

**ჩვენ იმასაც ვიტანთ, თავდაცვის მინისტრი რომ ბიუჯეტის ფულით (ჩვენი ნაშრომით) საფრანგეთში ანტისაჰაერო სარაკეტო სისტემების შესაძენად ხელშეკრულებას გააფორმებს და არაფერს გვეტყვის ამის თაობაზე. საინტერესოა, რას მოუტანს ქვეყანას ფულის უყაირათო ყრა რაკეტებში, როდესაც რუსული ტანკები თბილისიდან 30 კილომეტრში დგანან.**

**შეურაცხყოფაა,** როდესაც ხიდაშელი იაპონიაში მიემგზავრება სამხედრო კავშირების დასამყარებლად. აკი ნატოსკენ მივდივართო?!

**შეურაცხყოფაა,** როდესაც თავდაცვის მინისტრი პირადად ჩაუჯდება საგარეჯოს არჩევნების ბიულეტენების თვლას. **შეურაცხყოფაა** მისი თითქმის ყველა განცხადება ქვეყნის სადღეისო და სამომავლო ყოფაზე, მაგრამ არ გაემტყუნება, „შემქმნელი“ ივანიშვილის ერთობ უტაქტო განცხადებების ფონზე. სტალინზე პარლამენტარ თოფაძის ნათქვამი ივანიშვილმა პირად შეურაცხყოფად აღიქვა და საჯაროდ განაცხადა, — 75 წელს გადასცდა... აქვს შეცდომები, მაგრამ ვაპატიოთო, ანუ იგულისხმა გამოშტერდაო.

**მიუტევებელია, 60 წლის კაცი ასე რომ შეურაცხყოფს თოფაძეს და, საერთოდ, ასაკოვან ადამიანებს, რომელთა ხვედრითი წილი ქვეყნაში გაცილებით მეტია, ვიდრე ახალგაზრდების.** ასაკსა და გამოშტერებაზე (ხალხში ამ სიტყვას სხვა სიტყვით ცვლიან) მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც სკლეროზი ან ალცჰეიმერის სნეულება სჭირს ადამიანს. სხვა მხრივ ხანდაზმული კაცის ნათქვამი სიბრძნესთან იგივდება.

ხანდაზმული სენატორი **მაკკეინი** თითქმის 80 წლისაა, მაგრამ ივანიშვილი და მისი მთავრობა მის წინ მუხლებზე ეცემა. აღარაფერს ვამბობ 90 წლის **კისინჯერზე,** რომლის ყოველი სიტყვა სიბრძნითაა გაჟღენთილი. ზიმბაბვეს პრეზიდენტმა **მუგაბემ** 90 წლისამ მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები, ხოლო დაახლოებით იმავე წლოვანების ისრაელის პრეზიდენტმა **პერესმა** ეს-ესაა დატოვა პოსტი.

ივანიშვილის აზრით, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა კენჭი არ უნდა იყაროს, რადგან 68 წლის ქალი „ბებერია“. იქნებ თვალი გადაავლოს პატივცემულმა „მოქალაქემ“ აშშ-ის მთავრობის შემადგენლობას, სადაც „გამოშტერებული“ ასაკის წარმომადგენლების ზეობაა.

არცოდნა არცოდვააო, — ამბობენ, მაგრამ, როდესაც ქვეყნის მხსნელად მიჩნეული პირი თავს უფლებას აძლევს, განცხადება დაუფიქრებლად გააკეთოს, შეურაცხყოფაა.

აღარაფერს ვამბობ სტალინზე და მის როლზე მსოფლიო ისტორიაში. **სტალინი ის ბუმბერაზი პოლიტიკოსი იყო, რომელსაც სიცოცხლეში დაუდგეს ძეგლი უცხოელმა მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, პოლიტიკოსებმა და, რაც უნდა გასაოცრად მოეჩვენოს ივანიშვილს, სტალინზე დღეს გაცილებით მეტი წიგნი იბეჭდება, ვიდრე მისი მოღვაწეობის პერიოდში, ვინაიდან ის მართლაც დიდი იყო, ივანიშვილისა და ივანიშვილებისნაირთა ტვინი რომ ვერ შესწვდება.**

**მაო ძედუნის** გარდაცვალების შემდეგ ჩინეთის ახალმა მთავრობამ **დენ სიაოპინის** მეთაურობით განიხილა „კულტურული რევოლუციის“ მძიმე დანატოვარი, მაოს ინიციატივით განხორციელებული. ახლებს ჰქონდათ ძალა, მაო დამნაშავედ გამოეცხადებინათ, მაგრამ ჩინურმა მრავალსაუკუნოვანმა სიბრძნემ იძალა. მთავრობის შეფასებით, მაოს მიერ ქვეყნისთვის გაკეთებული საქმეების 75% კარგი იყო, დანარჩენი — არცთუ კარგი და, რადგან 75% მეტია დანარჩენზე, მაო ხელშეუხებელი დარჩა.

სტალინის წვლილი საბჭოეთის მშენებლობაში, ფაშიზმის განადგურებაში, კაპიტალიზმის გაკეთილშობილებაში, საქართველოს აღმშენებლობაში განუზომელია, უფრო მეტი, ვიდრე მაოს 75%-ი. ივანიშვილი და დღევანდელი პოლიტიკა რომ არ აფასებს მას, დიდი არაფერი დანაკლისია სტალინის სახელისთვის, მაგრამ **შეურაცხყოფაა, როდესაც გორელებს ჰპირდები, სტალინის ძეგლს დავდგამო და არ ასრულებ პირობას.**

პატივცემულო მკითხველო, **განა შეურაცხყოფა არ არის პოლიტიკური ფარდის მიღმა მყოფი ბიზნესმენი ივანიშვილის მიერ ქვეყნის მართვა?** მას ვერც მოხსნი და ვერც გადაირჩევ, მაგრამ ქვეყნის მმართველია, მის მიერ დანიშნული ხელისუფლებისა და მოსყიდულ საზოგადო მოღვაწეთა წყალობით. **ხელისუფლებიდან სააკაშვილის ჩამოშორება შესაძლებელი იყო, მაგრამ „ჩამოშორებულ“ ივანიშვილს რა ვუყოთ?**

ამ ამპლუაში ივანიშვილი თავს შესანიშნავად გრძნობს — ხან რას წამოროშავს და ხან — რას. მოსახლეობა, ნაცვლად კრიტიკისა, თვალებში შესციცინებს, — იქნებ თეთრი გააგდებინოს ხელიდან.

**25-წლიანი „დემოკრატიული“ ცხოვრების შედეგად მივიღეთ ისეთი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომელსაც იოტისოდენი შეხება არ აქვს დემოკრატიასთან, მაგრამ ეს ხელს აძლევს დასავლეთს და, როგორც ჩანს, ნებისმიერ ჩვენგანს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისე მოვიქცეოდით, როგორც რუმინელები, 5-დღიანი პერმანენტული მიტინგით რომ დაამხეს ხელისუფლება.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

მსოფლიო

## «ფრანს 2»: ეგვიპტეში ჩამოვარდნილი რუსული თვითმფრინავის ბორტზე აფეთქება მოხდა

**ტელეკომპანია „ფრანს 2“ ერთ-ერთ გამომძიებელზე დაყრდნობით იუწყება, რომ ეგვიპტეში ჩამოვარდნილი რუსული თვითმფრინავის**

შავი ყუთების ჩანაწერში ისმის აფეთქების ხმა, რომელიც ძრავის წყობიდან გამოსვლას არ უკავშირდება.

ტელეკომპანია ენ-ბი-სი კი სადაზვერვო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ ეგვიპტელმა მებრძოლებმა „ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელ პირებს რუსული ავიალაინერის ჩამოგდების შესახებ 31 ოქტომბერს აცნობეს. მანამდე აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებმა არ გამორიცხეს, რომ ავიაკატასტროფის მიზეზი ბორტზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო.

რუსული ავიაციის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ავიაკატასტროფა 31 ოქტომბერს მოხდა. ავიაკომპანია „კოგალიმავიას“ სამგზავრო ლაინერი Airbus-321-ი, რომელიც შარმ ელ-შეიხიდან სანკტ-პეტერბურგში მიფრინავდა, სინაის ნახევარკუნძულზე ჩამოვარდა. ბორტზე მყოფი 224 ადამიანი დაიღუპა.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„შეიძლება, თქვენ ფიქრობთ, რომ, რადგან ბრიტანელებთან ან ამერიკელებთან ვთანამშრომლობთ, დავიწყებული გვაქვს მათი მტრული საქმიანობა და დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ. მათთვის მოკავშირის მოტყუებაზე სასიამოვნო არაფერია. ჩვენ კარგად ვიცით, ვინ არიან ისინი, ვინ არის ჩერჩილი. პირველი მსოფლიო ომის დროს ბრიტანელები რეგულარულად ატყუებდნენ როგორც რუსებს, ისე ფრანგებს“.**

## 10 სტალინური დარტყმა

**დასასრული. დასაწყისი იხ. №32-39 (314-321)**

### დარტყმა № 9-10
### (ევროპა)

# სტალინი — დიდი მხედართმთავარი

გერმანიიდან გამოქცეულმა კარლ შაპერმა (ასოთამწყობი) და ბაუერმა (ხარაზი) ლონდონს შეაფარეს თავი, მოლთან (მესაათე) შეკრეს კავშირი და განაგრძეს გერმანიაში დაწყებული რევოლუციური მოძრაობა. 1944 წელს ეს სამი პროლეტარ-რევოლუციონერი გაიცნეს მარქსმა და ენგელსმა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ პროლეტარ-რევოლუციონერებმა შექმნეს „კომუნისტთა კავშირი“ და პროგრამის დასაწერად მარქსი და ენგელსი მიიწვიეს.

1847 წელს გამოქვეყნდა მოცულობით მცირე, მაგრამ შინაარსით კაცობრიობის იდეათა მომცველი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

„მანიფესტი“ ასე იწყება: „აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა, მის სადევნელად შეერთდა ძველი ევროპის ყველა ძალა: პაპა და მეფე, მეტერნიხი და გიზო, ფრანგი რადიკალები და გერმანელთა პოლიცია“.

აქ ვასრულებ მკითხველისთვის მანიფესტის გაცნობას, მაგალითი კი იმიტომ მოვიყვანე, რომ ასი წლის შემდეგ ხარაზი ბაუერის შორეულმა მემკვიდრემ, **ხარაზი ბესარიონ ჯუღაშვილის შვილმა — იოსებმა, ევროპამდე ჩააღწია და ქვეყნიერებას, კომუნიზმის აჩრდილად კი არა, პოლიტიკურ დინოზავრად მოევლინა, რომლის წინაშეც უძლური იყო ყველა პაპი და მეფე, ყველა რჯულისა და ქვეყნის მეტერნიხი. მას მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების მეთაურები — პოლიტიკური გრანდები, ხელისბიჭებად ჰყავდა გადაქცეული.**

ევროპაში თავს ისე გრძნობდა, როგორც გლეხი თავის ბოსტანში, რომელიც სურვილისამებრ აძრობს თალგამს მიწიდან საზამთროდ დასამწნილებლად. სტალინიც ასევე იოლად აძრობდა გერმანული კოალიციიდან ნებისმიერ სახელმწიფოს და თავის მოკავშირედ აქცევდა.

ჩერჩილი და სხვა დასავლელი პოლიტიკოსები სტალინს მრავალნაირ სათაგურს უგებდნენ, რათა როგორმე გაებათ მახეში, მაგრამ ვერ ითვალისწინებდნენ, რომ დინოზავრები სათაგურში არ ებმებიან და არც უფასო ყველის ნაჭრისთვის შედიან შიგ (ვერც შეეტევიან — გრ. ონიანი).

სტალინის სიდიადესა და უძლეველობაში დარწმუნებული მოკავშირეები მიხვდნენ, რომ მისთვის რაღაცით უნდა ეამებინათ და ისტორიაში უმაგალითო დესანტი გადასხეს ნორმანდიაში. მეორე ფრონტი გაიხსნა, მაგრამ უკვე გვიანი იყო — ბებერი ევროპა უკვე გაუპატიურებული იყო და კარის დაკეტვას ან გაღებას აზრი აღარ ჰქონდა.

სულითხორცამდე შეძრული ჩერჩილი ეხვეწება რუზველტს, შესთავაზოს სტალინს შეხვედრა, რათა ცოტა რამ მაინც ერგოს „მოკლული დათვისგან“.

ნორმანდიაში გადასხმული დესანტი კი დაკავებული იყო მხოლოდ ბელგიის ნაწილისა და ნამცეცა ლუქსემბურგის აღებით. ეს მაშინ, როდესაც სტალინის ნება-სურვილს ემორჩილებოდა მთელი უკრაინა, ბელორუსია, ყირიმი, ბალტიისპირეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ფინეთის ნაწილი და ნორვეგიის ათეულობით ქალაქი.

ევროპა ბოლომდე გათავისუფლებული არ იყო, მაგრამ სტალინი არ ჩქარობდა ისევე, როგორც არ ჩქარობდა ბერლინის აღებას.

1944 წლის 19 ივლისს ამერიკის პრეზიდენტმა **რუზველტმა** ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა სტალინს:

**„როგორც მოვლენები გვიჩვენებს, რომელიც ასე ნაყოფიერად ვითარდება, ვფიქრობ, სასურველი იქნება, უმოკლეს დროში მოეწყოს ჩვენი სამეულის შეხვედრა“.**

მეორე დღესვე ამავე შინაარსის წერილით მიმართა სტალინს ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა ჩერჩილმა.

მოკავშირეთა თხოვნას სტალინმა ასე უპასუხა:

„ასეთ შეხვედრას სასურველად ჩავთვლიდი, მაგრამ არსებულ პირობებში, როდესაც ფრონტი დიდ მანძილზეა გადაჭიმული, არ მაქვს საშუალება, ერთი წუთითაც მივატოვო ფრონტები და მათი ოპერატიული ხელმძღვანელობა. არ შემიძლია, დავტოვო საბჭოთა კავშირის ტერიტორია თუნდაც მცირე დროით“.

მოკავშირეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სტალინი აზრს არ შეიცვლიდა და გადაწყვიტეს, შეხვედრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამართულიყო — ყირიმის ნახევარკუნძულზე, იალტაში, 1945 წლის 3 თებერვალს.

სტალინს ევროპაში სხვა საქმეები უფრო აწუხებდა, ვიდრე მოკავშირეებთან მასლაათი. არც ერთ ფრონტის სარდალს ან სამხედრო საბჭოს წევრს არ შეეძლო დამოუკიდებლად წარმატების მიღწევა, რადგან უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი ფრონტი ათასგვარ გადაადგილებას და ყოველწამიერ კორექტირებას მოითხოვდა, ხოლო ცალკეულ სარდლებს ფრონტების საერთო ხედვა, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ.

**ვისაც ერთ მთლიან პრიზმაში შეეძლო დაენახა ფრონტების საერთო სურათი, იყო მხოლოდ სტალინი, რომელიც თითქოს ჯადოსნურ სარკეში იყურებოდა, ნათლად ხედავდა, სად იყო გასატარებელი აუცილებელი ზომები, სად — დასაწყები შეტევა ან თავდაცვა. სწორედ ამიტომ 1944 წელს ჩატარებულ ყველა დიდ და გადამწყვეტ ოპერაციას სამართლიანად ეწოდა 10 სტალინური დარტყმა.**

იუგოსლავიის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჰიტლერი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ძალებს, მაგრამ პარტიზანული ნაწილები სახალხო არმიასთან ერთად, რომელსაც **იოსებ ბროზ ტიტო** ხელმძღვანელობდა, მოსვენებას არ აძლევდნენ ჰიტლერელებს. იუგოსლავიელ პარტიზანებს ომის პერიოდში მუდმივი რადიოკავშირი ჰქონდათ მოსკოვთან.



ჩერჩილი და სტალინი კრემლში

**14 ოქტომბერს, როდესაც უკვე თითქმის გადაწყვეტილი იყო ევროპის ბედი, ბრიტანეთის პრემიერმინისტრი კრემლში იჯდა სტალინის პირისპირ და განუწყვეტლივ აბოლებდა თავის საყვარელ სიგარას, რომელსაც ასევე აქტიურად მხარს უბამდა სტალინი თავისი ლეგენდარული ჩიბუხით. ორივე მოსაუბრე თამბაქოს ბოლში იყო გახვეული**

1942 წლის 29 ნოემბერს, როდესაც საბჭოთა არმია ჯერ კიდევ არ იყო ფართომასშტაბიან შეტევაზე გადასული, სტალინმა ტიტოსაგან დეპეშა მიიღო:

„იოსებ ბესარიონის ძე სტალინს, სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს!

იუგოსლავიის ანტიფაშისტური ეროვნული ვეჩეს დამფუძნებელი კრების სახელით მოგმართავთ თქვენ, დიდ მხედართმთავარსა და ორგანიზატორს, მშვიდობისმოყვარე ხალხის ფაშისტური უღლისგან განმათავისუფლებელს. იუგოსლავიელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა ბრძოლებში გამოიწრთო და არ არსებობს ძალა, რომელიც დაშლის ამ ნდობას და მეგობრობას“.

1944 წლის აპრილში იუგოსლავიის მისიის სახელით მოსკოვს ეწვია იუგოსლავიის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და ლიტერატორი, წარმოშობით ჩერნოგორიელი **მილოვან ჯილასი**, რომელმაც მოგვიანებით თავის მემუარებში დაწერა:

„სტალინი წარმოგიდგებათ, როგორც ლიდერი თავისი იდეებით, რომლებიც მისთვის ყველაზე ძვირფასი და წმინდაა. სტალინი მარშლის ფორმაში იყო. არავითარი ნიშანი, გარდა ერთი ოქროს ვარსკვლავისა, არ ეკეთა, ხელოვნური არაფერი ჰქონდა, იყო სრულიად ბუნებრივი და არა ისეთი, როგორსაც სურათებიდან და კინოქრონიკებიდან ვუყურებთ —Y მკაცრი გამოხედვით. ის ხელში ათამაშებს თავის ჩიბუხს, რომელსაც ამშვენებს თეთრი წარწერა „დანჰილ“. ზოგჯერ ხელში მწვანე ფანქარი უჭირავს და ფურცელზე განხილულ საკითხებს ჯვარედინი ხაზებით აღნიშნავს.

სტალინს მოვახსენე: ჩამოსულები ვართ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირმა იუგოსლავიას გაუწოდოს დახმარების ხელი და სესხად მისცეს 200 000 დოლარი, რითაც დააკმაყოფილებს უცხოური მისიების თხოვნას იარაღის შეძენაზე. სესხი კი აუცილებლად დაბრუნდება ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით.

როცა ჩემი თხოვნა მოისმინა, სტალინი გულწრფელად გაბრაზდა:

— თქვენ შეურაცხმყოფთ! თქვენ სისხლს ღვრით მტრის წინააღმდეგ და ამაში ფული უნდა გამოგართვათ?! მე ვაჭარი არ ვარ. ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რისთვისაც თქვენ, ეს საერთო საქმე და მოვალეობაა. გაგიკეთებთ ყველაფერს, რისი საშუალებაც გვაქვს“.

ჯილასი სტალინს კუნცევოს აგარაკზე შეხვდა მეორედ. სტალინმა დაწვრილებით განიხილა იუგოსლავიის საკითხი, როგორც ომის მიმდინარეობის დროს, ისე ომის შემდგომ ევროპულ სივრცეში, დარიგებები მისცა ინგლისში დაბანაკებული იუგოსლავიის ემიგრაციული მთავრობის შესახებ და ვრცლად ისაუბრა იუგოსლავიის ყოფილ მეთაურ **ბენეშზე**, რომელიც პოლიტიკურ მოლაპარაკებებს მართავდა ჩერჩილთან. სტალინმა გარკვევით და გასაგებად განუმარტა ჯილასს, ვინ ვინ იყო და თავისებური შეფასებები მისცა მათ:

— შეიძლება, თქვენ ფიქრობთ, რომ რადგან ბრიტანელებთან ან ამერიკელებთან ვთანამშრომლობთ, დავიწყებული გვაქვს მათი მტრული საქმიანობა და დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ! მათთვის მოკავშირის მოტყუებაზე სასიამოვნო არაფერია. კარგად ვიცით, ვინ არიან ისინი, ვინ არის ჩერჩილი. პირველი მსოფლიო ომის დროს ბრიტანელები რეგულარულად ატყუებდნენ, როგორც რუსებს, ისე ფრანგებს.

**ჩერჩილი ისეთი მოდგმის კაცია, თუ სულ თვალებში არ უყურებ, ჯიბიდან ამოგაცლის თუნდაც ერთ კაპიკს, დიახ, ერთ კაპიკს. რუზველტი ასეთი არ არის. ის ჯიბეში ხელს ჩაგიყოფთ უფრო მსხვილი კუპიურებისთვის.**

„სტალინმა ვახშამზე მიგვიწვია. როდესაც დერეფანში მივდიოდით, **სტალინი გაჩერდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკასთან, რომელზეც საბჭოთა კავშირის ტერიტორია წითელი ფერით იყო აღნიშნული, ხელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას დაადო და განაცხადა: „ამერიკელები და ინგლისელები არასოდეს შეეგუებიან იმ აზრს, რომ ასეთი დიდი ტერიტორია მსოფლიო რუკაზე წითლად იყოს შეღებილი. არასოდეს, არასოდეს შეეგუებიან!“**

ცოტა ხნის შემდეგ კი დასძინა:

— ინდუსტრიალიზაცია რომ არა, ჩვენ ვერც ამ დიდ ქვეყანას შევინარჩუნებდით და ვერც ომს მოვიგებდით. სწორედ ამისთვის გვქონდა ბრძოლა ტროცკისთან და ბუხარინთან“.

1944 წლის 17 ივლისს სტალინმა გასცა განკარგულება, იტალიის ქალაქ ბარიში გაეხსნათ საბჭოთა ავიაბაზა, საიდანაც დაიწყებოდა იუგოსლავიელი პარტიზანების იარაღით მომარაგება, სურსათით უზრუნველყოფა და დაჭრილთა ევაკუაცია.

მალე მოსკოვში ჩაფრინდა და სტალინთან შესახვედრად მოემზადა იუგოსლავიის პარტიზანული და სახალხო არმიის მეთაური იოსებ ბროზ ტიტო.

„სტალინს პირისპირ არასოდეს შევხვედრივარ, გარდა იმისა, რომ მინახავს კომინტერნის სხდომებზე პრეზიდიუმის მაგიდასთან. Pპირველი საკითხი, რომელიც ერთად განვიხილეთ, იყო ჩვენი და წითელი არმიის ერთობლივი ბრძოლა იუგოსლავიის გასათავისუფლებლად. სტალინს განვუცხადე, რომ დიდი დახმარება იქნებოდა, თუ იუგოსლავიელებს მოახმარდა ერთ სატანკო დივიზიას, რაც გაუადვილებდათ მტერთან ბრძოლას და დააჩქარებდა ბელგრადის გათავისუფლებას ფაშისტებისგან.

სტალინი დათანხმდა ჩემს თხოვნას და მომმართა:

— ვალტერ (ასე მეძახდნენ მოსკოვში), მოგცემ არა დივიზიას, არამედ სატანკო კორპუსს.

ამის შემდეგ ვისაუბრეთ იუგოსლავიის რომელ ნაწილს გაათავისუფლებდა წითელი არმია და რომელს — იუგოსლავიელი მებრძოლები“.

სტალინი ერთი სატანკო კორპუსის დახმარე- ▶

გრიგოლ ოniანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხარაზი ბესარიონ ჯუღაშვილის შვილმა — იოსებმა, ევროპამდე ჩააღწია და ქვეყნიერებას, კომუნიზმის აჩრდილად კი არა, პოლიტიკურ დინოზავრად მოევლინა, რომლის წინაშეც უძლური იყო ყველა პაპი და მეფე, ყველა რჯულისა და ქვეყნის მეტერნიხი. მას მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების მეთაურები — პოლიტიკური გრანდები, ხელისბიჭებად ჰყავდა გადაქცეული.

◀ბით არ დაკმაყოფილებულა, იუგოსლავიელებს გადასცა ერთი სატანკო ბრიგადა ლეგენდარული ტ-34-ითა და 500 ტანკისტით. ამას გარდა, იუგოსლავიელების განკარგულებაში გადაიყვანა მოიერიშე საავიაციო დივიზია და ქვეითთა მოიერიშე ნაწილები.

სტალინმა იუგოსლავიის საკითხის უსწრაფესად მოსაგვარებლად ყველაფერი გააკეთა და 1944 წლის 5 ოქტომბერს ხელი მოაწერა დირექტივას ბელგრადის აღების შესახებ.

გენერალური შტაბი მთავარსარდალს რეგულარულად აწვდიდა ცნობებს იუგოსლავიაში მიმდინარე ბრძოლებზე, რომლითაც სტალინი აშკარად კმაყოფილი იყო. 1944 წლის 22 ოქტომბერს წარმატებით დასრულდა ბელგრადის ოპერაცია და იუგოსლავია სრულიად გაწმენდილ იქნა ჰიტლერელთა ნარჩენებისგან.

ევროპაში სტალინის ტრიუმფის გამო ძილდაკარგულმა ჩერჩილმა კიდევ ერთხელ სთხოვა სტალინს, მიეღო კრემლში. სტალინი დათანხმდა.

14 ოქტომბერს, როდესაც უკვე თითქმის გადაწყვეტილი იყო ევროპის ბედი, ბრიტანეთის პრემიერმინისტრი კრემლში იჯდა სტალინის პირისპირ და განუწყვეტლივ აბოლებდა თავის საყვარელ სიგარას, მას ასევე აქტიურად უბამდა მხარს სტალინი თავისი ლეგენდარული ჩიბუხით. ორივე მოსაუბრე თამბაქოს ბოლში იყო გახვეული.

გენერალური შტაბის უფროსი დაწვრილებით ყვებოდა ევროპის ქალაქებში მიმდინარე საომარი მოქმედებების, აგრეთვე, ბერლინის მიმართულებით ოპერაციის მზადების შესახებ.

ჩერჩილმა შეშფოთებით იკითხა: „რამდენი გერმანული დივიზია დგას ეიზენჰაუერის ჯარების წინააღმდეგ?“ ამ კითხვას სტალინმა პასუხი აბსოლიტური სიზუსტით გასცა.

საღამოს სტალინმა ჩერჩილი დიდ თეატრში დაპატიჟა. ლოჟაში ჩერჩილის გამოჩენას დარბაზი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა, ჩერჩილის უკან სტალინის დანახვამ კი ოვაცია გამოიწვია. ხალხი აღტაცებული იყო, რადგან ომის დაწყების შემდეგ სტალინი თავის ლოჟაში პირველად გამოჩნდა. ჩერჩილს ძალზე მოეწონა დიდი თეატრის ბალეტისა და ოპერის ვარსკვლავები, მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც უსმენდა **ალექსანდროვის** ცნობილ გუნდს, რომელიც სხვა სამხედრო სიმღერებთან ერთად რუსულ ხალხურ სიმღერებსაც ასრულებდა.

მეორე დღეს ჩერჩილს მოლაპარაკებებში მონაწილეობა არ მიუღია „ტემპერატურის აწევის გამო“. სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სტუმრის მიმართ და, როდესაც შეიტყო, რომ, ჩერჩილი მეორე დღესაც ვერ შეძლებდა კრემლში მისვლას, გადაწყვიტა, თვითონ მისულიყო ბრიტანეთის საელჩოში (რაც ერთობ სენსაციური საქციელი იყო) და მოენახულებინა კოლეგა. საუბარი ჩერჩილთან გათენებამდე გაგრძელდა. ჩერჩილი თავის მემუარებში წერს:

„ეჭვი არ არის, რომ საუბრისას ჩვენ ვიყავით მართლები, თავისუფლები და გულწრფელები. ასეთი შეხვედრა ჩვენ შორის არასოდეს არ შემდგარა“.

შემდეგ შეხვედრაზე ჩერჩილი მიუახლოვდა საკითხს, რომლისთვისაც იყო მოსკოვში ჩასული.

— ხომ არ შეიძლება მარშალო, განვიხილოთ და დავარეგულიროთ ბალკანეთის საკითხი?

და მან სტალინს რამდენიმე სახელმწიფოს წილობრივი გაყოფა შესთავაზა. სტალინმა ხანგრძლივი პაუზა გააკეთა, რომლითაც ისარგებლა ჩერჩილმა და ფურცელზე ჩამოწერა:

**„რუმინეთი — რუსეთს 90%, სხვებს —10%.**

**საბერძნეთი — ინგლისს, ამერიკასთან შეთანხმებით, — 90%, რუსეთს —10%.**

**იუგოსლავია — 50%-50%.**

**უნგრეთი — 50%-50%.**

**ბულგარეთი — რუსეთს 75%, დანარჩენებს — 25 %“.**

ჩერჩილმა სია სტალინს გადასცა. სტალინმა აუღელვებლად ჩაიკითხა ევროპის განაწილების სია და ცოტა ხნის შემდეგ ხელი ფანქრისკენ გასწია, ხელში აიღო და სიას თავზე დიდი „პტიჩკა“ გაუკეთა, შემდეგ კი მაგიდაზე დადო. სტალინი შოკირებული იყო ჩერჩილის საქციელით, რაც აშკარად გამოეხატა სახეზე.

ჩერჩილი მიხვდა, რა უმძიმესი შეცდომა დაუშვა სტალინის წინაშე და თვითონაც ძალზე შეწუხებულმა სტალინს თხოვნით მიმართა:

— მოდი, დავწვათ ეს ქაღალდი!

მაგრამ სტალინმა მტკიცედ განუცხადა: „არა, დაანებე თავი!“

სტალინი ევროპის განმათავისუფლებელი იყო და არა დამპყრობი, მან რევოლუციის პირველ წლებშივე მტკიცედ გადაწყვიტა, რომ დაუშვებელია რევოლუციის ექსპორტი, რომ მსოფლიო რევოლუცია არა პროგრესი, არამედ კატასტროფა იქნებოდა. სტალინის სახეზე ჩერჩილმა მისი განვლილი და მომავალი პოლიტიკური კარიერა დაინახა და, როგორც ჩანს, მაშინ გაუელვა გონებაში, რომ:

**„იდგა გაღიმებული ნიანგის წინაშე, რომელიც იღიმოდა იმიტომ, რომ გემრიელ ლუკმას გადაყლაპავდა, ან იმიტომ, რომ შეიცოდებდა“.**

ვიდრე თემას დავასრულებდე, მინდა, დავუბრუნდე შეწყვეტილი ამბის თხრობას ავიაციის მარშალ **ალექსანდრე გოლოვანოვზე.**

შეწყვეტილი თემის მოკლე შინაარსი:

სტალინის უსაყვარლეს ადამიანზე, მარშალ გოლოვანოვზე ცენტრალურ კომიტეტში შევიდა საჩივარი, რომელიც სტალინმა წაიკითხა. საჩივრის ავტორი იყო შორსმოქმედი ავიაციის პოლკის მეთაური, ქალბატონი გვარად **გრიზოდუბოვა.** საჩივრის შემოწმება სტალინმა ცეკას მდივან მალენკოვს დაავალა.

გრიზოდუბოვა ჩიოდა, რატომ არ მიაკუთვნეს მის პოლკს გვარდიულის სახელწოდება, რატომ არ მიანიჭეს მას გენერლის წოდება, რატომ არ აჯილდოებენ მთავრობის ჯილდოებით და სხვ.

მარშალმა გოლოვანოვმა ცეკას მდივანს მოახსენა, რომ, რადგან არც ერთი ეს საკითხი მას პირადად არ ეხებოდა, ქვეშევრდომებთან გაარკვევდა



ბროზ ტიტო და სტალინი

**«როდესაც დერეფანში მივდიოდით, სტალინი გაჩერდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკასთან, რომელზეც საბჭოთა კავშირის ტერიტორია წითელი ფერით იყო აღნიშნული, ხელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას დაადო და განაცხადა: „ამერიკელები და ინგლისელები არასოდეს შეეგუებიან იმ აზრს, რომ ასეთი დიდი ტერიტორია მსოფლიო რუკაზე წითლად იყოს შეღებილი. არასოდეს, არასოდეს შეეგუებიან!»**

და ზუსტ პასუხს მოახსენებდა, ამისთვის დრო ითხოვა.

მარშალმა ადგილზე მისვლისთანავე გამოიძახა კორპუსისა და დივიზიის მეთაურები, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდა გრიზოდუბოვას პოლკა, და მოსთხოვა, დაწვრილებითი ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომლებიც მას ცენტრალურ კომიტეტში ბრალდებად წაუყენეს.

სარდლებმა ოფიციალურად წარადგინეს გრიზოდუბოვას პოლკისა და თვით პოლკის მეთაურის დახასიათება, რომელიც სავსე იყო უამრავი ბრალდებითა და შენიშვნით. მარშალი განრისხდა და თავისი დივიზიისა და კორპუსის სარდლების დასჯა გადაწყვიტა იმის გამო, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფ პოლკში ასეთი უწესრიგობა იყო.

ჩიხში მოქცეულმა სარდლებმა ბოლოს სიმართლე აღიარეს და მარშალს განუცხადეს, რომ გრიზოდუბოვას პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა იცნობს და მის პოლკს თვითონ სტალინი აკონტროლებს.

სტალინის სახელის ხსენებამ მარშალს მკაცრი ზომების მიღება გადააფიქრებინა, მაგრამ ნირწამხდარი გაემართა ცენტრალურ კომიტეტში. ცეკას მდივანმა მალენკოვმა მარშლის მიღებისთანავე თანაშემწეს დაავალა, კაბინეტში გრიზოდუბოვა შემოეყვანათ.

მარშალმა მოხსენება დაიწყო:

— როგორც მაცნობეს, გენერლის წოდების მისანიჭებლად არ კმარა პოლკის მეთაურის თანამდებობა, დივიზიის მეთაური მაინც უნდა იყოს თანამდებობით.

— კეთილი, ინებეთ, გადაიყვანეთ დივიზიის მეთაურად და მიანიჭეთ გენერლობა! — მკაცრად განუცხადა მარშალს მალენკოვმა.

ასეთი ტონით ბრძანება მარშალ გოლოვანოვს ჯერ არავისგან მიუღია. მიხვდა, რომ ეს მხოლოდ მალენკოვის გაბედულება კი არა, ცეკას ბიუროს გადაწყვეტილებაც იყო, ამან კიდევ უფრო გააღიზიანა მარშალი.

— ვინ მოგახსენათ, რომ პოლკში ასეთი ცუდი მდგომარეობაა? — გაბრაზებით ჰკითხა მარშალს ცეკას მდივანმა.

— პოლკში შექმნილ ვითარებაზე მომახსენეს კორპუსის მეთაურმა და დივიზიის მეთაურმა, —უპასუხა გოლოვანოვმა.

— პოლკს უნდა მიანიჭოთ გვარდიის სახელწოდება და თქვენი მოვალეობაა, ეს სასწრაფოდ გააფორმოთ! — გასცა განკარგულება ცეკას მდივანმა.

— მე ვენდობი დივიზიის მეთაურ კარტუკოვსა და კორპუსის მეთაურ ნესტორენკოს, ამიტომ პოლკის წარდგენა გვარდიის სახელწოდების მისაღებად არ მიმაჩნია სწორად, — უპასუხა მარშალმა.

— პოლკს მიანიჭებთ გვარდიის სახელწოდებას! — ხმას აუწია მალენკოვმა.

— მე ამას არ გავაკეთებ, ამხანაგო ცეკას მდივანო, იმიტომ კი არა, რომ არ მინდა, არ ეკუთვნის და იმიტომ.

— თქვენთვის თუ არის ცნობილი, რომ „თქვენი“ კარტუკოვი ღამღამობით ხშირად უკაკუნებს კარზე გრიზოდუბოვას და თანხმობის მიუღებლობის გამო მტრობს მას?

— ამხანაგო მდივანო, კარტუკოვი „ჩემი“ რატომ არის? ის ცოტა ხნის წინათ გავიცანი. არის საუკეთესო მეთაური და გაბედული მეომარი.

— კარტუკოვის ცოლი შენი ცოლის მკვიდრი დაა და ამიტომაც არის „თქვენი“ და ამიტომაც იცავთ მას თავგამოდებით.

გოლოვანოვმა ხმამაღლა გაიცინა და მალენკოვს გახედა.

— რა უცნაურია, ასეთივე ბრალდებით შორეულ აღმოსავლეთში პარტიიდან მრიცხავდნენ, რადგან ჩემი ცოლის და იყო თითქოს ცოლი კაცისა, რომელიც სამშობლოს ღალატისათვის დახვრიტეს. არადა, ჩემი ცოლი საერთოდ არ იცნობდა არც იმ კაცს და არც მის ცოლს, ვის დობასაც აბრალებდნენ, არც გვარები ჰქონდათ ერთნაირი. კარტუკოვს, როდესაც გავიცანი, მეუღლეც ჰყავდა და სტუდენტი შვილებიც, ხოლო ჩემს მეუღლეს არც კარტუკოვი უნახავს და არც მის ცოლს იცნობს. ამიტომ გამეცინა, ცეკას მდივანო, როგორ დაემთხვა ეს ორი შემთხვევა ერთმანეთს.

მალენკოვმა გაკვირვებული შეხედა გოლოვანოვს და სასწრაფოდ ჩაიხედა საქაღალდეში, რამდენიმე ფურცელი გადაშალა, წამოდგა და ოთახიდან სასწრაფოდ გავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მალენკოვის თანაშემწემ გოლოვანოვს უთხრა, რომ თავისუფალი იყო.

„მეორე დღეს სასწრაფოდ მალენკოვთან გამომიძახეს, როგორც კი კარი შევაღე, მალენკოვმა შემომძახა:

— მობრძანდით, ალექსანდრე ევგენის ძევ.

მთხოვა, დავმჯდარიყავი და თანაშემწეს ტელეფონით დაუკავშირდა:

— შემოვიდეს გრიზოდუბოვა.

როგორც კი პოლკის მეთაური გრიზოდუბოვა მაგიდასთან დაჯდა, მალენკოვი ფეხზე წამოდგა, საქაღალდე ხელში აიღო და დაიწყო კითხვა:

— მე დავალებული მაქვს, პოლიტბიუროს სახელით გადმოქცეთ თქვენი საჩივრის პასუხი, — მიმართა მალენკოვმა გრიზოდუბოვას და განაგრძო:

— უშუალო უფროსებისადმი ცილისწამებისთვის, ავიაციის მარშალ გოლოვანოვის ცილისწამების მცდელობისათვის, რომელსაც ენდობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთავრობა და მისი შეიარაღებული ძალები, სამშობლოსათვის თავდადებული სარდლის სახელის გატეხვის მცდელობისათვის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის წინაშე, პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, გადაგცეთ სამხედრო ტრიბუნალს, სადაც გადაიგზავნება თქვენი საჩივრის საფუძველზე მოპოვებული ყველა მასალა.

ახლა კი შედით პარტიული კონტროლის თავმჯდომარესთან თქვენი პარტიულობის საკითხზე“.

ასე დასრულდა ავიაციის მარშალ გოლოვანოვის წინააღმდეგ დაწერილი საჩივრის განხილვა, რომელსაც, გარდა მალენკოვის კომისიისა, კიდევ ორი კომისია იძიებდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

„ეს მაგალითი აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ სტალინისთვის სულერთი იყო მარშალი და რიგითი ჯარისკაცი, ქალი თუ კაცი, თუკი ის დამნაშავე იყო. ასე მოითხოვდა ის უმკაცრესი ეპოქა და საქმე“, — იგონებს მარშალი გოლოვანოვი.

**სტალინი ევროპის განმათავისუფლებელი იყო და არა დამპყრობი, მან რევოლუციის პირველ წლებშივე მტკიცედ გადაწყვიტა, რომ დაუშვებელია რევოლუციის ექსპორტი, რომ მსოფლიო რევოლუცია არა პროგრესი, არამედ კატასტროფა იქნებოდა**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალზრდის ახალი პროგრამის მიხედვით, კანადელ პირველკლასელებს აუხსნიან, როგორ ვითარდება მათი სასქესო ორგანოები, მეორე კლასში შეასწავლიან, როგორ თქვან უარი სექსზე, მესამე კლასში კი ბავშვები შეიტყობენ ერთნაირსქესიანთა ოჯახების შესახებ.**

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

ახალ რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის.

დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით




## კანადელ ბავშვებს პირველი კლასიდანვე ჩაუტარებენ გაკვეთილებს სექსის საკითხებზე

**კლასში ბავშვებს ეკრანზე უჩვენებენ ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოებს, მასწავლებელი კი დაწვრილებით აღწერს ქალისა და მამაკაცის ანატომიას — ასე მიმდინარეობს სქესობრივი აღზრდის გაკვეთილი დიდ ბრიტანეთში. ბავშვები შეცბუნებულნი არიან. მასწავლებელი კი, ჩანს, უკვე მიეჩვია თავის როლს და აუღელვებლად განაგრძობს „სწავლებას“ (იხ. ვიდეო ინტერნეტმისამართზე: http://ok.ru/video/8489600288 )**

ონტარიოში კი კანადელმა მშობლებმა ამა წლის მაისში გაარკვიეს, რომ სწორედ ასე წარიმართება მათი შვილების სექსუალური სწავლება, ოღონდ, თუ ბრიტანელები სექსის საკითხებს 14 წლიდან სწავლობენ, კანადელებმა 5 წლიდან უნდა ისწავლონ, ანუ პირველი კლასიდან. აღზრდის ახალი პროგრამის მიხედვით, კანადელ პირველკლასელებს აუხსნიან, როგორ ვითარდება მათი სასქესო ორგანოები, მეორე კლასში შეასწავლიან, როგორ თქვან უარი სექსზე, მესამე კლასში კი ბავშვები შეიტყობენ ერთნაირსქესიანთა ოჯახების შესახებ. სასწავლო კურსში, აგრეთვე, გათვალისწინებულია ისეთი ცნებები, როგორიცაა „ეროტიკული შინაარსის ეს-ემ-ესი“, და სიამოვნების სხვადასხვა სახეობა, მათ შორის, ანალური სექსი.

## ფრანგმა მღვდელმსახურმა მრევლს 100 ათასი ევრო მოჰპარა



**საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ქალაქ ევრეს სასამართლომ 15 ათასი ევროთი დააჯარიმა კათოლიკე მღვდელი ფრენსის მიშელი, რომელმაც ეკლესიის სალაროდან მრევლის მიერ შეგროვებული 100 ათასი ევრო მოიპარა. სასამართლომ კათოლიკე მღვდელმსახური „ნდობის ბოროტად გამოყენებაში“ დაადანაშაულა.**

**ფრენსის მიშელი** ქალაქ ტიბერვილის კიურედ (საფრანგეთში, ბელგიასა და ზოგიერთ ქვეყანაში კათოლიკური ეკლესიის მღვდელი) მსახურობდა. მან ფული, რომელსაც მრევლი სწირავდა, 2006-2008 წლებში მიიტაცა. კიურეს წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში რაიონის ეპისკოპოსის ადმინისტრაციამ შეიტანა. სასულიერო პირის ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა იპოვეს დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ფრენსის მიშელის 11 ანგარიშზე 116 ათასი ევრო ირიცხებოდა. საბანკო ანგარიშების მიხედვით, კიურემ არაერთხელ იმოგზაურა პარიზში, სადაც ძვირად ღირებულ სასტუმროებში ბინავდებოდა და ძვირად ღირებულ ნივთებს იძენდა, პირსინგიც კი გაიკეთა.

აღსანიშნავია, რომ „მამა მიშელი“ თავს ღარიბ, უქონელ მღვდელად წარმოაჩენდა და ეკლესიაში დახეული ანაფორით დადიოდა.



## «მორმონების დედაქალაქის» მერად ლესბოსელი აირჩიეს

**იუტას შტატის დედაქალაქი სოლტ-ლეიკ-სიტი ცნობილია, როგორც ქალაქი ბოლო დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიისა (მორმონების ეკლესია), რომელიც ჰომოსექსუალების მიმართ სიმკაცრით გამოირჩევა და ამ საკითხზე სპეციალური დოქტრინაც კი აქვს შემუშავებული. მიუხედავად ამისა, ქალაქის მერის არჩევნებში გაიმარჯვა ჯეკი ბისკუპსკიმ, რომელიც კარგა ხანია, არ მალავს, რომ ლესბოსელია.**

რამდენიმე დღის წინათ გამართული არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით, სოლტ-ლეიკ-სიტის მოქმედი მერი რალფ ბეკერი ბისკუპსკისთან დამარცხდა. ბისკუპსკიმ ხმების 52,19% მოაგროვა, ბეკერმა — 47,81%. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების საბოლოო შედეგი 17 ნოემბერს უნდა გამოქვეყნდეს, იუტას შტატის სენატორმა **ჯიმ დამაკისმა** განაცხადა, რომ „მომხდარი სოლტ-ლეიკ-სიტის მოსახლეობის პროგრესზე მიანიშნებს (?! — ნ.კ.)“ და „ლგბტ-თემის ბევრ თაობას ასეთ რამეზე მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. ეს — სოლტ-ლეიკ-სიტის ისტორიაში დიდი მომენტია“.

2010 წელს კონსერვატიული ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის (მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მეოთხე ქალაქი აშშ-ში) მერის არჩევნებში გაიმარჯვა ლესბოსელმა **ენის პარკერმა**, რომელმაც 2014 წელს კალიფორნიაში იქორწინა **კეტი ჰაბარდზე.** აღსანიშნავია, რომ ამ ლესბოსურმა წყვილმა 3 ბავშვი იშვილა.

## მასწავლებელი 40 წლის განმავლობაში აუპატიურებდა მოსწავლეებს

**უილიამ ვაჰეი საზღვარგარეთ მოგზაურობისას ბავშვებს საძილე საშუალებებს უყრიდა საკვებში და აუპატიურებდა. ამით ხსნიდნენ ექსპერტები იმას, რომ მოძალადე დიდი ხნის განმავლობაში ახერხებდა დანაშაულის დამალვას.**



ვაჰეიმ 2009 წელს დაიწყო მუშაობა საერთაშორისო ელიტურ სკოლა Southbank-ში. მანამდე კი წლების განმავლობაში ძალადობდა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებზე 9 ქვეყანაში — ირანში, ლიბანში, ესპანეთში, საბერძნეთში, საუდის არაბეთში, ვენესუელაში, ნიკარაგუაში, ინდონეზიაში, დიდ ბრიტანეთში, სადაც ის ამერიკულ საერთაშორისო სკოლებში პედაგოგად მუშაობდა.

1949 წელს ნიუ იორკში დაბადებული ვაჰეი 20 წლის იყო, პირველად რომ დააპატიმრეს მცირეწლოვანი ბავშვის გარყვნისთვის. მას 90 დღით პატიმრობა და 5 წლით პირობითი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ მოგვიანებით უფლება მისცეს, გამგზავრებულიყო ირანში, სადაც ამერიკულ საერთაშორისო სკოლაში პედაგოგად დაიწყო მუშაობა.

2014 წლის მარტის დასაწყისში ნიკარაგუის ამერიკულ სკოლაში ვაჰეის დამლაგებელმა მოპარა მეხსიერების ბარათი, რომელზეც 90 გაუპატიურებული მძინარე ბავშვის ფოტო ინახებოდა და სკოლის ხელმძღვანელს გადასცა.

ვაჰეიმ თვითმკვლელობა სცადა, მაგრამ ექიმებმა გადაარჩინეს.

2014 წლის 21 მარტს კი მან ჯერ პოლიციელებს უამბო ჩადენილი დანაშაულების შესახებ, შემდეგ კი თავი მოიკლა. ვაჰეის მეხსიერების ბარათზე არსებული 90 ბავშვის ფოტოდან სამართალდამცველებმა 60 ამოიცნეს — ისინი სკოლა Southbank-ის მოსწავლეები არიან. ამ სკოლაში ვაჰეი ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლიდა და ბავშვებთან ერთად საზღვარგარეთ მოგზაურობდა.

ვაჰეი დაქორწინებული იყო და ორი შვილის მამა გახლდათ. მისი ცოლი ჯეინ ვაჰეი ევროპის საერთაშორისო სკოლების საბჭოს დირექტორობდა 2014 წლის გაზაფხულამდე.

ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ უფრო გვიყვარდა თუ არა ერთმანეთი ქართველებს? ხალხი იმ მცირედითაც, რასაც შოულობდა, კმაყოფილი იყო თუ არა? გვიხაროდა თუ არა ყოველი დილის გათენება? გულიანად მივიჩქაროდით თუ არა იმ მცირეხელფასიან სამსახურში? ახლა რომ საერთოდ მოიშალა, გვიხაროდა თუ არა სტუმრიანობა, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა, ერთმანეთის მოკითხვა, მეგობრებსა და ნათესავებს? თუ რაიმე ღირებულია დღეს ჩვენს ლიტერატურაში, ხელოვნებაში, კულტურაში, მეცნიერებაში, სპორტში... სატრაბახო და თავმოსაწონებელი, ეროვნული და პატრიოტული, ხომ საბჭოთა რესპუბლიკის პერიოდში შეიქმნა?..

ძველი დღეების ჩანაწერები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# შვილობილი ცოლად მამას მიჰყვება

**უკვე 40 წელიწადია, პენსილვანიელები (აშშ) ნინო ესპოზიტო და როლანდ ბოსი ერთად ცხოვრობენ. 40-წლიანი ურთიერთობა ნებისმიერი წყვილისთვის შესაშურია, მაგრამ ნინო და რონალდი გარკვეული მიზეზების გამო დაქორწინებულნი არ არიან. იმისათვის, რომ ურთიერთობა იურიდიულად აღიარებული ყოფილიყო, 2012 წელს რონალდ ბოსიმ ნინო ესპოზიტო იშვილა. აღსანიშნავია, რომ ერთნაირსქესიანთა ურთიერთობის ამგვარი ფორმა იშვიათი არ არის აშშ-ში, რადგან გეიწყვილები სხვა შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ.**

ახლა კი, როდესაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება აშშ-ში უკვე ლეგალიზებულია, წყვილს იმედი აქვს, რომ კანონიერად იქორწინებს, თუმცა ამისათვის ჯერ იურიდიულად აღარ უნდა იყვნენ „მამა“ და „შვილი“.

ესპოზიტომ და ბოსიმ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და შვილად აყვანის გაუქმება მოითხოვეს, მაგრამ მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან, ამერიკული კანონების მიხედვით, შვილად აყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს, თუ გამჟღავნდება თაღლითობის ფაქტი.

როგორც ტელეარხი CNN-ი იუწყება, მოსამართლე ლოურენს ჯ. ო'ტულმა განაცხადა, რომ წყვილს არ შეუძლია დაქორწინება, რადგან იურიდიულად ჯერ კიდევ ითვლება მამა-შვილად.

სამოქალაქო თავისუფლების ამერიკული კავშირის პენსილვანიის განყოფილების ადვოკატები, რომლებიც წყვილს ეხმარებიან, მორიგ სარჩელს ამზადებენ და იმედოვნებენ, რომ უზენაესი სასამართლო გააუქმებს შვილად აყვანის გადაწყვეტილებას, წყვილი ახალი კონსტიტუციური უფლებით ისარგებლებს და კანონიერად იქორწინებს.

მსგავსი ისტორია ამა წლის მაისშიც მოხდა: 76 წლის **ნორმან მაკარტურმა** და 78 წლის **ბილ ნოვაკმა**, რომლებიც მამა-შვილად ითვლებოდნენ, სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, შვილად აყვანის გადაწყვეტილება გააუქმეს და კანონიერი „ცოლი“ და „ქმარი“ გახდნენ.

# ამერიკული ფეხბურთის მოთამაშემ სატრფოს ხელი სთხოვა ვატიკანში, წმინდა პეტრეს ეკლესიის სახურავზე



**ამერიკული ფეხბურთის ნაციონალურ ლიგაში მოთამაშემ, 25 წლის მაიკლ სემმა 2014 წელს საჯაროდ აღიარა, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა.** წლის დასაწყისში კი მან თავის სატრფო **ვიტო კამისანოსთან** ერთად ევროპაში იმოგზაურა და ვატიკანში, წმინდა პეტრეს ეკლესიის სახურავზე ხელი სთხოვა და, როგორც ფოტოზე ჩანს, თანხმობაც მიიღო.

# როგორ გვიყვარდა ერთმანეთი საბჭოთა საქართველოში!..

**ის, რაც თვეზე მეტია, თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ახლომახლო ხდება, იმას, რასაც ამ ხნის განმავლობაში ვისმენთ და ვხედავთ ტელეეკრანზე, სამწუხაროდ, ნაცნობი სცენებია ჩვენთვის. ერთმანეთისადმი ასეთ დაუნდობლობას, ასეთ ლანძღვა-გინებასა და ცემა-ტყეპას, უკვე მეოთხედი საუკუნეა, დასასრული არ აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ის კი არა, სიძულვილი ძლიერდება და ძლიერდება! მეტადრე მას შემდეგ, რაც „ნაცებს“ „ჩაჩოჩება“ და „უმცირესობა“ აკადრეს.**

ვერა და ვერ მოინელეს ეს ფაქტი მიშამ და მისმა გუნდმა — ყველაფრის მკადრებელმა და გაღმა შედავების დიდოსტატებმა. მათი ქედმაღლობა გულის ამრევია. რის „ოცნება“ და რა „ოცნება“, ისინი არიან დღესაც!.. ამ წაჯექ-უკუჯექობაში კი ქვეყანა ზარალდება. და მერე რისთვის? იმისთვის, რომ მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში **„საქართველოში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა“.** ესენი ერთმანეთს ებრძვიან პირველობისთვის, ხელისუფლებაში ყოფნისთვის, ამასობაში კი ირგვლივ უკიდურესი სიღატაკეა და, რა გასაკვირია, რომ თავისუფლებისმოყვარე ქართველი კაცი ხანდახან ისევ კრემლის „უფროსობასა“ და საბჭოთა საქართველოში ცხოვრებას ნატრობს... ისეთ ფაქტებს დაგიდებენ, ვერც გაამტყუნებ.

ა, ბატონო: **ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ უფრო გვიყვარდა თუ არა ერთმანეთი ქართველებს? ხალხი იმ მცირედითაც, რასაც შოულობდა, კმაყოფილი იყო თუ არა? გვიხაროდა თუ არა ყოველი დილის გათენება? გულიანად მივიჩქაროდით თუ არა იმ მცირეხელფასიან სამსახურში? ახლა რომ საერთოდ მოიშალა, გვიხაროდა თუ არა სტუმრიანობა, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა, ერთმანეთის მოკითხვა, მეგობრებსა და ნათესავებს? თუ რაიმე ღირებულია დღეს ჩვენს ლიტერატურაში, ხელოვნებაში, კულტურაში, მეცნიერებაში, სპორტში... სატრაბახო და თავმოსაწონებელი, ეროვნული და პატრიოტული, ხომ საბჭოთა რესპუბლიკის პერიოდში შეიქმნა?..**

და მაინც, როგორც გითხარით, **იმ დროს იყო მთავარი ერთმანეთის სიყვარული, დაფასება, მოფერება, რომელიც ამ ბედუკუღმართ ქვეყანაში ასე აკლია დღეს ადამიანებს.**

რა დამავიწყებს: 55 წლის წინათ, 1960 წელს, 17 წლის ყმაწვილი მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ჩამომიყვანეს დედაქალაქში. დროებით ნათესავის ბინაში ვცხოვრობდით ენგელსის (დღევანდელი ლადო ასათიანის) ქუჩაზე. ღმერთო, რა უცებ მომაგებეს გულის სითბო, როგორ დამიახლოვდნენ ამ შესანიშნავ თბილისურაივნიან ეზოში მცხოვრები ადამიანები! როგორ მამხნევებდნენ, როგორ უხაროდათ ჩემი კარგი ნიშნები მისაღებ გამოცდებზე, ხოლო, როცა ჩავირიცხე, შუა ეზოში გაშალეს სუფრა და შესანიშნავი პურმარილი გამიმართეს, სტუდენტობა დამილოცეს!.. ღმერთო, რამდენჯერ მიგრძვნია მერე და მერე თბილისელთა გულის სითბო... **ხდება დღეს მსგავსი ამბები, ნაღდი, ქართული?.. რაღაც ეჭვი მეპარება, რადგან დღევანდელმა ყოფითმა პრობლემებმა დედა უტირა ჩვენს გულგახსნილ არსებობას, რაც, საერთოდ, დღევანდელი საქართველოს მოუწესრიგებელი არსებობის თანაზიარია. ვიტყვი ხოლმე, — კიდევ კარგი, ხანდახან ეს „კომედიშოუს“ ბიჭები გვახალისებენ, თორემ ტელევიზორის ჩართვა აღარ შეიძლება ამ ერთმანეთის მაგინებელი პოლიტიკოსების გამო-მეთქი.**

ჰოდა, იქნებ, ბოლოს და ბოლოს, **ქვეყნის საერთო საქმის სასიკეთოდ დავძლიოთ ბოღმა და ერთმანეთის სიძულვილი, ხალხო, მმართველო გუნდო თუ „უმცირესობავ“, უამრავი პარტიისა და ბლოკის წარმომადგენლებო!** საბჭოთა საქართველოში აღსრულებული საქვეყნო საქმეები, ადამიანური ურთიერთობები როგორ დაგვავიწყდება, მაგრამ **შეიძლება კაცს (და მერე რამდენს) დღეს ისეთი გაუსაძლისი მდგომარეობა ჰქონდეს, რომ კვლავაც ის წლები და დღეები, კვლავაც კრემლის „მფარველობა“ და სიკეთესთან ერთად უამრავი ავადმოსაგონარი ამბავი ინატროს, ოღონდაც არ შიოდეს?! საბჭოთა საქართველოში კი ასე ნამდვილად არ შიოდათ!** დამოუკიდებელი საქართველოს „მმართველო ელიტავ, როდისღა უნდა დამთავრდეს, „ცოტაც მოვითმინოთ — ცოტაც მოვითმინოთ“?! ამასობაში კი უამრავი არაფრის მაქნისი და არამზადა ჯიბეს ისქელებს ამ გასაცოდავებული ხალხის ფულით! ნუთუ ეს იყო ნატვრა ჩვენთა დიდთა წინაპართა, თავისუფალი საქართველოს არსებობის შესახებ?! **ამას იფიქრებდნენ, ამას წარმოიდგენდნენ ის სულგანათლებულები, რომ მეოცე საუკუნის დასასრულს და ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე დადგებოდა დრო, ქართველი ვერ „შეირგებდა“ დამოუკიდებლობას, ქართლელების აღმა ხნულს, კახელები დაღმა ჩამოფარცხავდნენ, გარეთ თუ შიგნით, ქუჩაში თუ პარლამენტში, სახელმწიფოებრივი აზროვნების ნაცვლად, ერთმანეთს ჩაუსაფრდებოდნენ, ერთმანეთის თათხვით დღე-ღამეს გაასწორებდნენ და ამას დაარქმევდნენ ოპოზიციონერობას?!**

...ამას წინათ, ერთ-ერთ ტელეარხზე ვუყურე დოკუმენტურ ფილმს იაპონელთა კიდევ ერთი სასწაულის შესახებ. სხვა გამოსავალი რომ არ ჰქონდათ, როგორ ააგეს ამ „უცხოპლანეტელებმა“ (კი, კი, მე პირადად, ჩვეულებრივ დედამიწელებად არ მივიჩნევ იაპონელებს) თავიანთი ერთ-ერთი ქალაქის სიახლოვეს, ოკეანეში, ხელოვნური კუნძული და როგორ გამართეს იქ მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი და მშვენიერი აეროპორტი, როგორ ჩაყარეს წყალში ათეული მილიონობით ტონა ქვაღორღი... როგორ აგებდა ამ არქიტექტურულ საოცრებას მილიონი მუშახელი... და როგორ ამაყობს დღეს ამ საოცრებით მთელი იაპონია... შევყურებდი და შევნატროდი ამ ხალხს, მართლაც „უცხოპლანეტელებს“, რომლებიც მიწის სიმცირის გამო რას არ სჩადიან. აშენებენ — მიწისძვრები ანგრევს, აშენებენ — ქარიშხლები ანგრევს!.. მაინც აშენებენ, მაინც უტევენ ბუნებას, მაინც გონების, თავდადების, არნახული შრომისმოყვარეობის მაგალითებს უჩვენებენ კაცობრიობას.

ჰოდა, ამ დროს, რა თქმა უნდა, გონების თვალი ჩვენს ქვეყანას, ღვთის ნაბოძებ დალოცვილ მიწა-წყალს უტრიალებს. იაპონელებთან შედარებით, მართლაც რომ არაფერი აკლია საქართველოს, ზღვაც უბოძა ღმერთმა, ფირუზისფერი ცაც და ზურმუხტისფერი ხმელეთიც, ოღონდ იშრომეთ და მოახდინეთ ზედ სასწაულებიო!.. **ჰოდა, ვახდენთ კიდეც, კარგა ხანია, „ქართულ სასწაულებს“ — ვტკბებით წარსულით, ამას რომ ვაშენებდით, იმას რომ ვაშენებდით!.. დღევანდელობას კი ერთმანეთის ლანძღვა-გინებით ვაფერადებთ... აღარ არის საშველი „ნაციონალებისა“ და „მეოცნებეების“ გაუთავებელი ქიშპის გამო... დაგვცინის მსოფლიო, — რისი ამშენებლები ხართ, სახელმწიფოს მეთაურები ერთმანეთს ვერ იტანენო!..**

სირცხვილი და თავის მოჭრაა ეს, მეტი არაფერი!..



# თბილისში სწორედაც უნდა იდგეს ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი

**ეს საკითხი, კარგა ხანია, ტრიალებს ჩვენს საზოგადოებაში, თუმცა ჯერჯერობით დადებითად ვერ გადაწყდა. ერთ ამბავში იყო ამის გამო შესანიშნავი ისტორიკოსი და თბილისის საკრებულოს ერთ-ერთი ავან-ჩავანი ჯაბა სამუშია. იგი მოუწოდებდა თბილისის მერიასა და საკრებულოს, რომ ცოტა სიმარჯვე გამოეჩინათ ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლის შესაქმნელად.**

თუმცა, მე თუ მკითხავთ, ეს საკითხი არახალია, იმდროინდელია, როდესაც დიდი ქართველი მწერლის ფასიც იცოდნენ საქართველოში და მნიშვნელობაც, თაობები კითხულობდნენ, თაობები ეთაყვანებოდნენ მის უიშვიათეს პროზას, მაგრამ თბილის-ქალაქში მისი ძეგლი ვერა და ვერ აღმართეს.

ჰოდა, **დღეს, კომპიუტერისა და ინტერნეტის ეპოქაში, ფასი წიგნმაც რომ დაკარგა და მწერალმაც, როდესაც დღევანდელი გოგო-ბიჭების უმრავლესობას სულაც არ აინტერესებს, ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი იქნება თუ არა თბილისში, ჭეშმარიტად მისასალმებელია ჯაბა სამუშიასა და სხვათა წუხილი (სხვაგვარად ღმერთმა ნუ ჰქნას) ამ საკითხის გამო.**

როგორც ვიცი, მერია და საკრებულო ითავებენ ყოველივეს, კონკურსსაც გამოაცხადებენ ძეგლის შექმნაზე. ჰოდა, იმედი გვაქვს, რომ ულამაზეს ყაზბეგის გამზირს მალე დაამშვენებს მოხევეთა ჭირ-ვარამისა თუ სასიხარულო დღეების გამზიარებელი დიდი მწერლის ქანდაკება.

**ვილენ მარდალეიშვილი**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პირველი ლედის რანგში ყოფნისას ჰილარი კლინტონმა თავის მეუღლე ბილს უბიძგა, 1999 წელს ბელგრადი დაებომბა. იუგოსლავიის წამება 1990-იანი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. კულმინაციად იქცა უკანონობის 78 დღე, რომელსაც სათავეში აშშ ედგა, და ნატოს აგრესია, რომელიც 1999 წლის 24 მარტიდან 10 ივნისამდე გაგრძელდა“.**

# ჰილარის პრეზიდენტობა აშშ-ისა და, საერთოდ, მსოფლიოსთვის კოშმარად იქცევა



**არ შეცდეთ! ჰილარი კლინტონის პრეზიდენტობას კატასტროფული შედეგები მოჰყვება. ეს იქნება ყველა შესაძლო არჩევანიდან ყველაზე უარესი. ეს იქნება ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ სიმდიდრის, ძალაუფლებისა და პრივილეგიებისკენ მიისწრაფვის, — წერს Left Business Observer-ი.**

უფლება არ მისცეთ მათ ორპირ რიტორიკას, მოგატყუონ. ყველანი ერთი და იმავე ცომისგან არიან გამომცხვარი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ საზოგადოების ყურადღების მიპყრობას. მაგალითად, „მწვანეთა პარტიის“ აქტივისტი ჯილ სტაინი ამგვარ ყურადღებას ვერ იმსახურებს. ჰილარი კლინტონის პრეზიდენტობა კოშმარული იქნება ამერიკელებისა და მსოფლიოს უდიდესი ნაწილისთვის. დღის წესრიგში იდგება გაუთავებელი ომები, აგრესიები (რომლებიც, შესაძლოა, მიმართული იყოს რუსეთის, ჩინეთის ან ირანის წინააღმდეგ), კორპორატიული ფავორიტივიზმი, სოციალური სამართლიანობის არარსებობა და სრულფასოვანი ტირანია მოწინააღმდეგე მხარეების მიმართ. ასეთია დუგ ჰენვუდის აზრი აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ ჰილარი კლინტონზე.

**დუგ ჰენვუდი** არის Left Business Observer-ის გამომცემელი და რედაქტორი. ეს გამოცემა მოიცავს ეკონომიკასა და პოლიტიკას ფართო აგებით და განიხილავს იმას, რაც თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს. ამ გამოცემაში 2014 წლის ნოემბერში დაიბეჭდა სტატია სათაურით „შეაჩერეთ ჰილარი! არ მისცეთ ხმა კლინტონების დინასტიას“. ღირს ამ მოწოდების გამეორება, რადგან კიდევ ერთი კლინტონი ყველა საშინელ ვარიანტს შორის უარესია.

„მას აქვს გამოცდილება, ის ქალია და ახლა მისი რიგია. მის სასარგებლოდ რაიმე არსებითი პოლიტიკური არგუმენტის გამონახვა ძნელია“.

**პირველი ლედის რანგში ყოფნისას ჰილარი კლინტონმა თავის მეუღლე ბილს უბიძგა, 1999 წელს ბელგრადი დაებომბა. იუგოსლავიის წამება 1990-იანი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. კულმინაციად იქცა უკანონობის 78 დღე, რომელსაც სათავეში აშშ ედგა, და ნატოს აგრესია, რომელიც 1999 წლის 24 მარტიდან 10 ივნისამდე გაგრძელდა.**

მან მეუღლეს მოუწოდა, ბოლო მოეღო ქველმოქმედებისთვის გაჭირვებული ოჯახების სასარგებლოდ. ფონდმა Vital Aid to Families with Dependent Children-მა შეწყვიტა არსებობა და გაჩნდა ე. წ. „პირადი პასუხისმგებლობა და დასაქმების შესაძლებლობათა შეთანხმება“, რომელმაც დასაქმების წესები უარესობისკენ შეცვალა.

ჰილარი კლიმტონმა ორგანიზაცია „დროებითი დახმარება გაჭირვებულ ოჯახებს“ აიძულა, დაეწესებინა ხუთწლიანი ლიმიტი და მილიონობით დიასახლისი (მათ შორის ბევრი მარტოხელა დედაც) სწორედ მაშინ დაეტოვებინა მარტო საკუთარ პრობლემებთან, როდესაც მათთვის დახმარება ყველაზე მეტად იყო აუცილებელი.

**«ჰილარი კლინტონმა ორგანიზაცია «დროებითი დახმარება გაჭირვებულ ოჯახებს» აიძულა, დაეწესებინა ხუთწლიანი ლიმიტი და მილიონობით დიასახლისი (მათ შორის ბევრი მარტოხელა დედა) სწორედ მაშინ დაეტოვებინა მარტო საკუთარ პრობლემებთან, როდესაც მათთვის დახმარება ყველაზე მეტად იყო აუცილებელი»**

„როგორც ნიუ იორკის სენატორი და სახელმწიფო მდივანი, ის უფრო მეტად მეომარი გახდა საგარეო პოლიტიკაში“, — ამბობს ჰენვუდი.

მისი თვითგამოცხადებული პროგრესი წმიდა წყლის ფანტაზიაა. როგორც სენატორმა, მან ხმა მისცა ერაყში ომის დაწყებას და კვლავაც მხარს უჭერს ამ აგრესიას. როგორც სახელმწიფო მდივანი, იგი, „დიპლომატი კი არა, ქორი იყო“.

მან მხარი დაუჭირა ავღანეთის ომს, ხმა მისცა აშშ-ის შემდგომ დარჩენას ერაყში, დახმარება გაუწია არაკანონიერი აგრესიის ორგანიზებას ლიბიაში და მოუწოდებდა ობამას, დაებომბა სირია უშიშროების საბჭოს მხრიდან აუცილებელი ნებართვის მიღების გარეშე.

„პრეზიდენტის რანგში ჰილარი გააკეთებს იმავეს, რასაც მისი წინამორბედები აკეთებდნენ, და ამან არ უნდა გაგვაკვირვოს. ამერიკულ პოლიტიკას საოცარი სტაბილურობა და მემკვიდრეობითობა ახასიათებს“, — წერს ჰენვუდი.

**globalresearch.ca**

# ახალგაზრდა ისლამისტების აღზრდა: მოზარდთა საჩვენებელი ხოცვა



**„ისლამური სახელმწიფოს“ დაუნდობელი ფანატიზმის შესახებ კარგად ვართ ინფორმირებულნი. ისლამური შუასაუკუნოვანება ყოველ ჯერზე ცდება თანამედროვე წარმოდგენებს ცხოვრების ნორმის შესახებ. ტერორისტებს ერთი კანონი აქვთ — ყელი გამოჭრან ყველას, ვინც არ იზიარებს მათ იდეოლოგიას. ამასთანავე, სასამართლოსა და გამოძიების გარეშე სიკვდილით დასჯა სისრულეში მოჰყავთ სხვაგვარად აზროვნების შესახებ ოდნავი ეჭვის არსებობის შემთხვევაშიც. ისლამისტების სადისტური სისხლისმსმელობა არც ბავშვებს ინდობს, არც ქალებს და არც საკუთარ მომხრეებს.**



რამდენიმე დღის წინათ გაჩნდა კიდევ ერთი ცნობა, რომელიც სცდება ტრადიციული ისლამის საზღვრებს — ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა 12 ბავშვი დასაჯეს სიკვდილით. ახალგაზრდა მსხვერპლნი სწავლებას გადიოდნენ „ას-სალამის“ საწვრთნელ ბანაკში, რომელიც ქალაქ მოსულში მდებარეობს. ისლამისტების სისასტიკე მათ გაქცევის მცდელობის გამო დაატყდათ თავს. დახოცილები 12-დან 16-წლამდე მოზარდები იყვნენ. როგორც ჩანს, მათი საქციელი ვერ თავსდებოდა ხალიფატისადმი ერთგულების ჩარჩოებში, თუმცა, **რაღა უნდა ითქვას ამ საქციელზე, როდესაც მხოლოდ საღეჭი რეზინის მოხმარების გამო „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები ბავშვებს მათრახის 80 დარტყმით სჯიან.**

**სიკვდილით მასობრივად დასჯა იმთავითვე იქცა „ისლამური სახელმწიფოს“ საფირმო ნიშნად. მათ ერაყიდან დაიწყეს მომაკვდინებელი მსვლელობა ახლო აღმოსავლეთში და უამრავ სამხედრო მოსამსახურეს, ქალსა და ბავშვს სჯიან სიკვდილით. როგორც ჩანს, რადიკალი ისლამისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ანგარიშსწორების შიში ყველაზე კარგად აკავებს ადამიანებს, რწმენას რომ არ განუდგეს, და ხალიფატის წარმატებულად მართვის საშუალებას იძლევა.** ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვებს — ხალიფატისათვის მებრძოლთა მემკვიდრეებს.

საჩვენებელი სიკვდილით დასჯების უსასრულო ჯაჭვი კი ყოველგვარ კონსტიტუციაზე უკეთესია. იკრძალება ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნაბიჯის გვერდზე გადადგმაც კი. **იმავე მოსულში წლეულს 13 მოზარდი ტყვიამფრქვევით ჩაცხრილეს ერაყსა და იორდანიას შორის აზიის თასის საფეხბურთო მატჩის ყურების გამო. ორგანიზაციის იდეოლოგებმა თამაშის ყურება ჩათვალეს დანაშაულად, რომელიც სიკვდილით დასჯას იმსახურებს. და, რაღა თქმა უნდა, „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებისთვის არაფერს ნიშნავდა გასულ ზაფხულს ორი ბიჭის სიკვდილით დასჯა რამადანის დროს მარხვის დარღვევის გამო.**

გამორიცხული არ არის, რომ აკრძალვებს გზადაგზა იგონებდნენ ზემდგომი ისლამისტი რადიკალების სადისტური მიდრეკილებების საამებლად. შარიათის ღალატის ეჭვი ყოველთვის ამართლებს რელიგიის თავისუფალ გაგებას. სწორედ ამიტომ „ისლამური სახელმწიფო“ დღეს ყველაზე უმართავი და სისხლისმსმელი ტერორისტული ორგანიზაციაა. ახლა, როდესაც სირიაში მათთვის სულ უფრო ნაკლები ადგილი რჩება, ერაყში მათი პარპაში მხოლოდ მოიმატებს და მსოფლიოში არავის გაუკვირდება, თუკი ბაღდადის ხელისუფლება დახმარებისთვის რუსეთს მიმართავს, მიუხედავად აშშ-ის უსიტყვო აკრძალვისა.

**cont.ws**

**როგორი შეიძლება იყოს 2050 წლისთვის მსოფლიოს რელიგიური სურათი? ქრისტიანები, სავარაუდოდ, უმრავლესობას შეინარჩუნებენ. ისლამი თავისი მრავალსახოვნებით სხვა ყველა რელიგიაზე სწრაფად გაიზრდება. ამ პერიოდის განმავლობაში მუსლიმანების რაოდენობამ, შესაძლოა, 75%-ით (+ 1,2 მილიარდი), ქრისტიანებისა — 35%-ით (+ 750 მილიონი), ინდუისტებისა კი — 34%-ით მოიმატოს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გახდება თუ არა მსოფლიო მუსლიმანური



**დემოგრაფთა პროგნოზების თანახმად, დაახლოებით 2070 წელს ისლამი მსოფლიოს პირველ რელიგიად იქცევა და მუსლიმანების რაოდენობის მატება, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთშია მოსალოდნელი.**

„XXI საუკუნე რელიგიის საუკუნე იქნება ან ის საერთოდ არ იარსებებს“. **ანდრე მალროს** ეს ცნობილი ფრაზა, რომელსაც მანტრასავით იმეორებენ თაობები, რეალურად გამოიყურება რელიგიების ამჟამინდელი აღმასვლის ფონზე. მიმდინარე საუკუნის შუა პერიოდში მუსლიმანები რაოდენობით ქრისტიანებს უნდა გაუთანაბრდნენ, შემდეგ კი გადააჭარბონ კიდეც, მაგრამ ვიდრე ამ საკითხზე გადავიდოდეთ, ამჟამად არსებული დინამიკის განხილვაა საჭირო.

მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პროგნოზებს ემატება მორწმუნეთა რაოდენობის ზრდის პროგნოზიც. ძნელი სათქმელია, ეს ციფრები აქტიურ მორწმუნეებს შეეხება თუ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც გარკვეულ რელიგიურ კონფესიებს განეკუთვნებიან.

რელიგიური სტატისტიკა ხშირად აკრობატიკას ჰგავს — ერთი მხრივ, ეთნიკური და რელიგიური აღრევის პროცესი; მეორე მხრივ კი, სიხარულით თანაარსებობა.

ჟურნალი Futuribles-ი წლიდან წლამდე ასახავს რელიგიური პროცესებისა და მსოფლიოს გარდასახვათა შეფასების მცდელობებს.

პროგნოზების წყაროთა შორის განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს The Pew Research Center-ი, რომელმაც შარშან დეტალური კვლევა წარმოადგინა. კვლევა ეფუძნება მსოფლიო მონაცემებს შობადობისა და მოკვდავობის მაჩვენებელთა სხვაობების, მიგრაციული დინებებისა და ადამიანთა მიერ ერთი რელიგიიდან მეორეზე გადასვლის შესახებ. ბოლო მომენტი ტექნიკურ სიახლეა: საუბარია რელიგიებში ცვლილებათა შეფასებებზე, ძველი მიმდევრების ჩამოშორებასა ან ახლების შემოერთებაზე. ამ საკითხის მეთოდოლოგია ძალზე ფაქიზია, მაგრამ ეს ძალზე მნიშვნელოვანი სამუშაოა, რადგან საჭიროა რელიგიური კუთვნილების შესახებ დიდწილად მემკვიდრეობითი შეხედულებებისგან თავის დახსნა.

მეთოდოლოგიურ დაზუსტებებთან გამკლავების შემდეგ საკუთარი თავისთვის ასეთი კითხვის დასმაც შეიძლება: **როგორი შეიძლება იყოს 2050 წლისთვის მსოფლიოს რელიგიური სურათი? ქრისტიანები, სავარაუდოდ, უმრავლესობას შეინარჩუნებენ. ისლამი თავისი მრავალსახოვნებით სხვა ყველა რელიგიაზე სწრაფად გაიზრდება. ამ პერიოდის განმავლობაში მუსლიმანების რაოდენობამ, შესაძლოა, 75%-ით (+ 1,2 მილიარდი), ქრისტიანებისა — 35%-ით (+ 750 მილიონი), ინდუისტებისა კი — 34%-ით მოიმატოს.**

2050 წლისთვის დედამიწაზე დაახლოებით იმდენივე მუსლიმანი იქნება (2,8 მილიარდი, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 30%), რამდენიც ქრისტიანი (2,9 მილიარდი, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 31%). მუსლიმანები ქრისტიანებს რაოდენობრივად გაუსწრებენ მხოლოდ 2070 წელს.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ქრისტიანობისა და ისლამის ცენტრები გადანაცვლდება, ინდოეთი დარჩება უმეტესად ინდუისტურ ქვეყნად, თუმცა 2050 წლისთვის მისი მუსლიმანი მოსახლეობა რაოდენობით გადააჭარბებს ინდონეზიისა და პაკისტანისას. ევროპაში მუსლიმანები მოსახლეობის 10%-ს შეადგენენ. ქრისტიანთა 40% იცხოვრებს ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში. ბუდისტები კვლავაც დარჩებიან, ძირითადად, აზიაში სტაბილური მაჩვენებლით — 500 მილიონი ადამიანი. არსებობს „ფოლკლორული“ რელიგიების შესახებ მონაცემებიც, მაგრამ ისინი ნებისმიერ შემთხვევაში უმნიშვნელო როლს ასრულებენ.

ისლამისა და ქრისტიანობის გრაფიკების გადაკვეთა (შესაძლოა, ეს უფრო გვიან მოხდეს, ვიდრე ვვარაუდობთ), ძირითადად, შობადობის ამჟამინდელი მაჩვენებლებიდან გამომდინარეობს. ახლა მსოფლიოში საშუალოდ ერთ ქალზე 2,5 ბავშვი მოდის, ბუდისტების მაჩვენებელია 1,6, მუსლიმანებისა — 3,1, ქრისტიანების — 2,7, ინდუისტების — 2,4, ხოლო ათეისტებისა და აგნოსტიკების — 1,7.

მუსლიმანების ამჟამინდელი 7,5%-იანი წილი ჩვენი საუკუნის შუა პერიოდამდე 11%-ს მიაღწევს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება იქნება რელიგიის არმქონეთა რაოდენობის ზრდა 28%-დან 44%-მდე. მსოფლიოში უფრო მეტი მორწმუნე იქნება, საფრანგეთში კი — სულ უფრო ნაკლები. **საფრანგეთი მსოფლიოში რელიგიურ გამონაკლისად იქცევა, მაგრამ XXI საუკუნის მესამე მეოთხედში ის უმეტესად მუსლიმანური ქვეყანა გახდება.**

**2050 წლისთვის დედამიწაზე დაახლოებით იმდენივე მუსლიმანი იქნება (2,8 მილიარდი, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 30%), რამდენიც ქრისტიანი (2,9 მილიარდი, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 31%). მუსლიმანები ქრისტიანებს რაოდენობრივად გაუსწრებენ მხოლოდ 2070 წელს**

ყველა ეს ციფრი მხოლოდ პროგნოზია და დიადი რელიგიების მომავალი ბურუსითაა მოცული. **საფრანგეთის მიმართ ყველაფერი მეტ-ნაკლებად ნათელია. The Pew Research Center-ი ფრანგულ სტატისტიკას ემყარება და მიდის დასკვნამდე, რომ 2010 წელს არსებული 40 მილიონი ქრისტიანიდან 2050 წლისთვის მხოლოდ 30 მილიონი დარჩება. ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 6%-ით გაიზრდება.** შეგახსენებთ, რომ ციფრები ეფუძნება ადამიანთა თვითშეფასებას ტრადიციების ან კულტურათა მიმართ და არა რელიგიურ პრაქტიკას. ეს სოციოლოგიური და არა თეოლოგიური ხასიათის საკითხია.

იმავე მონაცემებით, 2050 წლისთვის მუსლიმანთა რაოდენობა 7,5 მილიონამდე უნდა გაიზარდოს (მათი რწმენის სიძლიერეზე აქ საუბარი არ არის). იმავე პერიოდში ბუდისტების რაოდენობა 280 ათასიდან 400 ათასამდე გაიზრდება, ინდუისტებისა კი — 30-დან 70 ათასამდე.

**მუსლიმანური მოსახლეობა 60%-ით გაიზრდება, ურწმუნოთა რაოდენობა კი 18-დან 31 მილიონამდე მოიმატებს, ანუ იქნება 72%.** ნებისმიერ შემთხვევაში ზუსტ ციფრებს აქ დიდი მნიშვნელობა არ აქვს: მთავარი საერთო ტენდენციებია, რომლებიც საინტერესო სურათს ქმნის.

**Slate.fr**

# ვიქტორ ორბანი: «ევროპა გაყიდეს», სოროსი მიგრანტების ნაკადებს აფინანსებს



**უნგრეთის პრემიერმინისტრი ვიქტორ ორბანი ამ დღეებში რამდენიმეჯერ გამოვიდა სახალხოდ და განაცხადა, რომ ევროპა გაყიდეს და, თუკი მას არ დაიცავენ, წაართმევენ იმ ხალხებს, რომლებიც ახლა იქ ცხოვრობენ.**

უნგრეთის პრემიერის თქმით, გლობალისტები — არავის მიერ არჩეული ლიდერები, ეწევიან პროპაგანდას და მართავენ კაპიტალის ნაკადებს, აზროვნებენ ზენაციონალურად და ყველაზე შეშლილ ოცნებებს ახორციელებენ. „თუკი ახლა სოროსის ფონდი გაგახსენდათ, დიდად არ შემცდარხართ“.

როდესაც ევროპაში ყოველდღიურად ათასობით ადამიანი (მიგრანტი) შეჰყავთ, „ეს მიანიშნებს არა მხოლოდ იმპოტენციასა და უსუსურობაზე (ევროკავშირის ხელისუფლების მხრიდან), არამედ ეს ლაპარაკობს ზოგიერთი ძალის სურვილზე, ცხოვრებაში განახორციელონ პროექტი, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც მემარცხენე-რადიკალური, რომლის მიზანია, ნაციონალური სახელმწიფოების მარგინალიზაცია. იქ, სადაც ამ ძალებმა ვერ მოახერხეს, ქრისტიანობისა და ნაციონალური სახელმწიფოების არსი ნორმალურ პოლიტიკურ ბრძოლებში დაემარცხებინათ, ცდილობენ, ეს საზოგადოების ეთნიკური შემადგენლობის შეცვლით გააკეთონ“.

„ამ შეთქმულების, ამ ღალატის საპირწონედ ჩვენ დემოკრატიისკენ, ხალხისკენ ისე უნდა შევტრიალდეთ, რომ მათ შეძლონ, „კი“ ან „არა“ უთხრან იმას, რაც ახლა ხდება“. აუცილებელია საერთო ევროპული დისკუსია ძლიერი ქრისტიანული ევროპის დასაცავად.

ორბანმა გაიმეორა თავისი ავსტრიელი კოლეგის — **ვერნერ ფაიმანის** სიტყვები, რომელმაც ავსტრიის საზღვრების დაცვაზე თქვა: „ჩვენ არ ვაშენებთ კედელს, ჩვენ ვაშენებთ კარიბჭეს ყოველი მხრიდან გრძელი სექციებით“. ამ ფრაზაზე ხალხს გაეცინა, ორბანმა კი განაცხადა: **„ეს თითქოს სასაცილოა, მაგრამ სინამდვილეში სევდიანი მდგომარეობაა. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპა, რომელიც სიტყვის თავისუფლების სამყარო იყო, დღეს ისეთ ინტელექტუალურ და სულიერ მდგომარეობაშია, რომ ზოგიერთი სიტყვის თქმა აღარ შეიძლება. მაგალითად, სიტყვა „კედლის“.**



რადიოეთერში გამოსვლისას კი პრემიერმა განაცხადა: რა ასაზრდოებს დევნილთა ნაკადებს? ერთი მხრივ — ჩრდილოვანი გადამყვანების ბიზნესი; მეორე მხრივ — იმ აქტივისტების ქსელი, რომლებიც მხარს უჭერენ ყველაფერს, რაც ნაციონალურ სახელმწიფოს დაასუსტებს. რა თქმა უნდა, **ეს დასავლური მენტალობაა და აქტივისტების აღნიშნული ქსელი ჯორჯ სოროსთანაა ასოცირებული. აქტივისტები, რომლებიც მიგრანტებს ეხმარებიან, ადამიანების კონტრაბანდის არალეგალური საერთაშორისო ქსელის მონაწილენი ხდებიან.**

**aftershock.su**

**«როდესაც ევროპაში ყოველდღიურად ათასობით ადამიანი (მიგრანტი) შეჰყავთ, «ეს მიანიშნებს არა მხოლოდ იმპოტენციასა და უსუსურობაზე (ევროკავშირის ხელისუფლების მხრიდან), არამედ ეს ლაპარაკობს ზოგიერთი ძალების სურვილზე, ცხოვრებაში განახორციელონ პროექტი, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც მემარცხენე-რადიკალური, რომლის მიზანია, ნაციონალური სახელმწიფოების მარგინალიზაცია»**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ფედერალური ხელისუფლების აქტივები 2010-2015 წლებში მხოლოდ 0,28 ტრილიონი დოლარით გაიზარდა, ვალები კი — 4 ტრილიონი დოლარით.

# ამერიკის შეერთებული შტატები გაკოტრებულია?

**ოქტომბერში ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, რომელიც დაკავებულია ამერიკული ეკონომიკის დავალიანებაზე თვალის დევნებით, თავის შეფასებებს გადახედა და აშშ-ის მთლიანი ვალი ერთბაშად 2,7 ტრილიონით გაზარდა — 59,4-დან 62,1 ტრილიონ დოლარამდე (2015 წლის შუა პერიოდის მდგომარეობით), ანუ აშშ-ის ვალი საერთო შიდა პროდუქტის 330%-დან 350%-მდე გაიზარდა. ეს შეუმჩნევლად გაკეთდა. შეიცვალა სტატისტიკური ანგარიშების ფორმები და აშშ-ის ვალის საერთო მაჩვენებელი ახლა არ სახელდება.**




## 2015 წლის შუა პერიოდში ფედერალური ხელისუფლების სუფთა ვალი 11,25 ტრილიონ დოლარს შეადგენდა, იგივე მაჩვენებელი 2010 წლისათვის 7,84 ტრილიონი დოლარი იყო




ცნობილმა საკონსულტაციო კომპანიამ McKinsey-მ 2015 წლის თებერვალში გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც ასახული იყოს მსოფლიოს ვალები 2014 წლის მონაცემებით. თუკი 2000 წელს მსოფლიოს ვალი მსოფლიოს საერთო შიდა პროდუქტის 246%-ს შეადგენდა, 2007 წლის ფინანსური კრიზისის დასაწყისისთვის მან უკვე 269%-ს მიაღწია.

2015 წლის შუა პერიოდში კი ფედერალური სარეზერვო სისტემა აქვეყნებს მონაცემებს, რომელთა ფონზეც McKinsey-ის მონაცემები ფერმკრთალდება. ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოველკვარტალურ სტატისტიკურ მიმოხილვებში ასახულია არა მხოლოდ ვალების სტატისტიკა, არამედ ამერიკის ეკონომიკის ძირითადი სექტორების არაფინანსური აქტივების სტატისტიკაც. არაფინანსური აქტივების მიმართ ვალის შეფასება უფრო თვალნათელ სურათს იძლევა, ვიდრე ვალის საერთო შიდა პროდუქტთან თანაფარდობაში შეფასება. მნიშვნელოვანია სწორედ არაფინანსური, ფიზიკური, რეალური აქტივები, რომელთაც, ფინანსური აქტივებისგან განსხვავებით, შიდა ღირებულება აქვთ. დღეს, მსუბუქად რომ ითქვას, კრედიტორები და ვალის გამცემები ფინანსური აქტივების მიმართ ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენენ, ბანკირები კი მას „ფინანსურ ქაფს" უწოდებენ. სხვათა შორის, ფედერალური სარეზერვო სისტემის მონაცემებით, **ამერიკის ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური აქტივების სიდიდე ასტრონომიულ რიცხვს — 203 ტრილიონ დოლარს შეადგენს** (აშშ-ის ყოველწლიური საერთო შიდაპროდუქტის თორმეტმაგი ოდენობა).

ნიშანდობლივია, რომ შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების დონეზე ჯერჯერობით ადგილი აქვს აქტივების მეტობას ვალებთან შედარებით. ფედერალური ხელისუფლების დონეზე კი შეინიშნება ნეგატიური ტენდენციები, მიუხედავად იმისა, რომ 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ თეთრმა სახლმა, ამერიკის ხაზინამ და აშშ-ის კონგრესმა მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკა გამოაცხადეს.

ფედერალური ხელისუფლების აქტივები 2010-2015 წლებში მხოლოდ 0,28 ტრილიონი დოლარით გაიზარდა, ვალები კი — 4 ტრილიონი დოლარით. **2015 წლის შუა პერიოდში ფედერალური ხელისუფლების სუფთა ვალი 11,25 ტრილიონ დოლარს შეადგენდა, იგივე მაჩვენებელი 2010 წლისათვის 7,84 ტრილიონი დოლარი იყო.** თუკი 2010 წელს ვალები აქტივებს 3,56-ჯერ აღემატებოდა, 2015 წლისათვის ეს მაჩვენებელი 4,47-ს გაუთანაბრდა. **ჩვეულებრივი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმით, აშშ-ის ფედერალური ხელისუფლება ბანკროტია და მისი გაბანკროტების პროცედურა დიდი ხნის წინათ უნდა დაწყებულიყო.**

მაგრამ ის, რასაც ფედერალური სარეზერვო სისტემისა და აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში ვხედავთ, ამერიკის სახელმწიფო ვალის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას არ იძლევა. სკრუპულოზურად აღწერილია მხოლოდ იმ სახელმწიფო ვალის სტატისტიკა, რომელიც იქმნება ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში ჩადებული კრედიტებითა და სესხებით, მაგრამ ხომ არსებობს სხვა ვალდებულებებიც, მაგალითად, სოციალური პროგრამების შესრულების, ბიუჯეტიდან ასანაზღაურებელი ხელფასების გაცემის, პენსიების, უმუშევართა შემწეობების დარიგებისა და სხვ. შეუსრულებელი საბიუჯეტო ვალდებულებების მოცულობა თოვლის გუნდასავით იზრდება.

შევეცადოთ, განვსაზღვროთ, როგორ გამოიყურება ამერიკის ეკონომიკის სავალე პოზიცია მთლიანობაში (ყველა სექტორი). 2015 წლის შუა პერიოდში არაფინანსური აქტივები სექტორებად შემდეგნაირად გადანაწილდა:

**ფედერალური ხელისუფლება — 3,24 ტრილიონი დოლარი;**

**შტატების და ადგილობრივი ხელისუფლებები — 10,00 ტრილიონი დოლარი;**

**საოჯახო მეურნეობა — 30,22 ტრილიონი დოლარი;**

**არაფინანსური სექტორის არაკორპორატიული ბიზნესი — 0,02 ტრილიონი დოლარი;**

**ფინანსური სექტორის არაკორპორატიული ბიზნესი — 0,02 ტრილიონი დოლარი.**

საერთო ჯამში, აქ ჩამოთვლილი ეკონომიკური სექტორების არაფინანსურ აქტივებზე 55,57 ტრილიონი დოლარი მოდის. არაფინანსური აქტივები ერთმნიშვნელოვნად არ ჰყოფნის ყველა ვალის დაფარვას, გადაფარვა მხოლოდ 89%-ს შეადგენს.

ამერიკული ეკონომიკის მსხვილი შემადგენელი აღმოჩნდა კორპორაციული ბიზნესის აქტივები, ისინი განისაზღვრება კომპანიებისა და ბანკების აქციების საბაზრო ღირებულების (კაპიტალიზაციის) მაჩვენებლით. 2015 წლის შუა პერიოდში ეკონომიკის კორპორაციული სექტორის კაპიტალიზაციის მაჩვენებელმა 29,60 ტრილიონი დოლარი შეადგინა. მაგრამ ამჟამად საფონდო ბირჟაზე აქციების ღირებულება გადაჭარბებულია. თუკი ეკონომიკის არაფინანსური სექტორის კორპორაციების უკან კიდევ დგას რეალური ფიზიკური აქტივები, საბანკო კორპორაციების უკან ამგვარი ფიზიკური აქტივები თითქმის არ არსებობს.

**ფედერალური სარეზერვო სისტემის შეფასებით, საბანკო კორპორაციების საბაზრო კაპიტალიზაციამ 7,46 ტრილიონი დოლარი შეადგინა.** ამასთანავე, ყველაზე ლიბერალური შეფასებით, საბანკო კორპორაციების ფიზიკური აქტივები შეიძლება იზომებოდეს არა ტრილიონებით, არამედ, საუკეთესო შემთხვევაში, ასობით მილიარდით. ფედერალური სარეზევო სისტემის შეფასებით, ბანკები, რომლებსაც არ აქვთ კორპორაციის (სააქციო კომპანიის) სტატუსი, სულ რაღაც, 16,6 მილიარდი დოლარის რეალურ აქტივებს განაგებენ. რაც შეეხება არაფინანსური სექტორის კორპორაციებს, მათი კაპიტალი შეფასებულია 22,14 ტრილიონ დოლარად. იმის გათვალისწინებით, რომ ახლა არაფინანსური კორპორაციების აქციათა ბაზარზე ბუშტები იბერება, უკეთესია უფრო ძველი მონაცემების გამოყენება. 2010 წლის დასასრულს არაფინანსური კორპორაციების აქციათა ბაზარი ჯერ კიდევ არ იყო გადახურებული, ჯამური კაპიტალიზაცია შეადგენდა 14,36 ტრილიონ დოლარს. სწორედ ამ რიცხვის აღება შეიძლება ორიენტირად, რადგან ის უფრო ობიექტურად ასახავს რეალური აქტივების საბალანსო ღირებულებას. გამოდის, რომ ფედერალურმა რეზერვმა კორპორაციული სექტორის აქტივების ღირებულება დაახლოებით ორჯერ გაზარდა. ჩვენი შეფასებებით, მთელი კორპორატიული სექტორის არაფინანსური აქტივები შეიძლება 14,50 ტრილიონი დოლარის ტოლად ჩაითვალოს, აშშ-ის ეკონომიკის ყველა სექტორის არაფინანსური აქტივების ჯამი კი მიმდინარე წლის შუა პერიოდში დაახლოებით 60 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. ეს უკვე აღარ ფარავს ამერიკის ეკონომიკის კრედიტებისა და სესხების მთელ დავალიანებას.

იმისათვის, რომ შეაფასონ ამერიკის ეკონომიკის სუფთა აქტივები, ფედერალური სარეზერვო სისტემის სტატისტიკური სამსახურები ითვალისწინებენ აშშ-ის ეკონომიკის ყველა სექტორის სუფთა მოთხოვნებს არარეზიდენტების მიმართ. თუკი სუფთა მოთხოვნები „პლუს" ნიშნითაა, მაშინ აშშ-ის სუფთა აქტივები (და ნაციონალური სიმდიდრე) იზრდება. თუკი იგივე მაჩვენებელი „მინუს" ნიშნითაა, სუფთა აქტივები მცირდება. აშშ-ის სუფთა მოთხოვნები არარეზიდენტების მიმართ შეფასდა მინუს 5,47 ტრილიონ დოლარად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ▶

---

## ფინეთი თავის მოქალაქეებს თვეში 800 ევროს გადაუხდის

**ფინეთის სოციალური დაცვის სამსახურმა, რომელსაც „კელას" უწოდებენ, დაიწყო მუშაობა შემოთავაზებაზე, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს შემოსავლის წყაროს შეუქმნის.**

შეიქმნება უნივერსალური საგადასახადო სისტემა, რომელიც ყველა ფინელს დააფინანსებს, გარდაქმნის ქვეყნის ეკონომიკას და სხვა ქვეყნებაც შესთავაზებს განსხვავებული ტიპის ეკონომიკის მაგალითს. პროექტის განხორციელების შემდეგ ფინეთის ყველა მოქალაქეს სახელმწიფო თვეში 800 ევროს გადაუხდის. ის ჩაანაცვლებს ამჟამინდელ სოციალურ დახმარებებს. ყველა სხვა შემოსავალი დაიბეგრება. დასაწყისისთვის „კელა" მოქალაქეებს 550 ევროს გადაუხდის. შემდეგ კი თანხა 800 ევრომდე გაიზრდება. საქმე ის არის, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, ფინეთში უმუშევრობის დონემ საგრძნობლად მოიმატა და მოქალაქეები ნოვატორულ გამოსავალს ეძებენ. „კელა" ამ პროექტის დამტკიცებას 2016 წლის ნოემბრისთვის ვარაუდობს. ძირითადი შემოსავლის გაჩენის შემთხვევაში მუშათა კლასი გათავისუფლდება საარსებო შემოსავლის გამომუშავების აუცილებლობისგან. სტაბილურობის გაჩენის შემდეგ მოქალაქეებს შეეძლებათ, კრეატიულ და ჰუმანიტარულ საქმიანობას მიჰყონ ხელი.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სპეციალისტებმა აშშ-ის არმიას „სუსტი“ უწოდეს. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საერთო პოტენციალის შეფასება შარშანდელი „ძლიერიდან“ „უმნიშვნელომდე“ დაეცა. ასევე უმნიშვნელოა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სიმძლავრეც.**

## ანალიტიკოსი:

# აშშ-ის სამხედრო დონე ცუდი არ არის... საბავშვო ბალისთვის

**აშშ-ის სამხედრო დონე ეს ის არ არის, რის დემონსტრირებასაც უნდა ახდენდეს ბარაკ ობამა აშშ-ის შეიარაღებული ძალების კურირების შვიდი წლის შემდეგ, — წერს ნაციონალური უსაფრთხოების საკითხთა და საერთაშორისო პოლიტიკის ექსპერტი ჯეიმს კარაფანო.**



ფონდ „მემკვიდრეობის“ კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტი ნაციონალური უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში — ჯეიმს კარაფანო მკაცრად აკრიტიკებს იმ მდგომარეობას, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები იმყოფება.

„ანგარიშში „აშშ-2016 სამხედრო ძლიერების ინდექსი“ მოყვანილი რეიტინგი ფასდება, როგორც „უმნიშვნელო“. საბავშვო ბალის ბავშვებისთვის ეს, შესაძლოა, არ იყოს ცუდი შეფასება. მათ კიდევ რამდენიმე წელი აქვთ, სანამ ჰარვარდში შეიტანდნენ საბუთებს. ეს ის არაა, რის დემონსტრირებასაც უნდა ახდენდეს ჩვენი მთავარსარდალი შვიდი წლის შემდეგ“, — წერს იგი.

ფონდ „მემკვიდრეობის“ **სპეციალისტებმა აშშ-ის არმიას „სუსტი“ უწოდეს. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საერთო პოტენციალის შეფასება შარშანდელი „ძლიერიდან“ „უმნიშვნელომდე“ დაეცა. ასევე უმნიშვნელოა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სიმძლავრეც.**

სტატიაში „გაიღვიძე, ამერიკა! შენ შეზღუდული სამხედრო ძლევამოსილება გაქვს“ კარაფანო ხაზს უსვამს, რომ ფონდის ანგარიშში თვალნათლადაა მოცემული აშშ-ის სამხედრო შესაძლებლობებისა და მისი საომარი მიზნების შეუსაბამობა.

კარაფანო ერთადერთი არაა, ვინც ანგარიშის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა. ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა ყურადღება მიაქცია „აშშ-ის სამხედრო შესაძლებლობებისა და საბრძოლო მზადყოფნის დასახიჩრებას“ მაშინ, როდესაც ქვეყანა, მისი თქმით, იმ პრობლემებს ეჯახება, რომლებთანაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქმე არ ჰქონია. აშშ-ის განადგურებული სამხედრო შესაძლებლობების შესახებ ანგარიში არა მხოლოდ შემაშფოთებელია, არამედ საშინელიც.

**ria.ru**

ამერიკის ეკონომიკის სუფთა ვალი სხვა ქვეყნების მიმართ. ამერიკელი რეზიდენტების ფინანსური მოთხოვნები არარეზიდენტების მიმართ 2015 წლის შუა პერიოდში შეადგენდა 17,51 ტრილიონ დოლარს. არარეზიდენტების შემხვედრი მოთხოვნა ამერიკელი რეზიდენტების მიმართ 23,40 ტრილიონ დოლარს უტოლდებოდა. ამგვარი არაჯანსაღი თანაფარდობა დამკვიდრებულია უკვე მრავალი წლის განმავლობაში და ეს აშშ-ის პარაზიტიზმის ნათელი გამოვლინებაა.

**ზემოთ გამოთვლილი ამერიკის ეკონომიკის რეალური აქტივების მაჩვენებელს (60 ტრილიონი დოლარი) უნდა გამოაკლდეს აშშ-ის საგარეო ვალი — 5,47 ტრილიონი დოლარი. ამის შემდეგ მივიღებთ ამერიკის ეკონომიკის სუფთა რეალურ აქტივებს, რაც დაახლოებით 54,5 ტრილიონ დოლარს გაუტოლდება. სწორედ ეს თანხა უნდა განიხილებოდეს, როგორც ამერიკის ეკონომიკის ვალების რეალური უზრუნველყოფა. გამოდის, რომ რეალური აქტივებით ამერიკის ეკონომიკის ვალების დაფარვის დონე მხოლოდ 87,5%-ს შეადგენს.** აშშ-ის ეკონომიკის მიმართ იმავე მიდგომას რომ იყენებდნენ, რომელსაც ჩვეულებრივი კომპანიების მიმართ, კორპორაცია America Inc, გაბანკროტებას თუ არა, სანაციას მაინც უნდა დაექვემდებაროს.

ეს ფრთხილი დასკვნა გაკეთებულია ფედერალური სარეზერვო სისტემის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ის კი ყველა ვალს არ ითვალისწინებს. ბოლო დროის ვალების მთლიანი მოცულობის ალტერნატიული შეფასებებიდან შეიძლება დასახელდეს კალიფორნიის ეკონომიკური უნივერსიტეტის (სან-დიეგო) კვლევა პროფესორ ჯეიმს ჰამილტონის ხელმძღვანელობით (გამოქვეყნდა 2013 წლის აგვისტოში). ამ კვლევაში აშშ-ის საერთო ვალი 2012 წლის დასასრულისთვის შეფასებულია 70 ტრილიონ დოლარად (შედარებისთვის: იმავე პერიოდისთვის, ფედერალური სარეზერვო სისტემის შეფასებით, აშშ-ის მთლიანი ვალი 57,4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა). მთლიანი ვალის ამგვარი შეფასება ითვალისწინებს ფედერალურ, საშტატო და მუნიციპალურ დონეებზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეგრეთ წოდებულ ბალანსს მიღმა ოპერაციებსა და ვალებს. ჰამილტონის გათვლების თანახმად, აშშ-ის მთლიანი ვალის შედარებითი დონე 2012 წლისთვის საერთო შიდა პროდუქტის 440%-ს შეადგენდა.

თუმცა კალიფორნიელი ეკონომისტების შეფასებაც არ იძლევა სრულ სურათს. ყველა ზემოჩამოთვლილი ვალს ეკონომისტები და იურისტები „საბაზრო ვალებს“, „კონკრეტულ ვალებს“ და სხვა მსგავსს უწოდებენ. ეს არის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აღრიცხულია შეთანხმებებში, კონტრაქტებსა და სხვა იურიდიულ დოკუმენტებში და დაკავშირებულია სასესხო კაპიტალის მოძრაობასთან. მიმდინარეობს ამგვარი ვალების საგულდაგულო აღრიცხვა, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება საკონტრაქტო ვალების გადაფასება საბაზრო სიტუაციის გათვალისწინებით (საპროცენტო განაკვეთების ცვლილება და სხვ.), სავალე ქაღალდების რესტრუქტურიზაცია და ა.შ.

ამას გარდა, არსებობს ვალები, რომლებსაც შეიძლება სოციალური ვალდებულებები ეწოდოს. საუბარია სახელმწიფოს ვალდებულებებზე საკუთარი მოქალაქეების მიმართ საპენსიო უზრუნველყოფის, ჯანდაცვის, სხვადასხვა კატეგორიის პირთა (უმუშევრები, ღატაკები, მრავალშვილიანი ოჯახები და ასე შემდეგ) შემწეობების სახით. ეს არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ მომავალი პერიოდების ვალდებულებაცაა. აშშ-ის სოციალურ ვალზე ბოლო წლებში მრავალი კვლევა ჩატარდა. ერთ-ერთი არის ვაშინგტონის კატონის ინსტიტუტის ანგარიში (ავტორი — მაიკლ ტანერი), რომელიც 2015 წელს გამოქვეყნდა. ამ მოხსენების თანახმად, აშშ-ის სახელმწიფო ვალი 2014 წელს შეადგენდა არა 18 ტრილიონ დოლარს (როგორც ეს ფედერალური სარეზერვო სისტემის საიტზეა აღნიშნული), არამედ 91 ტრილიონ დოლარს. „ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი არ ითვალისწინებენ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს სოციალური და სამედიცინო დაზღვევის მსგავსი პროგრამების მხრივ. და მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ აისახება ქვეყნის ოფიციალურ ბალანსში, მაინც წარმოადგენს აშშ-ის ხელისუფლების იურიდიულ ვალდებულებას. ამ პროგრამებში მოსალოდნელი დეფიციტი სახელმწიფო ვალს წარმოუდგენელ 91 ტრილიონ დოლარამდე ზრდის“, — იტყობინება კატონის ინსტიტუტი. ყურადღება მივაქციოთ, რომ ანგარიშში საუბარია არაუზრუნველყოფილ სოციალურ ვალდებულებებზე. ამგვარი ვალდებულებების შესახებ ხელისუფლება სწრაფად ივიწყებს ხოლმე.

**აშშ-ის მთლიან ვალზე ყველა მოსაზრების გათვალისწინებით, სრული დარწმუნებით შეიძლება მტკიცება, რომ კორპორაცია AMERICA INC-ს ვეღარანაირი სანაცია ვეღარ უშველის. ამერიკის შეერთებული შტატები გაკოტრებულია.**

**fondsk.ru**

# მექსიკაში მარიხუანის მოხმარების ლეგალიზებას აპირებენ

**მიიღეს რა უარი მარიხუანის მოყვანის ლიცენზიაზე, Smart-ის (პასუხისმგებლური და ზომიერი პირადი მოხმარების მექსიკური საზოგადოება) აქტივისტებმა ქვეყნის უზენაეს სასამართლოს მიმართეს. ამ უკანასკნელმა კი აღიარა, რომ მექსიკაში შეიძლება შეიქმნას ამგვარი მცენარეების მოშენების კლუბები პირადი მოხმარებისთვის, გაყიდვებისა და სარგებლის მიღების გარეშე.**



მაგრამ ეს ჯერჯერობით არ არის მექსიკაში მარიხუანის ლეგალიზების დასაწყისი. ამჯერად ეს მხოლოდ ოთხ ადამიანს — ორ ადვოკატს, ბუღალტერსა და აქტივისტს ეხება, რომლებმაც ნარკოვაჭრობასთან საბრძოლველად მარიხუანის ლეგალიზების საკითხი დააყენეს. თუკი სხვა მოქალაქეებიც მიმართავენ უზენაეს სასამართლოს, ეს პერსპექტივაში ქვეყანას კანონმდებლობის გადახედვას აიძულებს. უზენაესი სასამართლოს აზრით, მარიხუანის პირადი გამოყენებისათვის რაიმე დაბრკოლებები არ არსებობს.

გარდა ამისა, ეს გადაწყვეტილება მარიხუანის გამოყენებაზე პირველი არ არის: 8 სექტემბერს სასამართლომ 8 წლის გრასიელას, რომელსაც დღეში 400-მდე ეპილეფსიური კრუნჩხვა ემართება, ნება დართო, სამედიცინო მიზნით გამოიყენოს მარიხუანა.

ხელისუფლება კი ნებისმიერი ცვლილების წინააღმდეგია. პრეზიდენტი ენრიკე პენია ნიეტო კარტელებთან ომის გაგრძელებას აპირებს.

ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მრავალი სახელმწიფო დაიღალა ნარკოტიკებთან ბრძოლით და კანონმდებლობაში ცვლილებებზე ფიქრობს. ურუგვაიმ მარიხუანის ლეგალიზებისკენ გადადგა ნაბიჯი. ჩილეში განიხილავენ კანონს, რომელიც სამედიცინო და რეკრეაციული მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. ანალოგიური წინადადებები ისმის კოლუმბიასა და გვატემალაში. ახლა იმავე ტენდენციას უერთდება მექსიკაც. უფრო ჩრდილოეთით მდგომარეობა ანალოგიურია, კანადის ახალი პრემიერი ჯასტინ ტრიუდო ღიად უჭერს მხარს ლეგალიზაციას.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რაც გრინგოებთან ხდება: ამერიკის ოთხ შტატში მარიხუანის რეკრეატიული მიზნებით გამოყენება ლეგალიზებულია, კიდევ 23 შტატში ნებადართულია მისი სამედიცინო მიზნით გამოყენება. ეს ყველაფერი განაპირობებს ადგილობრივი წარმოების აქტიურ განვითარებას, მაგალითად, კოლორადოში. პერსპექტივაში მექსიკელი მწარმოებლები, რომელთათვისაც გასაღების მთავარ ბაზარს აშშ წარმოადგენს, სერიოზულ კონკურენციას შეეჯახებიან ამერიკის მხრიდან.



რაც შეეხება საკითხს, შეუშლის თუ არა ნარკომოვაჭრეების ბიზნესს ხელს მარიხუანის ლეგალიზება, ამაზე ექსპერტები ფრთხილ პროგნოზებს აკეთებენ და აცხადებენ, რომ მსხვილი ნარკომოვაჭრეებისთვის მარიხუანა ბიზნესის მხოლოდ მეხუთედია. მათი ბიზნესი დივერსიფიცირებულია: კოკაინი, ჰეროინი, რეკეტი, მიგრანტების გატაცება... თუკი მარიხუანა ლეგალური გახდება, ეს გარკვეულ უხერხულობას შექმნის მათთვის, მაგრამ ისინი სწრაფად გადაერთვებიან მოღვაწეობის სხვა სფეროებზე.

**Liberation**

მოკლედ

## ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანად დაასახელეს

**პრესტიჟულმა გამოცემა „ფორბსმა“ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანად დაასახელა. ყოველწლიური სარეიტინგოს სია ამერიკული გამოცემის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. “ფორბსი“ აღნიშნავს, რომ დასავლეთის სანქციებისა და ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, პუტინის რეიტინგმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.**

„რუსეთის პრეზიდენტმა კვლავ დაამტკიცა, რომ ის მცირეთაგან ერთ-ერთია, ვისაც საკმარისი ძალაუფლება აქვს, გააკეთოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს და ამისთვის პასუხი არ აგოს“, — წერს „ფორბსი“.

უკვე მესამე წელიწადია, ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების სარეიტინგო სიის სათავეშია, მეორე ადგილზეა გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი,** მესამეზე კი — აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა,** მეოთხე ადგილი **რომის პაპმა ფრანცისკმა** დაიკავა, მეხუთე კი — ჩინეთის პრეზიდენტმა **სი ძინპინმა.**



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკოსები და არა მხოლოდ ისინი, უნდა აცნობიერებდნენ, რომ მსოფლიო ერთპოლუსიანი აღარ არის, ახალი წესრიგი ყალიბდება, შეიქმნა ბრიქს-ი (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) – ძლიერი ეკონომიკური გაერთიანება და მსოფლიოს ეკონომიკა მის ხელში მალე გადავა. ამას გააზრება სჭირდება და არა ამერიკის ინტერესების ლობირება საწვრთნელი ცენტრების შექმნით.**

# შევარდნაძე-სააკაშვილის პოლიტიკური გზის გამგრძელებელი ხელისუფლება წარმატებული ვერ იქნება

## მიმიფურთხებია თქვენი ევროატლანტიკური მისწრაფებებისთვის!

> „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“.
> რუსთაველი

**ამას წინათ ერთმა ხანდაზმულმა ქალბატონმა საგულდაგულოდ შენახული ძველი გაზეთი გამომიწოდა, რომელშიც ეწერა: „საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ საკუთარი ფულის 90%-ზე მეტს დახარჯავს თავისი ქვეყნის მოქალაქეებზე. საზოგადოების ერთმა ნაწილმა ივანიშვილის ამ გადაწყვეტილებას საქართველოს უახლოეს ისტორიაში უპრეცენდენტო ნაბიჯი უწოდა“.**

ამ მართლაც უპრეცენდენტო დაპირებამ გამახსენა მე-14 საუკუნის ირანელი პოეტის — **ჰაფეზის** პოეტური აღმაფრენით შთაგონებული ლექსი, სადაც იგი გულის დარდის გამქარვებელს ქალაქების – ბუხარისა და სამარყანდის ჩუქებას ჰპირდება. განრისხებულმა შაჰმა იხმო ჰაფეზი და უთხრა: „როგორ ბედავ შენ, ვიღაც დერვიში, ბუხარასა და სამარყანდს, რომელთა განსადიდებლად სიცოცხლეს არ ვიშურებ, ვიღაცას ჩუქნი?!“ „დიდო მბრძანებელო, ასეთმა გულუხვობამ ასე გამალატაკა“, — მიუგო ჰაფეზმა და თავის ძველმანებზე დაახედა.

პოეტის მახვილსიტყვაობით მოხიბლულმა შაჰმა მას ხალათი აჩუქა, რაც დიდი პატივი იყო პოეტისთვის.

ბატონი ბიძინა თავის დაპირებებს არც გაულატაკებია, არც ძველმანებით შემოსილა, ქართველმა ხალხმა კი ნდობის მანდატი და ქვეყნის მართვის სადავეები უბოძა.

**ხელისუფლებაში მოსვლამდე ბიძინა ივანიშვილს ერთ-ერთი სამედიცინო დარგის მუშაკთან საუბრისას უთქვამს: ხელისუფლებაში მოსვლა არ მინდა, რადგან ან რუსეთი განაწყენდება, ან ამერიკა, ხოლო ხალხი ბოლოს სტვენით გამაცილებსო.**

ეს პროგნოზი შეიძლება ახდეს, თუ ამ ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ არაფერი შეცვალა. ერთადერთი რეფორმა, რომელიც საზოგადოებას პოზიტივად მიაჩნია, არის ჯანმრთელობის რეფორმა, მაგრამ აქაც არაერთი კითხვა ჩნდება. მთლიანად დაინგრა წამლების დამზადების სისტემა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში გაცილებით ეფექტიანი და ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობისთვის. ჯანმრთელობის რეფორმა, ფაქტობრივად, გარკვეულ პირთა ბიზნესინტერესებს ემსახურება და არა პაციენტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას. საინტერესოა, **რეცეპტების შემოღებით, რომელზეც უამრავი ქაღალდი იხარჯება, შემცირდა ნარკომანია ქვეყანაში?**

სამართლიანობის დამკვიდრებასა და „ნაცმოძრაობის“ გასამართლებას რაც შეეხება, ეს თავიდანვე არ იყო „გაწერილი“ ივანიშვილის ოცნებებში. ამის დასტურია ისიც, რომ ბერა ივანიშვილის სტუდიაში გადაწყდა ფარცხალაძის პროკურორობა და არაპროფესიონალი კადრების შეყრა პროკურატურაში, როცა ადგილობრივი კადრებიდან შეიძლებოდა ღირსეული კანდიდატის შერჩევა.

საგულისხმოა ერთი გარემოებაც: ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან ქულების ჩაწერის მიზნით „ნაცებმა“ ზვიადის რეაბილიტაცია მოიწადინეს 2004 წლის 15 ივნისს და ეს საკითხი ყველაზე ავტორიტეტულ და ობიექტურ პროკურორებს მიანდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროკურორები უკანონო პოლიტიკურ დაკვეთებს არ ასრულებდნენ, მათი გათავისუფლება არ იკადრეს „ნაცებმა“, თუმცა ეს ათასნაირი მიზეზით შეეძლოთ. საქართველოს ამჟამინდელი მთავარი პროკურორის — გიორგი ბადაშვილის გუნდმა კი ეს ბანალური მოტივით იკადრა, რადგან არანაირი ღირებულების პატივისცემა მათ არ აქვთ და არც პროფესიონალები სჭირდებათ. **ზღაპარი ქართული ოცნების ასრულებისა დამთავრდა, ახლა იწყება ფინალური ნაწილი ამერიკული ოცნების დასრულებისა, რასაც ემსახურება თინა ხიდაშელის დანიშვნას მინისტრად და ხელისუფლების მიერ საგარეჯოში არჩევნებზე რესპუბლიკელი კადრის ლობირებას, რაც მიანიშნებს, რომ ივანიშვილის მიერ ანტიქართველების — რესპუბლიკელებისა და მარგველაშვილის — ხელისუფლებაში მოყვანა სრულიად გააზრებული გადაწყვეტილება იყო, ხოლო, რადგან „ნაცები“ და რესპუბლიკელები ერთი მედლის ორი მხარეა, აღარ არის გასაკვირი „ნაცების“ ლობირებაც ხელისუფლების მიერ.** „ნაცების“ მიერ სახელისუფლო კანდიდატის მხარდაჭერაც ამას მიანიშნებს. „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელი **ირმა ინაშვილი**, რესპუბლიკელებისაგან განსხვავებით, „ნაცების“ მიმართ შეურიგებელი პოზიციით გამოირჩევა, მაგრამ, რესპუბლიკელებისა და „ნაცების“ მსგავსად, რუსეთს მტრად მიიჩნევს, ზნედაცემულ დასავლეთს კი — მეგობრად.

„რუსეთი არის საერთაშორისო ბანდიტი“, — ამბობს ირმა ინაშვილი და „ნაცებს“ უსვამს კითხვას: „რომელია ჩემზე მეტად ევროპელი და დასავლური ფასეულობების მატარებელი?“. ეს პარტია არასდროს ეტყვის „არა“-ს დასავლეთს, როგორც ეს ბერძენმა ხალხმა და ვიკინგების შთამომავალმა ისლანდიელებმა გააკეთეს. **ვისთან იწერს ქულებს ირმა ინაშვილი?** — „ნაცებთან“ და იმ 1001-ე ხარისხის სენატორებთან, რომლებიც, სააკაშვილის თქმით, მხარს უჭერდნენ არჩევნებში? ეს არ არის იმ პოლიტიკოსის პოზიცია, რომელიც დღეს საქართველოს სჭირდება! ამ იდეოლოგიის მქონე პოლიტიკოსი ვერ მოაგვარებს რუსეთთან ურთიერთობას. ბატონი თარხან-მოურავის აზრით, კავკასიაში 2 მოთამაშის (ამერიკა და რუსეთი) ყოფნა განაპირობებს ჩვენი ტერიტორიების დაბრუნების საკითხს, ხოლო ამერიკის წასვლა კავკასიიდან საქართველოზე უარყოფითად აისახება. **ის არ აანალიზებს, რა მოხდება, თუ რუსეთი კავკასიიდან წავა – ჩვენ ვრჩებით მუსლიმანური სამყაროს გარემოცვაში (თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, ჩრდილოეთ კავკასია) და ამის შედეგი წარსულში არაერთხელ მწარედ ვიწვნიეთ.**

**წარმოვიდგინოთ, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ ხელისუფლებაში მოვიდა. მართლმადიდებლობასთან მებრძოლი ფაშისტური ამერიკის ხელისუფლება ისე მოიხიბლება ამ პარტიის წარმომადგენელთა ეროვნული იდეოლოგიით, მართლმადიდებლური მრწამსითა თუ გარეგნობით, რომ საქართველოს მიმართ, რომელიც მისთვის პლაცდარმის როლს ასრულებს და რუსეთის გასაღიზიანებლად სჭირდება, პოლიტიკას შეიცვლის და ეროვნული სახელმწიფოს აშენებაში ხელს შეგვიწყობს? გჯერათ ვინმეს ამ ზღაპრის?** გავიხსენოთ, როგორ ებრძვიან ამერიკელები ეროვნულობას და ტრადიციებს:

ნატოს ყოფილი გენმდივანი **ანდერს ფოგ რასმუსენი: „ორი ათასი წლის წინათ შეთხზული ზღაპარი იესო ქრისტეს შესახებ უნდა დამთავრდეს“.**

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი **ჯო ბაიდენი: „არ მაინტერესებს თქვენი კულტურა“.**

ევროკავშირის პრეზიდენტი **ჰერმან ვან რომპეი: „ცნებები „ხალხი“ და „ერი“ ისტორიულ სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ“.**

დასავლეთთან „მეგობრობით“ ქართულ ღირებულებებს უარვყოფთ, რაც 25 წელია, ანგრევს საქართველოს, რადგან ეროვნული ღირებულებები და დასავლეთისკენ სწრაფვა ურთიერთგამომრიცხავია. თუ ამ ლოგიკით მივუდგებით საკითხს, „პატრიოტთა ალიანსი“ ეროვნულობასა და ტრადიციებზე საუბრებით მოსახლეობისგან ხმების მიზიდვას ცდილობს, ხოლო დასავლეთთან „მეგობრობა“, სადაც ხშირად დაბრძანდებიან მწვანე შუქის მისაღებად, ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად სჭირდებათ.

მსოფლიოს მართავენ საიდუმლო, ბნელით მოცული მასონური ორგანიზაციები, ბანკებსა და ფინანსურ საქმიანობასაც ისინი აკონტროლებენ. **ამერიკამ ფინანსების წყალობით აქცია ივანიშვილი და პოროშენკო მარიონეტებად და სწორედ ფინანსებზე დამუქრებით აკეთებინებს ხალხისა და ქვეყნის საწინააღმდეგო საქმეს. სწორედ ამიტომ არ უნდა დაბრუნდეს პოლიტიკაში ივანიშვილი და საქართველო არ უნდა იქცეს მისი ფინანსების მძევლად.**

პოლიტიკოსები და არა მხოლოდ ისინი, უნდა აცნობიერებდნენ, რომ მსოფლიო ერთპოლუსიანი აღარ არის, ახალი წესრიგი ყალიბდება, შეიქმნა ბრიჩს-ი (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა) — ძლიერი ეკონომიკური გაერთიანება და მსო- ▶



სტალინის ბიუსტი აშშ-ის ქალაქ ბედფორდში

**დასავლეთთან «მეგობრობით» ქართულ ღირებულებს უარვყოფთ, რაც 25 წელია, ანგრევს საქართველოს, რადგან ეროვნული ღირებულებები და დასავლეთისკენ სწრაფვა ურთიერთგამომრიცხავია. თუ ამ ლოგიკით მივუდგებით საკითხს, «პატრიოტთა ალიანსი» ეროვნულობასა და ტრადიციებზე საუბრებით მოსახლეობისგან ხმების მიზიდვას ცდილობს, ხოლო დასავლეთთან «მეგობრობა», სადაც ხშირად დაბრძანდებიან მწვანე შუქის მისაღებად, ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად სჭირდებათ**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინს აკრიტიკებენ ამერიკელთა ფეხსაცმლის ლანჩის მლოკველი ე.წ. სახელისუფლო თუ ე.წ. ოპოზიციონერთა წარმომადგენლები. გუნდრუკს უკმევენ დასავლეთს და ლეგიტიმაციას აძლევენ მათ მიერ კრიმინალის დაცვას; უზნეო პოლიტიკის გატარებას; 45 ინტერვენციის მოწყობას (მე-20 საუკუნიდან) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გაწირვას და კვლავ „ნაცების" მობრუნების ხელშეწყობას; ეროვნების უარყოფას და წართმევას; ანტიდისკრიმინაციული კანონის თავსმოხვევას.**

**ექსპრემიერი ამბობს, რომ სტალინის პიროვნება მისთვის «პოზიტივი არ არის», ხოლო გოგი თოფაძეს ასაკის გამო მიუტევებს სტალინის პერსონის პატივისცემას და მის წარმოჩენას დადებით კონტექსტში, რაც შეურაცხმყოფელია ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც სტალინის ხსოვნას სათუთად ინახავს. სტალინს აკრიტიკებს ქვეყანაში პროცესების რეალურად წარმმართველი პიროვნება, რათა დასავლეთსა და «ნაცებს» ასიამოვნოს ქართველი ხალხის იმედგაცრუების ფონზე. სტალინს აკრიტიკებს პიროვნება, რომელსაც კრიმინალებისგან ვერ გაუთავისუფლებია პოლიტიკური სივრცე, რომ არაფერი ვთქვათ მათ დასჯაზე**

◀ ფლიოს ეკონომიკა მის ხელში მალე გადავა. ამას გააზრება სჭირდება და არა ამერიკის ინტერესების ლობირება საწვრთნელი ცენტრების შექმნით.

ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკა და მიდგომები დავათბოთ, საქართველო რუსეთს ეთნიკურ წმენდაზე უჩივის ჰააგაში 2008 წლის ომთან დაკავშირებით, რაც დასავლეთთან პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად სჭირდება. არ უნდა დავდგეთ ტერორისტების მხარდამჭერი ქვეყნის გვერდით, რუსეთი ტერორისტებს ებრძვის ისლამურ სახელმწიფოში, რაც საქართველოს მშვიდობიანობასაც უზრუნველყოფს.

**რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება №1 თემა უნდა იყოს მოაზროვნე ხელისუფლებისთვის და უნდა გავემიჯნოთ დასავლეთის დამღუპველ პოლიტიკას. საგულისხმოა, რომ რუსეთს თითქმის არ აქვს საგარეო ვალი. პუტინმა სსრკ-ის ვალებიც გაისტუმრა და ოქროს მარაგიც შეავსო. ამერიკის ვალი კი 18 ტრილიონს აღწევს.**

სიბრძნითა და პატრიოტიზმით ვერავინ შეედრება ჩვენს ეროვნულ გმირს – მეფე ერეკლეს, რომელმაც მცირე ბოროტება აირჩია რუსეთის სახით და ამ არჩევანმა იხსნა ქართველი ერი მატერიალური, სულიერი და ფიზიკური განადგურებისგან. ამასვე ასაბუთებს სტალინი, რომ რუსეთი ორ მუსლიმანურ სახელმწიფოსთან შედარებით თავისი კულტურითა და რელიგიით უფრო ახლოს იყო საქართველოსთან. დღეს სტალინი იმ პირთა კრიტიკის ობიექტად იქცა, რომლებიც კრიმინალ პედოფილებს მსუყედ აფინანსებდნენ და პოლიტიკურ სიცოცხლეს უხანგრძლივებენ.

**ექსპრემიერი ამბობს, რომ სტალინის პიროვნება მისთვის „პოზიტივი არ არის", ხოლო გოგი თოფაძეს ასაკის გამო მიუტევებს სტალინის პერსონის პატივისცემას და მის წარმოჩენას დადებით კონტექსტში, რაც შეურაცხმყოფელია ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც სტალინის ხსოვნას სათუთად ინახავს. სტალინს აკრიტიკებს ქვეყანაში პროცესების რეალურად წარმმართველი პიროვნება, რათა დასავლეთსა და „ნაცებს" ასიამოვნოს ქართველი ხალხის იმედგაცრუების ფონზე. სტალინს აკრიტიკებს პიროვნება, რომელსაც კრიმინალებისგან ვერ გაუთავისუფლებია პოლიტიკური სივრცე, რომ არაფერი ვთქვათ მათ დასჯაზე.** სტალინს აკრიტიკებს იმ ხელისუფლების თავკაცი, რომლის დანაშაულის კოეფიციენტი იზრდება გასაჯაროებული კადრების სიმრავლესა და სიმძიმესთან ერთად: ხალხის ნების იგნორირება, კვლავ ნაცკრიმინალთა ყელყელაობა ანგრევს საზოგადოების ფსიქიკას და ამას რეცეპტების შემოღებით ვერ აღადგენს ჩვენს ჯანმრთელობაზე „მზრუნველი" ხელისუფლება. **კრიმინალებთან გარიგებულმა ხელისუფლებამ არ შეცვალა სისტემა და ამ გაუბედურებულ ქვეყანაში საჯარო მოხელეები უზარმაზარ ანაზღაურებას იღებენ. რისთვის ავირჩიეთ, ბიუჯეტი რომ თქვლიფონ?**



მონუმენტური კომპლექსი სტალინის ქანდაკებით ავსტრიაში, ქალაქ ვენაში




ТЕЛЕГРАММА

სტალინს აკრიტიკებენ ამერიკელთა ფეხსაცმლის ლანჩის მლოკველი ე.წ. სახელისუფლო თუ ე.წ. ოპოზიციონერთა წარმომადგენლები; გუნდრუკს უკმევენ დასავლეთს და ლეგიტიმაციას აძლევენ მათ მიერ კრიმინალის დაცვას; უზნეო პოლიტიკის გატარებას; 45 ინტერვენციის მოწყობას (მე-20 საუკუნიდან) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გაწირვას და კვლავ „ნაცების" მობრუნების ხელშეწყობას; ეროვნების უარყოფას და წართმევას; ანტიდისკრიმინაციული კანონის თავსმოხვევას; ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას. **გსმენიათ მათგან დასავლეთის კრიტიკა? ეს ყოველივე რუსეთს რომ ეკეთებინა, წარმოიდგინეთ, რა ყეფა-გნიასით გააყრუებდნენ ქვეყანას! ამ ლოგიკას თუ გავყვებით, ქართველმა საზოგადოებამ არ უნდა გამორიცხოს, რომ ამერიკის დავალებით მოსული ხელისუფლება ამჯერად ახალი რეკომენდაციებით ასპარეზს კვლავ „ნაცებს" დაუთმობს. მათი დაუსჯელობა და უკრაინაში აღზევებაც ამის მაჩვენებელია!**

მართლმადიდებელი ქვეყნისთვის მიუღებელ დასავლეთის პოლიტიკას და ახალგაზრდების გახრწნაზე ორიენტირებულ მასონურ ძალებს ებრძოდა 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გორელი სოსო ჯუღაშვილი. სწორედ იმ „თავისუფლებისაგან" გვიცავდა საბჭოთა კავშირი, რომელიც უზნეობასთან ასოცირდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს — კანდიდ ჩარკვიანს სტალინთან ძალზე გულთბილი ურთიერთობა აკავშირებდა. თავის მოგონებებში გვიამბობს სტალინის ინიციატივით, ომის წლებში, 1943 წლიდან როგორ დაიწყო მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა რუსთავში; მისივე სურვილით და ჩარკვიანის ინიციატივით 40-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი კარდიოლოგიის ინსტიტუტის მშენებლობას. 1951 წელს ჩარკვიანი სტალინს ეახლა მოსკოვში, რომელმაც დაამტკიცა მეტროპოლიტენის მშენებლობის პროექტი, მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში მეტროპოლიტენზე მხოლოდ ოცნებობდნენ.

1960-იან წლებში სტალინის რეაბილიტაცია ბრეჟნევმა დაიწყო: გარემონტდა გორის მუზეუმი და მომზადდა ახალი ექსპოზიციებისთვის, გადაეცა ჯავშნოსანი მატარებელი და სხვა ექსპონატები.

ვლადიმერ პუტინმა ხუთიოდე წლის წინათ აღადგინა ხრუშჩოვის მიერ დანგრეული მეტროპოლიტენის სადგური „სტალინსკაია". როცა ჰკითხეს, როგორ აფასებთ სტალინის მოღვაწეობასო, პუტინმა აღნიშნა, იყო შეცდომებიც, მაგრამ სტალინმა მოიგო სამამულო ომი და მსოფლიო ფაშიზმისგან იხსნაო. ამით ყველაფერია ნათქვამი.

**მსოფლიო ინახავს სტალინის ხსოვნას ბიუსტებისა თუ ბარელიეფების სახით: ავსტრიის დედაქალაქ ვენაში; ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში; ამერიკაში, ვირჯინიის ქალაქ ბედფორდში; შეერთებულ შტატებში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მე-60 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო 5-დოლარიანი მონეტებიც დაბეჭდეს სტალინის გამოსახულებით; გერმანიის დედაქალაქ ბერლინში არაერთი მონუმენტური ქმნილებაა შემონახული სტალინის ხსოვნისა და პატივისცემის ნიშნად.**

აღარ ჩამოვთვლი სტალინის სახელთან დაკავშირებულ ყველა იმ პოზიტივს, რომლებზეც არაერთხელ თქმულა და რომლებიც ბიძინა ივანიშვილისთვის „პოზიტივი არ არის". **სახელისუფლო ელიტას, რომელსაც თავისი პატარა ქვეყნისთვის ვერ მოუვლია, ვეკითხები: ვინ, რომელმა ხელისუფალმა რა გააკეთა იმის საფასური, რომ სტალინი აკრიტიკოს? რა უფლებით ზღუდავთ თანამემამულეთა ნებას სტალინის ძეგლის აღდგენის თაობაზე? რა, ჩემი სამშობლო თქვენი კერძო კომპანიაა? მიმიფურთხებია თქვენი ევროატლანტიკური მისწრაფებებისთვის!**

ჩვენი თანამემამულეები დიდი რუდუნებით ინახავენ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. ხელთ ჩამივარდა სტალინის წერილის ქსეროასლი, რომელიც მარტყოფელმა **იოსებ მათიაშვილმა** შემოინახა. ამ წერილს სტალინი თავის მასწავლებელს — პეტას სწერს და აცნობებს, რომ უგზავნის თავის ჰონორარს — 2000 მანეთს, როგორც მეგობრულ ნობათს, რომელიც მხოლოდ მის დასახმარებლად აიღო. ასევე, აძლევს სესხს 3000 მანეთს ბერიას დახმარებით. „შენი გაჭირვება ჩემთვის განსაკუთრებული შემთხვევაა," — აღნიშნავს სტალინი წერილში *(იხ. ქსეროასლი)*. ეს წერილი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ იგი თანამემამულეთა წერილებს კითხულობდა და პასუხობდა კიდეც, უბრალოება დიდი ადამიანების მახასიათებელი თვისებაა.

**მივმართავ ბატონ ბიძინას: ნუ ეცდებით სტალინის გაკრიტიკებას, მის სიმაღლეს ვერასოდეს მიაღწევთ!**

შევადაროთ მოსახლეობასთან დამოკიდებულება სტალინის და ჩვენი ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლების, რომლებსაც ვირჩევთ, ფუფუნებაში ვაცხოვრებთ და ნებას ვაძლევთ, ჭკუა დაგვარიგონ, ზემოდან გვიყურონ, რომლებსაც არც ადამიანური და არც პოლიტიკური ღირებულება არ აქვთ.

თუ დასავლეთის ნების აღმსრულებელი შევარდნაძის პოლიტიკა სოციალიზმის, საბჭოთა კავშირის, საქართველოს მიმართ იყო მოღალატეობრივი, სააკაშვილის მმართველობა კრიმინალურია, მათი გზის გამგრძელებელი დღევანდელი ხელისუფლება კი წარმატებული ვერ იქნება!

გენიალურ ფსიქოანალიტიკოსისა და პუბლიცისტის **გრიგორი კლიმოვის მიერ** შემუშავებული ტესტის მიხედვით, ხელისუფლების რეალური სახის შესაცნობად უნდა გავაანალიზოთ: ა) როგორ რეაგირებს მთავრობა პედერასტების უფლებების დაცვაზე; ბ) როგორ რეაგირებს მთავრობა დამნაშავეთა დასჯაზე; გ) როგორ იცავს მთავრობა მშრომელი ადამიანების ინტერესებს; დ) როგორ იცავს მთავრობა დეგენერატების, პარაზიტული კლასის ინტერესებს.

დასკვნის გაკეთება საზოგადოებისთვის მიმინდვია.

**იზა თამაზაშვილი**

ნახევარდაშლის პერიოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ცივილიზაციის ისტორიის ახალმა ერამ“ კაცობრიობას უძღვნა „მაიკი“, ისევე, როგორც ოდესღაც აფრიკას აჩუქა ჩვენი კულტურის ფასდაუდებელი მიღწევები — მონობა და ლუესი.**

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

**აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.**

**სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.**

**ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.**

**აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.**

**სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.**

**სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.**

**წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.**

**კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-40 (315-322)

კლოდ ემრიჩი შიშველი კინოვარსკვლავის თანაბრად ფასობდა.

სიტყვამ მოიტანა და, კინაღამ მეც გავხდი კინოვარსკვლავი.

„ბობ ჰოუპ პროდაქშენმა“ შემომთავაზა ასი ათასი დოლარი ჩემი ცხოვრების ეკრანიზაციისთვის. ელ გირშბეგმა, ათობით უფერული წიგნის ავტორმა, გადაწყვიტა, სცენარისტობა მოესინჯა. მან ჰაქსლისგან აიღო საავადმყოფოში ჩემი ნახვის ნებართვა. უარი შევუთვალე. ასი ათასმა დოლარმა, რომლითაც ელი ცდილობდა ჩემს დაყოლიებას, ვერ მოახდინა ის ეფექტი, რომელსაც ელოდა. ჰაქსლიმ თქვა, რომ ამან მას თავზარი დასცა.

ფულები... დოლარები, აქციები, სერტიფიკატები...

**კონგრესმა სამხედრო ხარჯებისთვის გამოყო 13 580 000 000 დოლარი.**

**1956 წელს დოლარებმა მოიმატეს — 44 478 000 000.**

ციფრებში იმდენი ნულები იყო, რომ შეძრწუნდებოდი. ნული ნიშნავს „არაფერს“. „გალეული“ არაფრად აქცევდა ადამიანებს. დაიბადა ახალი არითმეტიკა — ატომური. ცოტა ხნით ადრე, ორმოცდახუთის ოქტომბერში, **ტრუმენი** კონგრესს სწერდა: „ატომური ენერგიის მიღების ხერხის აღმოჩენამ ცივილიზაციის ისტორიაში ახალ ერას დაუდო სათავე. მეცნიერული ცოდნა და ტექნოლოგია, რომელთა საფუძველზეც გახდა შესაძლებელი ეს აღმოჩენა, არ იფარგლება მხოლოდ კიდევ ერთი სახეობის იარაღის წარმოებით“.

სკეპტიკოსმა ჯონ დაიფრუტუნა:

— **გებელსი** უფრო გონებამახვილი იყო.

მან ეს ყველას გასაგონად წამოროშა ოფიცერთა ბარში და ათი დღით პატიმრობაც მიიღო.

**„ცივილიზაციის ისტორიის ახალმა ერამ“ კაცობრიობას უძღვნა „მაიკი“, ისევე, როგორც ოდესღაც აფრიკას აჩუქა ჩვენი კულტურის ფასდაუდებელი მიღწევები — მონობა და ლუესი.**

მეხსიერებამ ძილი მომიწამლა.

ჩემი მეხსიერება ომს ეკუთვნის.

**ომს გაატანეს ახალგაზრდობა და ჭკუა ნაადრევად მარაზმში ჩავარდნილმა ქალიშვილებმა და ქალებმა, საწოლებიდან რომ ყვიროდნენ: „მამაკაცი!““და ისტერიკა ემართებოდათ.**

შეიძლება წამით დაუბრუნდათ მეხსიერება, გაახსენდათ, რომ ოდესღაც ისინიც იყვნენ დები, ცოლები, შეყვარებულები.

დიახ, ახლა ბევრი რამ გავიგე. ჩვენ პატარა ბავშვებივით, რომლებსაც სჯეროდათ სანტა კლაუსის, გვწამდა, რომ ჩვენმა ატომურმა ბომბებმა გადაწყვიტეს იაპონიასთან ომის ბედი. სისულელეა! ახლა მე ვიცი: **იაპონია არ აპირებდა კაპიტულირებას ჰიროსიმისა და ნაგასაკის შემდეგაც კი. ღვთაებრივ იმატოს არ მიაჩნდა საჭიროდ იარაღის დაყრა. ყველაფერი სხვა რამემ გადაწყვიტა — საბჭოებმა. მათმა არმიამ მუხლებზე დააჩოქა იმატო.**

ჩვენი ატომური ბომბები რაღა იყო?

სიკვდილის საზიზღარი „სათამაშოები“ — აი, რა იყო ეს!

დიახ, საშინელია ღირებულებათა გადაფასება...

კონოლი ლუღლუღებს:

— გავფრინდეთ ესენისაკენ, კლოდ...

და იცინის, იცინის, იცინის...

შევყურებ მას, ვფიქრობ ომზე, ქვემოთ მყოფ ქალიშვილებზე და ვერ ვამჩნევ პალატაში შემოსულ ლარის.

ლარი მხარზე მეხება.

მას სახე შეშუპებია, მსხვილი ხელი შესამჩნევად უკანკალებს.

— გამარჯობა, კლოდ, — მეუბნება, — ჟურნალები და ახალი ამბები მოგიტანე.

## 7

— წავიდეთ, მეგობარო, — მეუბნება ლარი.

მისი კაბინეტი სიდიდითა და კომფორტით ოდნავ თუ განსხვავდება ძაღლის ხუხულისაგან, მე მომწონს აქ ყოფნა. თუკი საგნები რამდენადმე მაინც განსაზღვრავენ პატრონის ხასიათს, ლარის შესახებ მათი საშუალებით ვერ იმსჯელებთ, რადგან ოთახში ავეჯი თითქმის არ არის — მაგიდა, ორი სკამი და მეტი არაფერი. არის კიდევ კედლის კარადა, რომელშიც ინახება ავადმყოფთა ისტორიები და ერთი ბოთლი ვისკი. გორდონის კაბინეტში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას სტაციონარული ელექტროკარდიოგრაფი დგას, ის ერთხელაც არ უხმარიათ. ბარკერს გიჟების ნახატების კოლექციათა და ჰოლივუდის კინოვარსკვლავების ფოტოსურათებით მოაქვს თავი. შუა საუკუნეებში მეჩექმეები სახელოსნოთა შესასვლელთან კიდებდნენ თუნუქის ჩექმებს, ნამდვილს რომ ძალიან ჰგავდა. მას შემდეგ რეკლამა შორს წავიდა წინ.

ლარი ვიწროდ გრძნობს თავს კაბინეტში. იგი ტანადი ყმაწვილია კეთილი ღიმილით — ნამდვილი პოლ ბენიანი ან დეივ კრეკეტი ღია ფერის შარვალსა და სახელოდაკაპიწებულ პერანგში, ცხვირზე უჩარჩოო სქელმინიანი სათვალით.

ლარიმ გააბოლა და კუთხეში წკიპურტით მოისროლა ასანთი.

— აირინი ვნახე, — მეუბნება იგი.

— როდის?

— გუშინ საღამოს, ვაგზალზე. მასთან ლუისი იყო...

მან ენაზე იკბინა, მაგრამ უკვე გვიანია.

— დაიცა, — ვეუბნები, — შენ ამბობ, ვაგზალზე?

ლარი ფითრდება. მას ეს ახასიათებს: ისევე ადვილად ფითრდება, როგორც ზოგიერთი წითლდება.

— ჰერბერტ, — ვეუბნები, — აქ რაღაცაშია საქმე. ფრედმა შაბათს თქვა, რომ აირინს არაფერი უჭირს.

— კეთილი, — მეუბნება ლარი, — მაკკორმაკი ცოცხლად შემჭამს, მაგრამ შენთვის ტყუილის თქმაც არ მინდა. საერთოდ, ნუ შეწუხდები, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. აირინს სამსახურიდან მოუხდა წასვლა.

მაშ, ისინი აირინსაც მისწვდნენ. ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო. საწყალი ჩემი გოგონა, მტკიცე ხასიათისაა და უსაზღვროდ პატიოსანი. ბევრი ტანჯვა მოგაყენე. ჩემს გამო კინოსტუდია ისე მიატოვე, უკანასკნელი როლი ბოლომდე არც გქონდა დასწავლილი. ჰოლივუდის რეჟისორებს არ სურდათ საქმე ჰქონოდათ სამშობლოს მოღალატის ცოლთან. „მეტრო გოლდვინ მეიერის“ დირექტორებმა, რომლებიც, ისე როგორც ხალხი, ვარსკვლავად გთვლიდნენ, შენი და შენი დიდების მეშვეობით არაერთი მილიონი ჩაიჯიბეს, მაგრამ ანტიამერიკული მოღვაწეობის გამოძიების კომისიის წინაშე უკან დაიხიეს და გადასაღები პავილიონების კარი მოგიხურეს.

ეკრანის პრიმა ვარსკვლავმა სტენოგრაფია შეისწავლე და საკმაოდ კარგი მდივანი გახდი. შენ გაფასებდნენ სათბობის კომისიაში, რომელშიც საგაზეთო განცხადებით მიხვედი და სადაც უკვე სამი წელია მუშაობდი. და, აი, დაგითხოვეს.

— როდის? — მხოლოდ ამის კითხვას ვახერხებ.

— გასულ ოთხშაბათს იგი უშიშროების რწმუნებულთან გამოიძახეს და დაკითხვას შეეცადნენ. აირინმა იგი ჯანდაბაში გაგზავნა. უთხრა, რომ ლოიალურობაზე ფიცს უკვე მოაწერა ხელი.

— რა უნდოდათ?

— დამამტკიცებელი საბუთები, რომ შენ კომუნისტი არა ხარ.

— კი მაგრამ, ხომ არსებობს კონსტიტუციაში მეხუთე შესწორება!

— აირინმაც სწორედ მასზე მიუთითა. მას კი უთხრეს, რომ შესწორების მოშველიებას არალოიალურობაში ჩამოართმევდნენ. მათ ასეთ უფლებას აძლევს აქტი უშიშროების შესახებ.

მოხდა ის, რისიც ყოველთვის მეშინოდა და რაც არ შეიძლებოდა, არ მომხდარიყო. სასაცილო იყო იმაზე ფიქრი, რომ აირინი შეძლებდა სათბობის კომისიაში ადგილის შენარჩუნებას მას შემდეგ, რაც უეიკოს სასამართლომ საავადმყოფოში ჩამაწყვდია. განაჩენში ნახსენებიც არ არის წყალბადის ბომბის საწინააღმდეგო ჩემი წერილის შესახებ, მაგრამ მაკკორმაკი მაფრთხილებდა, რომ მისი დახმარებით ისინი შეეცდებიან აირინთან ანგარიშის გასწორებას. რა თქმა უნდა, შეიძლება მიმართო სასამართლოს, მოითხოვო საჯარო გამოძიება, მაგრამ ამით რას მივაღწევთ?

— იცნობთ სმიტს? — მეკითხება ლარი.

— უამრავს.

— ჯო თეკერს?

— რასაკვირველია. ის „ენოლას“ რადისტი იყო.

— ვინმე სმითმა შეატყობინა კომისიას, რომ თეკერი კომუნისტია. მართალია ეს?

— სმიტი? უცნაურია, მაგრამ ჩვენს ჯგუფში ასეთი გვარით არავინ არ ყოფილა. ერთადერთი, რომელიც გვიცნობდა მე და ჯოს, კონგრესმენი სმიტი იყო, სწორედ ის მაიორი, ჩვენ რომ თითქმის მთელ ქვეყანაზე დაგვდევდა და რომლისთვისაც მაკ-კორმაკს წერილის მიწერა უნდოდა საავადმყოფოში გამეფებულ წესებზე.

იყო თუ არა ჯო კომუნისტი? რა თქმა უნდა, არა.

**იაპონია არ აპირებდა კაპიტულირებას ჰიროსიმისა და ნაგასაკის შემდეგაც კი. ღვთაებრივ იმატოს არ მიაჩნდა საჭიროდ იარაღის დაყრა. ყველაფერი სხვა რამემ გადაწყვიტა — საბჭოებმა. მათმა არმიამ მუხლებზე დააჩოქა იმატო. ჩვენი ატომური ბომბები რაღა იყო?**

— სიცრუეა, — ვამბობ მე, — თეკერი ახალგაზრდათა ქრისტიანული ასოციაციის წევრი იყო. აირინი მას არც კი იცნობდა... მაგრამ, სად გაემგზავრა იგი?

— მოხუცებმა თავისთან უხმეს. მას წერილი გადასცა მაკ-კორმაკს შენთვის, მე კი — ბარათი.

— მხეცო! — თითქმის ვყვირი და ლარის ხელიდან ვტაცებ კონვერტს.

ლარი დელიკატურად ტრიალებდა, მე მაინც გაუხსნელად ვინახავ კონვერტს. წერილს მარტო წავიკითხავ; თითოეულ სტრიქონს — ასჯერ... და ისინი მეტყვიან ყველაფერს, რასაც აირინი ფიქრობდა წერილის დაწერისას. ხელწერით, მელნით, ქაღალდით ხომ არც ისე ძნელია მიხვდე, რა დარჩა დაუწერელი.

ლარი გაუბედავად ტრიალდება.

— იმედი მაქვს, — მეუბნება ის, — ძალიან არ გაწყენინეთ?

— არა, — ვეუბნები, — და ეს მართალია. ცოტა კიდევაც მიხარია, რომ აირინი გამოეთხოვა თავის კომისიას. ოდესღაც მეც გამოვცადე ასეთი ტანჯვა უცხოთა მზერის გამო და წარმომიდგენია, როგორ გაუჭირდებოდა უკანასკნელ ხანს! აი, ლუსი კი... მან უნდა ისწავლოს. იქნებ მოხუცებმა მოაგროვეს რამე შავი დღისათვის? აირინის მშობლები საოცრად ეკონომიური ხალხია. საოცარიც კია, რომ მათ ნება დართეს აირინს ცოლად გაჰყოლოდა ისეთ მფლანგველს, როგორიც მე ვარ. ღმერთო ჩემო, რა სცენა მოგვიწყეს, როცა ჯვარი დავიწერეთ! შემდეგში ისინი შემირიგდნენ და, მგონია, თავისებურად შემეთვისნენ კიდეც. პროცესის დროს ისინი აირინს სწერდნენ, რომ მას უნდა ეტვირთა თავისი ჯვარი. ამ სამხრეთელ პურიტანებს ყველაფერი უკუღმა აქვთ! აირინი ბედნიერი იყო — ცრემლად იღვრებოდნენ; აირინი უბედურებაში გაეხვია და თითქმის კმაყოფილნი არიან. მათ ენაზე ტანჯვას განწმენდა ეწოდება. მათ უყვართ ტანჯვა... და ყველაფერთან ერთად ისინი სასახელო მოხუცებიც არიან. როგორც დათვის ძვალს, მათაც ვერასდროს მოდრეკ; აირინიც მათ დაემსგავსა. მახსოვს, როგორ მიღიმოდა იგი სასამართლოზე. მაკკორმაკი ამბობს, რომ არ შეხვედრია მასზე მამაც ქალს. ეს, რა თქმა უნდა, გაზვიადებაა, ის ცოტათი შეყვარებულია აირინზე და მზადაა აპატიოს ყველაფერი.

**(გაგრძელება იქნება)**

„შკვალი“ წყალში გადაადგილდება ტორპედოს მსგავსად, ამასთანავე, ქმნის „ჰაერის ჯიბეს“, რომელიც ამცირებს ხახუნს და რაკეტას აძლევს საშუალებას, წყალში მაღალი სიჩქარით „იფრინოს“. რაკეტის ქობინს, რომელიც საჭირო მომენტში აფეთქდება, შეუძლია გაანადგუროს წყალქვეშა ნავი და მოახლოებული ტორპედები. „შკვალს“ შეუძლია 4-5-ჯერ მეტი სიჩქარე განავითაროს, ვიდრე ჩვეულებრივ წყალქვეშა რაკეტებს“

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «შკვალი» — საუკეთესო წყალქვეშა რაკეტა

**რუსული რაკეტა „შკვალი“, რომელიც განკუთვნილია წყალქვეშა მიზნების დასაზიანებლად, მათ შორის, წყალქვეშა ნავების, ამ ტიპის იარაღებს შორის საუკეთესოდ აღიარა ამერიკულმა გამოცემა We Are The Mighty-მა.**





გამოცემის ექსპერტები წერენ, რომ „შკვალი“ წყალში გადაადგილდება ტორპედოს მსგავსად, ამასთანავე, ქმნის „ჰაერის ჯიბეს“, რომელიც ამცირებს ხახუნს და რაკეტას აძლევს საშუალებას, წყალში მაღალი სიჩქარით „იფრინოს“.

„რაკეტის ქობინს, რომელიც საჭირო მომენტში აფეთქდება, შეუძლია გაანადგუროს წყალქვეშა ნავი და მოახლოებული ტორპედები. „შკვალს“ შეუძლია 4-5-ჯერ მეტი სიჩქარე განავითაროს, ვიდრე ჩვეულებრივ წყალქვეშა რაკეტებს.

ამერიკელი სამხედრო სპეციალისტებმა საუკეთესო წყალქვეშა რაკეტის სიაში, აგრეთვე, შეიყვანეს ფრანგული ტორპედო F-21, MK-ს სერიის დისტანციური მართვის ამერიკული ტორპედოები და რუსული რაკეტა T-5.

**რაკეტა „შკვალის“ ტექნიკური მახასიათებლები:**

* **მასა — 2700 კგ**
* **სიგრძე — 8 მ.**
* **სიმძლავრე — 150 კტ (ბირთვული ვარიანტის), 210 (ჩვეულებრივი ვარიანტის).**
* **სიჩქარე — 375 კმ/სთ**
* **მოქმედების რადიუსი — 13 კმ**
* **მოქმედების სიღრმე — 30 მ**

„შკვალის“ მოქმედების შედეგი



# ავიამზიდების მკვლელები — უპილოტო წყალქვეშა აპარატები

**წყალქვეშა საბრძოლო რობოტი რამდენიმე წლის წინათ სამეცნიერო ფანტასტიკას განეკუთვნებოდა, დღეს კი მის შექმნაზე უკვე რამდენიმე ქვეყანა მუშაობს. ლაპარაკია საბრძოლო რობოტებზე, რომლებსაც წყალქვეშა ნავებიდან გაუშვებენ, როგორც უპილოტო მოწყობილობას. ისინი ე.წ. დრეიფის რეჟიმში იმუშავებენ და ბრძანების მიღების შემდეგ ამოქმედდებიან. წყალქვეშა ნავი კი შეძლებს ბრძოლის ზონის დატოვებას.**



ამ უპილოტო წყალქვეშა მოწყობილობას, რომელიც შეუმჩნეველია რადარებისთვის, თავისუფლად შეუძლია მოწინააღმდეგის ავიამზიდისა და მისი თანმხლები გემების განადგურება.

უპილოტო აპარატს დანიშნულების ადგილამდე ჩვეულებრივი სუბმარინა მიიტანს. ბრძანების მიღების შემდეგ დატოვებული კილვატერის (ჭავლი, რომელსაც წყლის ზედაპირზე ქმნის ხომალდი) მეშვეობით კვალში ჩაუდგება მტრის ხომალდს და მიზანთან მიახლოებისას გაისვრის „შკვალის“ მსგავს რამდენიმე რაკეტა-ტორპედოს, რომელთა სიჩქარე სთ-ში 375 კმ-ია, ბოლოს კი ხომალდის ფსკერს გატარნავს.

რუსეთის შავი ზღვის ფლოტს 2011 წლიდან აქვს ჰიდროლოკატორებითა და მანიპულატორებით აღჭურვილი დისტანციური მართვის წყალქვეშა აპარატი „ობზორ-600“, რომლის დანიშნულებაც ზღვის ფსკერის დაზვერვაა. აპარატს შეუძლია 600 მ სიღრმეზე დაეშვას და წყლის ქვეშ სთ-ში 6 კმ სიჩქარე განავითაროს. სპეციალისტთა აზრით, „ობზორ-600“ ჰგავს ამერიკულ აპარატს LBV-600-6-ს.

„ობზორ-600“-ის გარდა, რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა შექმნა წყალქვეშა რობოტების კომპლექსი — „გალტელი“, რომლებითაც ღრმაწყლიანი პორტების დაცვა შეიძლება.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი უკვე 2016-2017 წლებში მიიღებს უპილოტო მცურავ აპარატებს — გლეიდერებს, რომლებსაც წყლის სიღრმეში თევზივით გადაადგილება შეეძლებათ.

წყალქვეშა რობოტების სფეროში კი, ექსპერტთა აზრით, ჯერჯერობით აშშ ლიდერობს. აშშ-ის შეიარაღებული ძალების ასეთი 150 რობოტი აქვს.

ცნობილია, რომ წყალქვეშა დრონები აქვს **იაპონიასა** და **ახალ ზელანდიას**, მათ შექმნაზე მუშაობენ **ინდოეთისა** და **სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკის** სპეციალისტებიც.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**


THE NATIONAL INTEREST
THE BUZZ
3 Chinese Weapons of War America Should Fear in the South China Sea

# ომის წინათგრძნობა: ამერიკულმა ჟურნალმა დაასახელა 3 ჩინური იარაღი, რომლებისაც უნდა ეშინოდეს პენტაგონს



ჟურნალ The National Interest-ის სამხედრო ექსპერტმა დეივ მაჯუმდარმა ჩამოთვალა ჩინური იარაღის სამი სახეობა, რომლებისაც უნდა ეშინოდეს აშშ-ს სამხრეთი ჩინეთის ზღვაში მომხდარი ინციდენტის გამო ჩინეთთან ურთიერთობის გამწვავების ფონზე.

რეგიონში ვითარება გამწვავდა მას შემდეგ, რაც ამერიკული საესკადრო ნაღმოსანი Lassen-ი, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პეკინისგან უნებართვოდ შევიდა სამხრეთი ჩინეთის ზღვაში მდებარე საკამათო კუნძულ ნანშას (სპრატლი) აკვატორიაში. ამ კუნძულს კი ჩინეთი თავის საკუთრებად მიიჩნევს. **ჩინეთის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა აშშ-ს და განაცხადა, რომ აშშ-ს მოქმედება ბღალავს ჩინეთის სუვერენიტეტს.**

ამის შემდეგ ჩინეთის საზღვაო ფლოტის ადმირალმა **უ შენლიმ** ამერიკელ კოლეგასთან, ადმირალ **ჯონ რიჩარდსონთან** ვიდეოკონფერენციის მიმდინარეობისას აშშ-ის მოქმედებას პროვოკაციული უწოდა და განაცხადა, რომ „უმნიშვნელო ინციდენტსაც კი შეუძლია ომის პროვოცირება“.

„ვიდრე აშშ კვლავაც განაგრძობს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში თავისუფლად გადაადგილების შესახებ თავის უფლებებზე ლაპარაკს, ჩინეთთან კონფრონტაციის დაწყების ცუდი წინათგრძნობა მიჩნდება.

ჩინეთთან კონფრონტაციის შემთხვევაში კი საკვანძო როლს ითამაშებს სამი სახეობის ჩინური იარაღი: **საზღვაო ნაღმები, დიზელ-ელექტრო წყალქვეშა ნავები და სამხედრო-საზღვაო ხომალდები.** თუ ჩინეთი მზად არის მნიშვნელოვნად ასწიოს ფსონი — ომის დაწყების რისკამდე, ის, ალბათ, **ნაღმებს** განალაგებს სამხრეთი ჩინეთის ზღვაში მდებარე თავისი ხელოვნური კუნძულების გარშემო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწორედ საზღვაო ნაღმებმა დააზიანეს ამერიკული ხომალდები ყველაზე მეტად, ვიდრე იარაღის სხვა სახეობებმა. მაგალითად, მრავალმილიარდიანი სამხედრო კრეისერი USS Princeton-ი, რომელიც ძალიან დაზიანდა სპარსეთის ყურეში ომის დროს.

რაც შეეხება **ჩინურ წყალქვეშა ნავებს**, ისინი დიდ საფრთხეს შეუქმნის აშშ-ს სამხრეთი ჩინეთის ზღვაში. ამ წყალქვეშა ნავების მთავარი ღირსება შეუმჩნეველი მოქმედებაა. ჩინეთს ასეთი წყალქვეშა ნავების მძლავრი ფლოტილია ჰყავს, მათ შორის, აღსანიშნავია „კილოს“ კლასის საბჭოთა სუბმარინები, აგრეთვე, ჩინური წარმოების „039“-ბი.

რიფ სუბისთან გავლის მომენტში ამერიკული საესკადრო ნაღმოსანს „კუდზე“ დააჯდა ჩინეთის ფლოტილიის ორი ხომალდი — ნაღმოსანი „ლანჯოუ“ და სადარაჯო „ტაიჯოუ“. ტექნოგლოგიური თვალსაზრისით, ორივე ჩამორჩება Lassen-ს, მაგრამ ამერიკულ ხომალზე არ არის ისეთი იარაღი, რომლითაც დააზიანებდნენ ჩინურ გემებს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო გემები აღჭურვილია შორ მანძილზე მოქმედების ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით და, თუკი ჩინელები მოისურვებდნენ, თავისუფლად ჩაძირავდნენ ამერიკულ Lassen-ს“, — წერს ამერიკელი სამხედრო ექსპერტი.

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## იაპონელმა მეთევზემ გიგანტური თევზ-მუტანტი დაიჭირა

**ჰოლივუდელ რეჟისორებს ახალი საშინელებათა ფილმისთვის, როგორც ჩანს, კარგი პერსონაჟი გამოუჩნდათ.** იაპონელმა მეთევზემ ჰიროში ჰირასაკამ მეტად უცნაური თევზი დაიჭირა, რომლის ასეთი შესახედაობის მიზეზი 2011 წლის ფუკუსიმას ავარიაა. ითვლება, რომ ეს მუტაციური ვარიანტია თევზი wolffish-ის, რომლის წონა 15 კილოგრამი, ხოლო სიგრძე 1.1 მეტრია. მუტანტის სიგრძე კი თითქმის 2 მეტრია.



## გულის დაავადებების გამომწვევი მთავარი მიზეზი



**მოწევა გულ-სისხლძარღვთა დაავადების გამომწვევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკფაქტორია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სისხლში ქოლესტერინის მაღალი დონეა. საშუალოდ, მოწევა სიცოცხლეს შვიდი წლით ამცირებს. თამბაქოსგან გამოწვეულ სისხლის ცვლილებებს მივყავართ ტრომბების წარმოქმნამდე.**

მწეველებს სისხლში ნახშირბადის მაღალი შემცველობა აქვთ, რომელიც ქსოვილში ჟანგბადის მიწოდებას არღვევს. ამასთანავე, ნიკოტინი იწვევს არტერიების სპაზმს, რომელსაც არტერიული წნევის აწევამდე მივყავართ. მწეველებს ინფარქტის რისკი ორჯერ უფრო მაღალი აქვთ, ხოლო მოულოდნელი სიკვდილის რისკი — ოთხჯერ უფრო მაღალი, ვიდრე არამწეველებს.

**შაქრიანი დიაბეტი, აგრეთვე, რისკ ფაქტორია.** მის შემთხვევაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებისა და მათი გართულების რისკი ორჯერ იზრდება. პაციენტებს, რომლებიც გულის იშემიური დაავადებით იტანჯებიან, ყველაზე ცუდი პროგნოზები აქვთ, განსაკუთრებით ინფარქტის განვითარების მხრივ. ითვლება, რომ **ერთწლიანი შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში თითქმის ყველა დაავადებულს აღენიშნება საკმაოდ გამოკვეთილი ათეროსკლეროზი. ინფარქტი ყველაზე გავრცელებული მიზეზია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა სიკვდილში.**

## შეი აარონის მინიატურული სამზარეულო



**28 წლის თელ-ავიველი მხატვარი შეი აარონი საკვები პროდუქტების მინიატურულ ასლებს ქმნის, რომლებსაც ორიგინალებისგან მხოლოდ ზომა განასხვავებს და ცხადია, საკვებად არ გამოდგება.**

მინიატურული პროდუქტები ისე ჰგავს რეალურს, რომ მათი დაგემოვნება ბევრს მოუნდება. აარონის მინიატურული სკულპტურები კვების პროდუქტების დიდ ასორტიმენტს მოიცავს. ხშირად ისინი დალაგებულია ისეთივე მინიატურულ ჭურჭელსა და მაგიდებზე. თავისი ნამუშევრების შესაქმნელად შეი თიხას, რეზინს, ხესა და ლითონს, ხანდახან კი სხვა მასალებსაც იყენებს, იმის მიხედვით, თუ რა ტიპის კომპოზიციას ამზადებს. დღეს აარონის პაწაწინა სკულპტურების კოლექცია 300-მდე ეგზემპლარისგან შედგება, თუმცა მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება.

















## «სიკვდილის ვარსკვლავმა» დედამიწის აღსასრულის დრო განსაზღვრა

**ჰარვარდ-სმითსონის ცენტრის ასტროფიზიკოსებმა, რომლებიც აკვირდებიან „თეთრი ჯუჯის“ სისტემის პლანეტების შთანთქმას, მიღებული მონაცემების მიხედვით, დედამიწის გაქრობის პერიოდი დაასახელეს.**



„სიკვდილის ვარსკვლავი“ — ობიექტი WD 1145+017 იმყოფება ქალწულის თანავარსკვლავედში ჩვენი პლანეტიდან დაახლოებით 571 სინათლის წელიწადის დაშორებით. მეცნიერებმა ციური სხეული ტელესკოპ „კეპლერის“ მეშვეობით აღმოაჩინეს მას შემდეგ, რაც შეამჩნიეს, რომ ის სხვა ობიექტებს ანადგურებდა და მისი ფორმა და ზომები გამუდმებით იცვლებოდა.

სპექტრის ანალიზის შემდეგ ასტროფიზიკოსებმა დაადგინეს, რომ ვარსკვლავი, რომელსაც აკვირდებიან, ცერერას ზომის პლანეტებს ანადგურებს იმავე ქიმიური შემადგენლობით, როგორიც დედამიწას გააჩნია.

**„ჩვენ პირველად გავხდით იმის მოწმენი, როგორ ნადგურდებოდა მინიატურული პლანეტა ვარსკვლავის მხრიდან წამოსული ინტენსიური გრავიტაციით“, — ყვება კვლევის ერთ-ერთი თანამონაწილე, ასტროფიზიკოსი ენდრიუ ვანდერბურგი.**

ანალოგიური ბედი მოელის დედამიწასაც. მეცნიერების აზრით, მზე ჩვენს პლანეტას ხუთი მილიარდი წლის შემდეგ შთანთქავს. მეცნიერები უშვებენ იმის ალბათობას, რომ შესაძლოა, შთანთქმა არ მოხდეს, მაგრამ დედამიწა ისეთ დონეზე გახურდება, რომ მასზე ცხოვრება შეუძლებელი გახდება.

## «ტვიტერის» აღმასრულებელმა დირექტორმა თანამშრომლებს 200 მილიონი დოლარი აჩუქა

**მიკრობლოგ „ტვიტერის“ თანადამფუძნებელმა ჯეკ დორსიმ თანამშრომლებს „ტვიტერის“ აქციების მესამედი აჩუქა.**

„ტვიტერის“ აქციების მესამედს, რაც კომპანიის აქციების ზუსტად 1%-ია, ჩვენს თანამშრომლებს ვჩუქნი და ამგვარად ვახდენ რეინვესტირებას ჩვენს თანამშრომლებში. მე კი მირჩევნია, რაღაც დიდის პატარა ნაწილი ვიყო, ვიდრე რაიმე პატარის დიდი ნაწილი. დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ „ტვიტერი“ დიდ კომპანიად ვაქციოთ“, — დაწერა ჯეკ დორსიმ მიკრობლოგზე.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, „ტვიტერის“ აქციების 1%-ის ფასი ამ ეტაპზე 200 მილიონ დოლარს შეადგენს.

დორსის განცხადების შემდეგ კომპანიის აქციების ფასი ელექტრონულ ბირჟაზე 0,7%-ით გაიზარდა. „ტვიტერის“ კაპიტალიზაცია 20 მილიარდი დოლარია.

ჯეკ დორსი კომპანიის აღმასრულებელ დირექტორად ცოტა ხნის წინათ დაინიშნა. ახალ პოსტზე მისვლისთანავე დორსიმ კომპანიაში რესტრუქტურიზაცია განახორციელა, რომლის ფარგლებშიც „ტვიტერი“ თანამშრომლების 8%-ს შეამცირებს.

**„ფორბსის“ მონაცემებით, ჯეკ დორსის ქონება 2,2 მილიარდი დოლარია.**

## უდაბნო ატაკამა აყვავდა

**უდაბნო ატაკამა მსოფლიოს ყველაზე მშრალი ადგილია. იგი ჩილეს ჩრდილოეთიდან პერუს სამხრეთამდე 1000 კილომეტრზეა გადაჭიმული. უდაბნოს ზოგიერთ ნაწილში წვიმა არასოდეს მოდის. შესაბამისად, მისი ზედაპირი ეროზირებული და გადამხმარია, მაგრამ, თუ ახლა ჩილეში მოხვდებით, უზარმაზარი უდაბნოს ნაცვლად იქ ნამდვილი ოაზისი დაგხვდებათ.** გაზაფხულზე მოსულმა წვიმებმა წლობით გამხმარი ყვავილების თესლები გააღვივა და გადამხმარი ნიადაგი ყვავილების ხალიჩად აქცია — ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად ასეთი უხვი ნალექის შედეგად უდაბნოში წალკოტი შეიქმნა.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე იღბლიანი შენაძენი

აუქციონზე 5000 დოლარად ნაყიდი ავტოფარეხი მყიდველისთვის მეტად მომგებიანი აღმოჩნდა, რადგან ტერიტორია სავსე იყო ძველი ავტომობილებით, რომელთა საერთო ღირებულებაც 15 მილიონ დოლარს შეადგენს.

# ტვინის ყველაზე ვრცელი ციფრული მოდელი



**ევროპული პროექტი Blue Brain, რომელიც მილიარდ ევროზე მეტად არის შეფასებული, მიზნად საკმაოდ ამბიციურ ამოცანას ისახავს: შექმნას ადამიანის ტვინის ციფრული ასლი. პროექტის დაწყებამდე მრავალი ნეიროფიზიოლოგი ამ ცდას უიმედოდ თვლიდა, თუმცა პროექტის მუშაობის პირველი კონკრეტული შედეგი უკვე წარედგინა სამეცნიერო საზოგადოებას.**

ჰენრი მარკრემის ჯგუფმა (ლოზანის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან) წარმოადგინა ნეირონებისა და სინაფსების ერთობის ციფრული ასლი, რომელიც ვირთხის ტვინის დაახლოებით მესამედ კუბურ მილიმეტრს უდრიდა, კერძოდ კი, ტვინის იმ ნაწილისა, რომელიც შეხებაზეა პასუხისმგებელი.

მოდელში რთული მაღალსპეციალიზებული ნერვული უჯრედების 31 000 ნეირონი და 37 მილიონი სინაფსია. სულ ციფრულ სიმულაციაში გათვლილია 207 სახეობის ნერვული უჯრედი. იმისათვის, რომ სიმულაცია შეექმნათ, მკვლევარებმა უბრალო ვირთხების ტვინის 14 000 რეალური ნეირონი დეტალურად შეისწავლეს.

შედეგად, მათ მიერ შექმნილი მოდელი 100 000-ჯერ აღემატება ყველა მანამდე შექმნილ მოდელს. მას შემდეგ, რაც პროგრამულ უზრუნველყოფაში მეცნიერებმა შეიყვანეს ის მონაცემები, რომლებიც ცნობილია ნეირონებისა და გამაღიზიანებლების რეაქციის შესახებ და დაიწყეს სტიმულირებად ტვინის ნაწილზე გარე გამაღიზიანებლების ციფრული ანალოგების გაგზავნა, მარკრემმა და მისმა კოლეგებმა ვირტუალური ნეირონების გაღიზიანება შეძლეს. ამ ვირტუალური ნეირონების გაღიზიანება მსგავსი იყო ანალოგიური სიგნალების მიერ ვირთხის ტვინის რეალური ნეირონების გაღიზიანებისა. ამასთანავე, მსგავსი იყო არა მარტო ზოგადი რეაქცია, არამედ გამაღიზიანებელზე რეაგირების დროც.

საბოლოოდ, მარკრემის ჯგუფი, რომელშიც 80-ზე მეტი მეცნიერი შედის ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, იმედოვნებს ტვინის უფრო ვრცელი მოდელის შექმნას, შემდეგ კი ეტაპობრივად ადამიანის ტვინამდეც მივლენ. ჯერჯერობით მათ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი: ვირთხის 31 000 ნეირონის მოდელირება გაცილებით მარტივია, ვიდრე ადამიანის ტვინის მრავალი მილიარდი ნეირონისა. თუმცა, თუ მომავალში ადამიანის ტვინის მოდელიც ისეთივე წარმატებული გამოდგება, როგორიც ვირთხის შემთხვევაში, მეცნიერები თვლიან, რომ Blue Brain-ის პროექტზე დახარჯული ფინანსები და ენერგია ასმაგად ანაზღაურდება.

# ტიტიკაკას მცურავი კუნძულები



**მცურავი კუნძულები სინამდვილეში უროსის ტომის საცხოვრებლები — ტოტორებია, რომლებიც ლერწმისგან არის აგებული.**

ტბა ტიტიკაკა პერუსა და ბოლივიის საზღვარზე, ზღვის დონიდან 3811 მეტრზე მდებარეობს. ამის გამო ის მსოფლიოში ყველაზე მაღალ ნიშნულზე არსებულ ისეთ ტბად მიიჩნევა, რომელშიც გემები მოძრაობენ. წყლის მოცულობის თვალსაზრისით კი, ტიტიკაკა ყველაზე დიდი ტბაცაა სამხრეთ ამერიკაში.

ქვეყანაში ჩასული ტურისტებისთვის ტიტიკაკას მცურავი კუნძულები მთავარი ღირშესანიშნაობაა. ექსკურსია, ჩვეულებრივ, პატარა ქალაქ პუნოსთან იწყება, რომელიც ტბის გასწვრივაა განლაგებული.

თავდაპირველად ასეთი კუნძულების არსებობა თავდაცვითი მოსაზრებით იყო განპირობებული – საფრთხის შემთხვევაში ტოტორებით გაცურვა და მტრისგან თავის დაღწევა შეიძლებოდა. ყველაზე დიდ მცურავ კუნძულზე ლერწმით გაკეთებული სახანძრო ანძაც კია შემორჩენილი.

ახლა ტოტორების მთავარი დანიშნულება ტურისტების დაინტერესებაა.

ტოტორის დასამზადებლად აუცილებელი ლერწამი ტიტიკაკას ტბის ნაპირებზე იზრდება. გახმობის შემდეგ მას მასალად იყენებენ, ძველი ლერწმის ადგილზე კი ახალი ამოდის.

ლერწმის კუნძულების ზედაპირი საკმაოდ მყიფეა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ცურვისას ერთი არასწორი მოძრაობა და ლერწმის მთელი კონსტრუქცია დაიმსხვრევა, მაგრამ ეს ასე არ არის — კუნძულები ძალიან მყარია და დიდ დატვირთვასაც უძლებს.

უროსის ტომელები ლერწამს არა მხოლოდ მცურავი კუნძულების ასაშენებლად, არამედ საკვებად და სამკურნალოდაც იყენებენ. ლერწმისგან აქ ამზადებენ ჩაის, რომელსაც ნაბახუსევზე მიირთმევენ. ასევე, ამზადებენ ლერწმის წვნიანსაც.

შემოსავლის მთავარი წყარო მათთვის თევზჭერა და ტურიზმია. სუვენირების ჯიხურები პირდაპირ მცურავ კუნძულებზეა მოწყობილი და უნდა ითქვას, საკმაოდ კარგ მოგებასაც იძლევა — უროსების ცხოვრების წესის გასაცნობად ხომ უამრავი ტურისტი ჩადის.

გარდა ამისა, უროსები თოლიებზე, იხვებზე, ფლამინგოებსა და სხვა ფრინველებზეც ნადირობენ. განსაკუთრებით დიდ კუნძულებზე მსხვილფეხა საქონელიც ჰყავთ.

კუნძულების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება საკმაოდ მძიმე შრომასთანაა დაკავშირებული, თუმცა შრომა მათი ცხოვრების განუყრელი ნაწილია.

ამჟამად უროსის ტომის 2 ათასზე ცოტა მეტი წარმომადგენელია შემორჩენილი და ისინი არსად აპირებენ წასვლას, რადგან ტიტიკაკას ტბის ლერწმის კუნძულები მათი მშობლიური სახლია.

# ყველაზე ვიწრო ქუჩა მსოფლიოში



**ქუჩა, რომელიც ყველაზე ვიწროა მსოფლიოში, პრაღაში მდებარეობს. მას მხოლოდ ქვეითად მოსიარულეები იყენებენ და სწორედ მათთვისაა იქ დამონტაჟებული შუქნიშანი — ვინაიდან ქუჩის სიგანე მხოლოდ 70 სანტიმეტრს შეადგენს, ორი კაცის ერთდროულად გავლა ფიზიკურად შეუძლებელია.**

ეს ქუჩა ქალაქის ძველი უბნის შუაგულში მდებარეობს და, როგორც უკვე აღინიშნა, 70 სანტიმეტრი სიგანისაა, ხოლო სიგრძით — 10 მეტრი. ის იწყება Luzickeho seminare-ს ქუჩიდან და ძირითადად ქვის საფეხურებით მიუყვება რესტორან Certovka-ს. ქვეითად მოსიარულეთათვის კი სპეციალურად დამონტაჟდა ორი შუქნიშანი — ერთი ქუჩის დასაწყისში, მეორე კი — ბოლოში. ხშირად გამვლელები ყურადღებას არ აქცევენ შუქნიშანს და ქუჩაზე ქვეითთა საცობი წარმოიქმნება.

ამ ვიწრო ქუჩაზე სასაცილო ინციდენტიც მოხდა, რომელსაც სიცილით იხსენებს ამ ქუჩაზე მდებარე რესტორნის — Certovka-ს მეპატრონე: „ერთხელ გერმანელი ტურისტი ამ ქუჩით ჩემი რესტორნისკენ მოდიოდა, მაგრამ ქუჩის ყველაზე ვიწრო ადგილას გაიჭედა. არაერთი უშედეგო ცდის შემდეგ ისღა დაგვრჩა, კარგად გაგვესაპნა ბატონი თავისი ტანისამოსიანად, გაქრა ამ მეთოდმა და, როგორც იქნა, გავიყვანეთ ქუჩის ბოლოს. მას შემდეგ დიდი წონის ტურისტებს ვურჩევთ, ჩვენს რესტორანს თავი აარიდონ."

# კომპანია «აუდიმ» ბენზინის შემცვლელი საწვავი შექმნა



**გერმანელები კვლავ განაგრძობენ კვლევებს ალტერნატიული ენერგიის (მზე, ქარი) გამოყენებით სინთეტიკური საწვავის შესაქმნელად. სპირტ e-ethanol-ზე ჩატარებული ექსპერიმენტების, ხელოვნული მეთანის — e-gas-ის საცდელი დანადგარის შექმნისა და სინთეტიკური საწვავის — e-diesel-ის მწარმოებელი საწარმოს ამოქმედების შემდეგ, კომპანია „აუდიმ" და მისმა პარტნიორებმა ბენზინის შემცვლელი საწვავი — e-benzin-ი მიიღეს.**

„აუდი" თავისი სინთეტიკური საწვავების სხვადასხვა სახეობას კვარცის გამჭვირვალე სპეციალურ ძრავში ცდის. ეს ჩქაროსნული კამერებით ძრავის მუშაობის ყველა ფაზის დაკვირვების საშულებას იძლევა. შედეგად, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხელოვნური საწვავი რიგ მახასიათებლებში აღემატება ნავთობისგან მიღებულ საწვავს. ის უზრუნველყოფს ნარევის უფრო ეფექტიან მომზადებას, სუფთა (მთლიან) წვასა და მცირე გამონაბოლქვს.

პროცესის პირველ ეტაპზე მცენარეული ნედლეულისგან იღებენ იზობუტილენს. ამისთვის კომპანია Global Bioenergies SA-მ საფრანგეთის ქალაქ პომაკლში საცდელი საწარმო ააშენა. პროექტის მეორე პარტნიორია ქიმიური და ბიოტექნოლოგიური პროცესების ცენტრი გერმანიის ქალაქ ლოინაში. აქ აირ იზობუტილენს სითხედ — იზოოქტანად გარდაქმნიან და სწორედ ეს ნივთიერებაა e-benzin-ი. იზოოქტანი მცირე რაოდენობით პირდაპირი გამოხდის ბენზიშნიც გვხვდება. მას ხელოვნურადაც იღებენ და სხვა საწვავებში ოქტანობის ასამაღლებლად ამატებენ. ამჟამად, Global Bioenergies-ის მიერ ქალაქ ლოინაში e-benzin-ის მაწარმოებელი ქარხნის მშენებლობა მიმდინარეობს.

გერმანიაში მშენებარე საცდელი საწარმო უფრო დიდი რაოდენობის პროდუქციის მიღებას 2016 წელს შეძლებს.

სინთეტიკური საწვავის შექმნის იდეა ახლა არ გაჩენილა, ჯერ კიდევ 1920-იან წლებში გერმანელმა მეცნიერებმა — **ფრანც ფიშერმა** და **ჰანს ტროპშმა** გამოიგონეს პროცესი, რომლის მეშვეობით ნახშირბადის მონოქსიდისა და ჟანგბადის ნარევის (სინთეზ-აირი) თხევად ნახშირწყალბადად გარდაქმნა ხდებოდა. სინთეზური აირის მიღება თავისუფლად შეიძლებოდა ქვანახშირისა და წყლისგან. შედეგად, შესაძლებელი შეიქნა ნახშირისგან ბენზინის შემცვლელის მიღება. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანია და იაპონია ნავთობის დეფიციტის პირობებში სწორედ ამ ხერხს მიმართავდნენ.

ბოლო ხანს ხელოვნური საწვავის შექმნის იდეა ძალიან მრავალწახნაგოვანი გახდა — გამოიგონეს საწვავის აღდგენადი რესურსებიდან მიღების არაერთი პროცესი, როგორც სუფთა ქიმიური, ისე ბიოქიმიური გზით (ბაქტერიების გამოყენებით).

ამჟამად მსოფლიოში მცენარეული ნედლეულისგან საწარმოო მასშტაბებით სპირტის, ბიოდიზელისა და ბიოაირის მიღებას ეწევიან. „აუდის" მიზანია, ეკონომიკურად გამართლებული სინთეტიკური საწვავის წარმოების შექმნა, რომელიც ნედლეულად მხოლოდ წყალს და ატმოსფეროს ნახშირორჟანგს გამოიყენებს. პროექტის პარტიორები ცდილობენ პროექტის მოდიფიკაციას, რათა „ე-ბენზინის" წარმოებისთვის მხოლოდ წყალი, ნახშირბადი და მზის ენერგია იყოს საჭირო.

## ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*** 1918 წლის 11 ნოემბერს დასრულდა პირველი მსოფლიო ომი. ამ ომში, რომელიც 1914 წლის 28 ივლისს დაიწყო და 9 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 38 სახელმწიფო მონაწილეობდა.**

კომპიენის ტყეში (საფრანგეთის რეგიონ პიკარდიის ქალაქ კომპიენთან ახლოს), სარკინიგზო ვაგონში, ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით, ანტანტის წევრ სახელმწიფოებსა (რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) და ოთხი ქვეყნის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთის იმპერია, ბულგარეთი) კავშირს შორის, დასრულდა პირველი მსოფლიო ომი, რომელშიც დამარცხდნენ გერმანია და მისი მოკავშირეები.

ამ ომის შემდეგ არსებობა შეწყვიტა ოთხმა იმპერიამ: რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთისა და გერმანიის.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



* 1891 წლის 17 ნოემბერს ვანთან ახლოს, სოფელ ჭყვიშში დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გალაკტიონ ტაბიძე.

1900-1908 წლებში სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, 1908-1910 წლებში — თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1910-1911 წლებში მუშაობდა მასწავლებლად სკოლაში. 1917-1918 წლებში იმყოფებოდა მოსკოვსა და პეტროგრადში. 1918 წლიდან დამკვიდრდა თბილისში. 1921 წლიდან რედაქტორობდა ჟურნალ „ლომისს“. იყო ჟურნალ „მნათობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.

გალაკტიონ ტაბიძემ პირველი ნაწარმოებების დაბეჭდვისთანავე დაიმკვიდრა „პოეტების მეფის“ სახელი. „მე და ღამემ“, „მთაწმინდის მთვარემ“, „ლურჯა ცხენებმა“, „სილაჟვარდემ“... „მერიმ“ და სხვა მრავალმა ლექსმა მკითხველს წარმოუდგინა ქართული ბგერის კეთილხმოვანება, სიტყვის მოქნილობა, რითმის, რიტმის, ტონისა და ნახევარტონის გადმოცემის უნარი და იშვიათი უშუალობითა და სილამაზით აამეტყველა ადამიანის ყველაზე ფაქიზი განცდები.

მის ლექსები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

გალაკტიონ ტაბიძე გარდაიცვალა 1959 წლის 17 მარტს.



*** 1939 წლის 11 ნოემბერს თიანეთში დაიბადა ქართველი მწერალი და პოეტი ბესიკ ხარანაული.**

ბესიკ ხარანაულმა ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1954 წელს, ლექსების პირველი კრებული გამოსცა 1968 წელს. ბესიკ ხარანაულის ლექსები ნათარგმნია ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ჩეხურ, უნგრულ, ბულგარულ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე, რაც ადასტურებს, რომ მის მაღალმხატვრულ პოეზიას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს უცხოეთშიც.

მისი ნაწარმოებია: „ხეიბარი თოჯინა“, „შუადღის წიგნი“, „აგონიური“, „მიკარნახე, ანგელინა“, „წიგნი ამბავი ბესარიონისა“, „სამოც ჯორზე ამხედრებული რაინდი“ და სხვ.

2010 წლის ოქტომბერში წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში.



*** 1922 წლის 11 ნოემბერს ინდიანაპოლისში დაიბადა ამერიკელი მწერალი-სატირიკოსი, რომანისტი, ამერიკული პროზის გამოჩენილი ოსტატი კურტ ვონეგუტი** (უმცროსი).

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „მექანიკური პიანინო“, „ბნელეთის დედა“, „აკვანი კატისათვის“, „საუზმე ჩემპიონებისთვის“, „სასაკლაო ნომერი ხუთი, ანუ ბავშვების ჯვაროსნული ლაშქრობა“ და სხვ.

კურტ ვონეგუტისაა ცნობილი ფრაზა:

„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რათა ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია; ვაჟკაცობა, რათა შევცვალო ის, რისი შეცვლაც შემიძლია, და გონიერება, რათა გავარჩიო პირველი მეორისგან“.

კურტ ვონეგუტი გარდაიცვალა 2007 წლის 11 აპრილს.



*** 1840 წლის 14 ნოემბერს პარიზში დაიბადა ფრანგი ფერმწერი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი კლოდ მონე (ოსკარ კლოდ მონე).** არმიიდან დაბრუნებულმა მონემ ხელოვნების ფაკულტეტზე ჩააბარა, მაგრამ მალე მიატოვა უნივერსიტეტი და დაიწყო მეცადინეობა **შარლ გლეირის** ხელოვნების სტუდიაში, სადაც, აგრეთვე, მეცადინეობდნენ **ოგიუსტ რენუარი** და **ფრედერიკ ბაზილი.** სწორედ მათთან ერთად დააარსა მონემ იმპრესიონიზმი, რომელსაც ეს სახელი მონეს ნახატის სახელწოდების მიხედვით დაერქვა — „შთაბეჭდილება, ამომავალი მზე“ („Impression, soleil levant“). მონეს ცნობილი ტილოებია: „კამილა, ანუ მწვანეკაბიანი ქალბატონის პორტრეტი“, „საუზმე ბალახზე“, „ყაყაჩოების მდელო“, „სენ-ლაზარეს რკინიგზის სადგური“ და სხვ.

კლოდ მონე გარდაიცვალა 1926 წლის 5 დეკემბერს.



*** 1907 წლის 14 ნოემბერს ვიმერბიუში (შვედეთი) დაიბადა მსოფლიოში სახელგანთქმული მწერალი ქალი ასტრიდ ლინდგრენი.**

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „პატარა და სახურავის ბინადარი კარლსონი“, ტეტრალოგია „პეპი გრძელიწინდა“, „კალე-გამომძიებლის თავგადასავალი“ და სხვ.

ასტრიდ ლინდგრენი გარდაიცვალა 2002 წლის 28 იანვარს.



*** 1922 წლის 14 ნოემბერს დაბა ალსთაფაში (აზერბაიჯანი) დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1973 წ.) მურმან ლებანიძე.**

1940 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1948 წელს. მეორე მსოფლიო ომმა სწავლა გააწყვეტინა და 19 წლისა ჯერ კავკასიის უღელტეხილზე წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობდა, შემდეგ — ყუბანში. 1943 წელს მძიმედ დაიჭრა და დაბრუნდა თბილისში. 1946 წლიდან მუშაობდა საყმაწვილო სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში.

მურმან ლებანიძეს ეკუთვნის ლექსებისა და პოემების კრებულები: „რჩეული“; „ანისის აღება“; „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“; „რჩეული ლირიკა“; „რჩეული“ (1979 წ.); „ბიჭები“; „ოთხი დრო“ და სხვ.

ნაყოფიერად მუშაობდა მთარგმნელობით სფეროშიც. თარგმნა იაპონური, კლასიკური და ეგვიპტური პოეზიის ნიმუშები. რედიარდ კიპლინგისა და რობერტ ბერნსის ლექსები, შექმნა რუსული კლასიკური პოეზიის მიკროანთოლოგია („უკვდავი ყვავილები“).

მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, უკრაინულ, ფრანგულ, გერმანულ და ჩეხურ ენებზე.

მურმან ლებანიძე გარდაიცვალა 2002 წლის 17 აგვისტოს.



*** 1941 წლის 16 ნოემბერს მოსკოვთან ახლოს, დუბოსეკოვოსთან ბრძოლაში გენერალ პანფილოვის დივიზიის 28 მებრძოლმა გერმანელთა 18 ტანკი გაანადგურა და შეაჩერა ფაშისტების შეტევა მოსკოვზე.**

მოსკოვთან გამართული ბრძოლებში ფაშისტთა შეტევების შეჩერება გადამწყვეტი აღმოჩნდა დიდ სამამულო ომში.

პოლიტხელ ვასილი კლოჩკოვის მეთაურობით 316-ე მსროლელთა დივიზიის ტანკების გამანადგურებელთა 28-კაციანი ჯგუფის გმირობა ისტორიაში ჩაიწერა, როგორც საბრძოლო მოქმედებებისა და თავგანწირვის უპრეცედენტო მაგალითი.

პანფილოველებს მიეწერებათ ფრაზა: „რუსეთი დიდია, მაგრამ უკანდასახევი არსადაა, უკან მოსკოვია!“




*** 1945 წლის 16 ნოემბერს დაარსდა იუნესკო (UNESCO) — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში.**

ორგანიზაციის მიერ დეკლარირებული ძირითადი მიზნები: მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სამართლიანობისთვის ხელშეწყობა ხალხებისა და სახელმწიფოებს თანამშრომლობის შედეგად განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა რასის, სქესის, ენისა და რელიგიური კუთვნილების გაუთვალისწინებლად.

ამჟამად იუნესკოში გაერთიანებულია 195 სახელმწიფო. შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში.

*** 1989 წლის 17 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო „ხავერდოვანი რევოლუცია“ (SAMETOVA REVOLUCE)** — მშვიდობიანი სამოქალაქო ამბოხება, რომელიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟითა და **ვაცლავ ჰაველის** გაპრეზიდენტებით დასრულდა.

1993 წლის 1 იანვრიდან ჩეხოსლოვაკია ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაიყო — ჩეხეთისა და სლოვაკეთის.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

11 ნოემბერს ახალმთვარეობაა. ემოციების გამოვლენამ შეიძლება დაძაბული ვითარება შექმნას. არ ღირს ახალი საქმის დაწყება. სასიკეთო პერიოდია კუროსა და მორიელის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**11 - 17 ნოემბერი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

დადგა იდეების განხორციელების პერიოდი. თქვენ გარშემო მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდება და უნდა შეეცადოთ, მიზნებისკენ მიმავალი საჭირო გეზი აირჩიოთ. რთული საკითხების გადაწყვეტისას რჩევა ოჯახის წევრებს ჰკითხეთ.

რომანტიკული თავგადასავლების მოყვარული ვერძებისთვის სასურველი არ არის სასიყვარულო ავანტიურაში ჩაბმა, რადგან შესაძლოა, ცუდად დასრულდეს და რეპუტაცია შეელახოთ.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 14 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 16 ნოემბერი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

სასიკეთო პერიოდია ნებისმიერი წამოწყებისთვის. შესაძლებლობა მოგეცემათ, თქვენი იდეების სისწორეში დაარწმუნოთ საჭირო ადამიანები და მათგან დახმარება მიიღოთ — როგორც ფინანსური, ისე მორალური.

თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჩიხშია შესული, შეეცადეთ, უთანხმოება გულწრფელი საუბრით მოაგვაროთ.

მაღალია სახსრების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 16 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ნოემბერი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

აქტიურობა მოგიტანთ პირველ შედეგს, რომელიც კარიერის კიბეზე უფრო მაღლა ასვლის შესაძლებლობას მოგცემთ. ნუ შეგეშინდებათ ზედმეტი პასუხისმგებლობის დაკისრების.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ. მარტოხელა ქალებს (ტყუპებს) გაუჩნდებათ ცხოვრების თანამგზავრთან შეხვედრის შანსი.

მაღალია ტრავმირების ალბათობა, გაფრთხილდით ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას.

**დადებითი დღე: 14 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 12 ნოემბერი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

შეიძლება მხოლოდ ერთი პრობლემა შეგექმნათ — იმდენი იდეა გაგიჩნდეთ, რომ გაგიჭირდეთ ამორჩევა, რომლის განხორციელებას მიჰყოთ ხელი.

თუ ზუსტად იმოქმედებთ, დასახული მიზნების მიღწევა არ გაგიჭირდებათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი აარიდეთ კრიტიკულ შენიშვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავიდან ვერ აიცილებთ უთანხმოებას, რომლის მოგვარებასაც საკმაო დრო და ძალისხმევა დასჭირდება.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 11 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ნოემბერი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდია. შეეცადეთ, გაწყვიტოთ ურთიერთობები, რომლებიც ხელს გიშლით წინსვლაში და რომელთა გაღრმავებაც მოსალოდნელი არ არის. ეს შეიძლება მტკივნეული იყოს, მაგრამ თქვენთვის ახლა ასე სჯობს.

დაოჯახებულ ლომებს შვილების პარობლემების გადაჭრა მოუწევთ. დაეხმარეთ მათ და პასუხად მეტ სითბოსა და სიყვარულს მიიღებთ.

შესაძლოა, შეგექმნათ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემა. დაიცავით კვების რეჟიმი და უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

**დადებითი დღე: 16 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 12 ნოემბერი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

დაწყებული საქმეები ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მიიყვანოთ. თქვენი მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩება და ხელმძღვანელობისგან ჯილდოს მიიღებთ.

შესაძლოა, შეხვდეთ ადამიანს, რომელიც ბევრ რამეს გასწავლით და პრობლემების გადაწყვეტაში დაგეხმარებათ. ფული ეკონომიურად ხარჯეთ, რადგან მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

საყვარელი ადამიანი თქვენგან სიყვარულის ახსნასა და კომპლიმენტებს ელოდება, იმედი არ გაუცრუოთ.

ემოციური და ფიზიკური ტონუსის შესანარჩუნებლად რეკომენდებულია წყლის პროცედურების ჩატარება.

**დადებითი დღე: 11 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ნოემბერი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

უამრავი წვრილმანი საქმე დაგიგროვდებათ და მათი მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ამის მიუხედავად, შეუპოვრად იარეთ დასახული მიზნებისკენ.

ეს პერიოდი ოჯახის წევრებთან ურთიერთობის გასამტკიცებლად გამოიყენეთ. შეეცადეთ, ერთობლივად გადაწყვიტოთ საოჯახო პრობლემები.

იმუნიტეტის გასამყარებლად მიიღეთ ვიტამინები და შეასრულეთ სუნთქვითი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 17 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 12 ნოემბერი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

თქვენი აქტიურობა და მუხლჩაუხრელი შრომა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და შეიძლება, ფინანსურად წაგახალისოთ. დავალებების წარმატებით შესასრულებლად კოლეგები დაიხმარეთ.

სასიკეთო პერიოდია ოჯახის წევრებთან ურთიერთობების გასამყარებლად. მეტი დრო გაატარეთ ახლობელი ადამიანების წრეში, მათ ახლა ძალიან სჭირდებათ თქვენი მხარდაჭერა.

მოთოკეთ ემოციები და თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს. კარგი იქნება, თუ შეასრულებთ სუნთქვითი სავარჯიშოებს.

**დადებითი დღე: 16 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ნოემბერი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

მუშაობის დაძაბულმა რეჟიმმა და წვრილმანმა პრობლემებმა შეიძლება დაგღალოთ და გაგაღიზიანოთ. თუ ფიქრობთ, რომ შექმნილ პრობლემებს ვერ გაუმკლავდებით, რჩევისთვის გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ.

ოჯახის წევრებთან დიქტატორული თვისებების გამომჟღავნება კარგს არაფერს მოგიტანთ. გახსოვდეთ, რომ ყველა ადამიანმა შეიძლება დაუშვას შეცდომა და გამონაკლისი არც თქვენ ხართ.

დიდია კანის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 16 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 12 ნოემბერი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

მოთოკეთ ემოციები და დაიწყეთ აქტიური მოქმედება. საქმეს, რომელიც წამოიწყეთ, თქვენ ნაცვლად არავინ დაასრულებს. უბრძოლველად თქვენი თვალსაზრისის დაცვას ვერ შეძლებთ, ვერც — კარიერაში წინსვლას, ამიტომ გააქტიურდით.

კარგი იქნება, თუ საყვარელ ადამიანთან ერთად სადმე გაემგზავრებით. ეს თქვენს ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

გააკონტროლეთ არტერიული წნევა, თუ ცვლილება დიდია, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 16 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 12 ნოემბერი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

პროდუქტიული პერიოდია პროფესიული თვალსაზრისით. ის პროექტები, რომლებზეც მუშაობდით, ბოლოს და ბოლოს, შედეგს გამოიღებს. პროფესიულ სფეროში წარმატება კი თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

თავი შეიკავეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გარკვევისგან და მისი ყურადღება საოჯახო პრობლემების მოგვარებაზე გადაიტანეთ.

რაციონიდან ამოიღეთ ცხარე საკვები და ალკოჰოლური სასმელები. ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 15 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 12 ნოემბერი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

გაგიჩნდებათ ბევრი იდეა, რომელთა განხორციელებაც კარიერაში წინსვლას შეუწყობს ხელს, გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობაც, თუმცა გაუთვალისწინებელი ხარჯიც საკმაოდ გექნებათ.

მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას, იზრუნეთ მასზე, მოუწყვეთ სასიამოვნო სიურპრიზები. ეს თქვენც მოგგვრით სიხარულს.

კარგი განწყობის შესანარჩუნებლად აუცილებელია კარგი დასვენება და სრულფასოვანი ძილი, აგრეთვე, კვების რეჟიმის დაცვა.

**დადებითი დღე: 16 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 12 ნოემბერი.**



## ბიძინა ივანიშვილი: უამრავი უმეცარი განცხადება აქვს გაკეთებული ევროსაბჭოს, ეუთოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მთავრობამ მათი განცხადებები ყურად არ იღოს

**ყოფილმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შეფასებებზე ილაპარაკა.**

„უამრავი უმეცარი განცხადება გააკეთა „სახალხო პარტიამ“. ის ისეთივე აღშფოთებული იყო არჩევნების დროს, როცა მე „ტელევიზორებსა და მაცივრებს ვარიგებდი“. იმავე ევროსაბჭომ და ეუთომ — რამდენიც გნებავთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უფლება გვაქვს, ყურად არ ვიღოთ მათი განცხადებები. რა თქმა უნდა, მათ განცხადებებს ჩვენ დიდი ყურადღებით ვუსმენთ, ვპასუხობთ, სადაც საპასუხოა, მაგრამ ის, რასაც სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ თავის დროზე ახერხებდნენ, რომ გარედან უნდა იმართოს ქვეყანა, ქართველი ხალხი არავინ არ არის და არაფერს ნიშნავს, რას იტყვიან „ისინი“, იმაზე უნდა ვიცეკვოთ, ასე არ იქნება და ვერც იქნება“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ყოფილმა პრემიერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე კერძო სუბიექტები დავობენ.

„რა თქმა უნდა, აჟიოტაჟი არის დიდი, მაგრამ შევახსენებ მოსახლეობას რეალურ ვითარებას — დვალი და ხალვაში იბრძვიან წართმეული ქონების დასაბრუნებლად. ისინი არიან ერთ მხარეს, მეორე მხარეს წარმოადგენს გვარამია და „ნაციონალური მოძრაობა“ მეპატრონე ყარამანიშვილებთან ერთად, რომელიც ბოლოს მოქოქეს, მაგრამ ვერ მოქოქეს, ანუ მიმდინარეობს სამართლებრივი დავა“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

## «დასავლეთის ქვეყნების ელჩები ასეთ სისულელეებს როდემდე უნდა ლაპარაკობდნენ?!»

**ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა. როგორც გიორხელიძე წერს, საქართველოში დემოკრატიას, სიტყვის თავისუფლებას და ა.შ. არაფერი ემუქრება.**



„ისე, ჩვენში დარჩეს და... დასავლური ქვეყნების ელჩები (გვარებს არ დავასახელებ, ცნობილი ქართული ფრაზის მსგავსად!) ასეთ სისულელეებს როდემდე უნდა ლაპარაკობდნენ და გაუგონარ უპატივცემულობას როდემდე უნდა იჩენდნენ საქართველოს მიმართ?! სადისტებს, მწვალებლებს, დამნაშავეებს მფარველობდით და მფარველობთ და... ამას პრიმიტიული „დემოკრატიული ფასეულობების“, „სიტყვის თავისუფლების“ და „სასამართლოს დამოუკიდებლობის“ დეკლარაციით ნიღბავთ. ამ დროს კი... სასამართლოს გადაწყვეტილებებს აკრიტიკებთ! თქვენ, საერთოდ, ერთ უჯრედზე მეტი გაქვთ? საქართველოში არანაირი საფრთხე დემოკრატიას, სიტყვის თავისუფლებას და ა.შ. არ ემუქრება... ყველაფერ ამას საფრთხე რომ დაემუქროს, საქართველო ღრმა იზოლაციაში უნდა წავიდეს, რაც, პრაქტიკულად, გამორიცხულია და შეუძლებელიც! ამიტომ მოზომეთ სათქმელი და იქამდე ნუ მიიყვანთ საქმეს, დასავლეთის ხსენებაზე ხალხს ღებინებას აწყებინებდეს... თქვენი უაზრო მხარდაჭერით დასავლეთის სახელი ისედაც უდიდესად დააზიანეთ და ახლა სულ ნუ გადაამლაშებთ!.. აზრზე არა ხართ ქართველის ბუნებაზე და ქართულ კულტურაზე (ამ სიტყვის ფართო გაგებით), აზრზე რომ იყოთ, ასეთ უაზრო პოზიციას არ დაიკავებდით... თქვენი ამ დონის შეცდომების სათავე პრიმიტივიზმია, პრიმიტივიზმი აზროვნებაში, პრიმიტივიზმი პილიტიკურ სიმპათიაში, პრიმიტივიზმი სიტყვაში და პრიმიტივიზმი საქმეში! რა გინდათ, აზრზე თუ ხართ?! რაციონალურად რომ ფიქრობდეთ, ადამიანებს, რომლებიც არ წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც შეიძლება ავტორიტეტით სარგებლობდეს საქართველოში, მხარდაჭერას აღმოუჩენდა გონიერი ადამიანი?! ესაა დასავლური პოლიტიკური პრაგმატიზმი? აფრიკული განუვითარებელი ქვეყანა და საქართველო ვერ გაგირჩევიათ ერთმანეთისგან და თავი მოგაქვთ მენტორებად და ჭკუის მასწავლებლებად... ბოლო ოცი წელია, წესიერად და საქმიანად რომ დაგვხმარებოდით, დღეს ეს სახელმწიფო შეუდარებლად მაღალ საფეხურზე იქნებოდა... ამის ნაცვლად, ყალბი მხარდაჭერები ამჯობინეთ და... შეცდით! დღესაც ცდებით!“ — წერს გიორხელიძე.



## ზაზა პაპუაშვილი: რა გაგიხდათ ეს ამერიკის ელჩი, ვერ გავიგე!

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებას ეხმაურება, რომელშიც იან კელი „რუსთავი-2“-ის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს აფასებს და ამბობს, რომ პროცესები კითხვის ნიშნებს აჩენს. პაპუაშვილის თქმით, ადამიანმა, რომელიც სხვა ქვეყანას წარმოადგენს, არ უნდა გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელმაც შესაძლოა, ქვეყანაში არეულობა გამოიწვიოს.**

„მე ვიზიარებ იუსტიციის მინისტრის მოსაზრებას და ვეთანხმები აბსოლუტურად. თქვენ რა გაგიხდიათ ეს ამერიკის ელჩი, ვერ გავიგე, ჩვენს ქვეყანაზე უფრო მნიშვნელოვანია თუ რა?! საკუთარ თავს ვცეთ პატივი და ღირსება შევინარჩუნოთ. ასეთ თემებში ჩარევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინც უნდა იყოს, ეს არის ქვეყანა და გმართებს, ქვეყნის ამრევი გამონათქვამებისგან თავი შეიკავო. ამ ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება და ან დაეკითხონ, ან ჩაიხედონ საქმეში. საერთოდ უნდა მოერიდოს ადამიანი, ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომელმაც შეიძლება არეულობა და უსიამოვნება გამოიწვიოს. ჩემი აზრით, უნდა იყოს დაფიქრებული და მოზომილი ნებისმიერი მისი განცხადება იმიტომ, რომ ის არის ელჩი და წარმოადგენს სხვა ქვეყანას ჩვენს ქვეყანაში. დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ელჩი გაითვალისწინებს ჩვენი ქვეყნების მეგობრობას და ასეთი მაღალი ტრიბუნიდან გააკეთებს არა ისეთ განცხადებას, რომელიც გარკვეულწილად რომელიმე მხარის სიმპათიას დაიმსახურებს, არამედ ისეთს, როგორიც არის რეალურად — კანონიერი და კონსტიტუციური. არ მგონია, რომ ამ სიტუაციაში ხელისუფლებას დაერღვიოს კანონი“, — განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე:**

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)**
**მის: აღმაშენებლის 154 «მწვანე ოფისი»**

## ქართული ღვინის ექსპორტი 43%-ით შემცირდა



**საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელთა განცხადებით, 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქართული ღვინის ექსპორტის მოცულობა 43%-ით შემცირდა. ექსპორტის შემცირება გამოიწვია რუსეთსა და უკრაინაში განვითარებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა, რომელთა შედეგადაც ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთში 54%-ით შემცირდა, უკრაინაში — 61%-ით.**

წელს მსოფლიოს 42 ქვეყანაში ექსპორტირებული იყო 77,2 მლნ დოლარის ღირებულების 28,1 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ქართული ღვინო.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში 87%-ით მოიმატა ექსპორტირებული ღვინის რაოდენობამ ჩინეთში. ეს ქვეყანა მეოთხეა იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომლებშიც ქართული ღვინო საექსპორტოდ გადის. პირველ ადგილზეა **რუსეთი (14,6 მლნ ბოთლი), მეორეზე — ყაზახეთი (4 მლნ ბოთლი), მესამეზე —უკრაინა (2,5 მლნ), მეოთხეზე — ჩინეთი (1,8 მლნ), მეხუთეზე — პოლონეთი (1,2 მლნ).**

ქართული ღვინო გააქვთ, აგრეთვე, იაპონიაში, კანადაში, აშშ-ში, კორეაში, გერმანიაში, პოლონეთში, საფრანგეთში, ისრაელში, ლატვიაში, ესტონეთსა და სხვა ქვეყნებში.

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894